# ლელო

№092 (12 162) 21 აპრილი შაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება თავისუფლებას!

## საქართველოს ჰიმნი სოფიაში ორჯერ აჟღერდა. მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე ევროპის ჩემპიონები არიან



რამაზ ნოზაძე



მანუჩარ კვირკველიას ფინალური ორთაბრძოლა

ირაკლი თავაძე

ქართველმა „ანტიკოსებმა" ტრიუმფით ჩაამთავრეს სოფიაში მიმდინარე ევროპის პირველობა და წარუმატებელი სტარტის შემდეგ, გუშინ ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონები **მანუჩარ კვირკველია** (74) და **რამაზ ნოზაძე** (96) გახდნენ. ეს წარმატება მართლაც გამორჩეულია და მნიშვნელოვანი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ევროპის პირველობაზე ორი ოქრო პირველად მოვიპოვეთ, პირველად ავაჟღერეთ ორჯერ ჩვენი ქვეყნის ჰიმნი. საქართველო მოწინავეა ოქროს მედლების მხრივაც. 2-2 ოქრო მხოლოდ ჩვენ და რუსებმა მოვიპოვეთ, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა თითო ირგუნეს.

სოფიის „ზამთრის სპორტდარბაზში" საქართველოს ჰიმნი პირველად მანუჩარ კვირკველიამ ააჟღერა. ამით 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონმა თავის კოლექციას მორიგი ტიტული შემატა. კონტინენტის პირველობის ფინალში იგი მეორედ გავიდა. პირველად - 2002 წელს, თუმცა თურქ **სერეფ ეროლლუსთან** დამარცხდა, მაგრამ მიზანი ამჯერად აისრულა. მანუჩარმა გუშინდელი მოგებით ევროპული მედლების სრული კომპლექტი შეაგროვა.

სოფიაში კვირკველიამ 5 შეხვედრა ჩაატარა და აქედან სამში დამატებითი დრო დასჭირდა. მათ შორის, ფინალშიც, თუმცა ჯამში ქულათა ნამდვილად შთამბეჭდავი შეფარდება გამოუვიდა - 50:18. ისიც საყურადღებოა, რომ დამატებითში გაგრძელებული სამივე შეხვედრის მესამე პერიოდი ქართველმა წმინდად მოიგო. ანუ, გადამწყვეტ მომენტებში შესაშური შემართება გამოიჩინა. და რაკი სტატისტიკას მივადექით, ისიც ვთქვათ, რომ ამ ხუთ შეხვედრაში ხუთი პერიოდი წმინდად მოიგო.

ბევრისთვის მოულოდნელად, მომავალ ჩემპიონს ცოტა გაუჭირდა პირველ შეხვედრაში ლატვიელ **ანდრეი აფანასიევთან** - პირველი პერიოდი 0:5 წააგო, თუმცა მომდევნოები წმინდად 6:0, 5:0 მოიგო. მეორეში გაცილებით იოლად დაამარცხა (7:3, 4:0) უკრაინელი **დმიტრი პიშკოვი**, ვისთანაც წლეულს ანტალიაში, მსოფლიო თასზე დამარცხდა. ამჯერად კვირკველიამ დამაჯერებელი რევანში აიღო. მესამე წრეში მან კიდევ ერთი ბალტიისპირელი, ამჯერად ლიტველი **ვალდემარას ვენცკაიტისი** დაამარცხა. 27 წლის ლიტველი ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახლავთ, უფროსებში კი პირველი მედალი მოიპოვა. იგი სერიოზულ მეტოქედ არასოდეს აღიქმებოდა, მაგრამ სოფიაში პირველ წრეში ჯერ ფინელი მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **მარკო ილიჰანუკსელა** დაამარცხა, მერე კი შვედ მსოფლიო ჩემპიონ **ჯიმი სამუელსონის** დამმარცხებელი სერბი **მიხაილო ბაილოვიჩი**. კვირკველიასაც მედგრად ებრძოლა, წმინდად წაგებული პირველი პერიოდის შემდეგ მეორე 5:1 მოუგო და შეხვედრა დამატებითშიც გადაიყვანა, მაგრამ იქ ქართველი ჩვეულებრივად შეუჩერებელი იყო - ისევ წმინდა მოგება ანუ 6:0 მის სასარგებლოდ და ნახევარფინალის საგზური. აქ მისი მეტოქე ახალგაზრდა სომეხი, ოლიმპიურ ჩემპიონ **ლევონ ჯულფალაკიანის** შვილი **არსენ ჯულფალაკიანი** იყო. პირველი პერიოდი მას 1:1-ზე ბოლო ქულის წესით მოუგო, მაგრამ მეორეში 8:0 დაამარცხა.

ვფიქრობთ, სპეციალისტთათვის მოულოდნელი იქნებოდა ფინალში შვეიცარიელ **რეტო ბუშეს** გასვლა. არადა, მან მომავალის ბრინჯაოს პრიზიორი, რუსი **ივანჩენკო**, საკმაოდ ძლიერი რუმინელი **რუსუ** და მასპინძელი **იანაკიევი** დაამარცხა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფინალში პირველი პერიოდი კვირკველიას მსაჯებმა წააგებინეს. არადა, ამ პერიოდის უმტკივნეულოდ მოგებაც შეეძლო, ჯვარზე მისვლისას რომ არ შემცდარიყო - მეტოქე ხალიჩიდან კი აიყვანა, მაგრამ გდება ვერ გააკეთა. მას გდება ისე რომ მოემზადებინა, როგორც დამატებით დროში, შვეიცარიელი და მსაჯები ვერაფერს გააწყობდნენ. კიდევ კარგი, მესამეში მაინც გამოუვიდა ეს, როცა მკერდამდე აწეული ბუშე კარგად შეისწორა ხელში, კარგა ხანსაც ამზადა გდება და ბოლოს ისეთი დაახეთქა, თქვენი მოწონებული. ეს საჩემპიონო 5-ქულიანი ფანდი იყო, მანამ კი მნიშვნელოვანი მეორე პერიოდი იყო. კვირკველიას ისიც რომ წაეგო, ვერაფერი იხსნიდა, მაგრამ გუშინ ფორტუნა ჩვენს მხარეს იყო - ორივე ფინალის სამივე პერიოდში მონეტა ქართველებს დაუჯდა. ანუ ჩოქბჯენში პირველად მათი მეტოქეები დგებოდნენ, რაც ჩვენებს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა - ბოლო ქულის უპირატესობა მათი იყო. კვირკველიამაც ასე მოიგო მეორე პერიოდი, მერე კი თავად შეხვედრაც, რომლის ფინალიც ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** უკუზნექით გაკეთებული უზადო გდება გახლდათ, ზურგსუკან წმინდად რომ დაახეთქა შეგირდი. მსგავსი ფინალი ამათ ურთიერთობაში ტრადიციული ხდება - დარჩიამ 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის შემდეგაც ასე დასცა კვირკველია. ღმერთმა ქნას, მსგავსი ტრადიციული რიტუალი კიდევ მრავალჯერ გვეხილოს.

10


LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE


ჩოგბურთი. ფედერაციის თასი

FedCup by BNP PARIBAS

## საქართველოს ნაკრებმა მისია შეასრულა

გაისად პირველ ევროაფრიკულ ზონაში ვითამაშებთ 11

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXI ტური. წინათქმა

ოცდამეერთე ტურში ცენტრალური დაპირისპირებას ვერსად ვიხილავთ , მაგრამ მაინც არაა გამორიცხული, ცხრილის ზედა ნაწილში მყოფმა რომელიმე გუნდმა ქულები დაკარგოს. სხვა შეხვედრებთან შედარებით, ინტერესს რუსთავში გასამართი თამაში იწვევს. ერთპიროვნული ლიდერი "ოლიმპი" "დინამოსთან" სამქულიანი ფორის შესანარჩუნებლად "ჩიხურას" დასამარცხებლად ემზადება. მოდუნების უფლება არც რუსთაველთა მდევრებს აქვთ, თუმც "დინამოს", "ამერისა" და "ზესტაფონის" წაფორხილება დიდ სენსაციად მონათლება. სხვებსაც საკუთარი ამოცანები ამოძრავებთ, ერთადერთი მატჩი, რომლის შედეგიც არაფერს წყვეტს, "სიონი"-"ტორპედოა".

# ცენტრალური მატჩის გარეშე

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 20 | 15 | 4 | 1 | 45-6 | 49 |
| 2. დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 41-17 | 46 |
| 3. ამერი | 20 | 13 | 4 | 3 | 35-12 | 43 |
| 4. ზესტაფონი | 20 | 12 | 7 | 1 | 39-8 | 43 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 20 | 11 | 6 | 3 | 38-23 | 39 |
| 6. სიონი | 20 | 10 | 2 | 8 | 25-17 | 32 |
| 7. ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 19-22 | 28 |
| 8. ბორჯომი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-30 | 23 |
| 9. ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-23 | 22 |
| 10. ლოკომოტივი | 20 | 5 | 5 | 10 | 13-26 | 20 |
| 11. ჩიხურა | 20 | 4 | 6 | 10 | 12-27 | 18 |
| 12. მერანი | 20 | 4 | 6 | 10 | 14-31 | 18 |
| 13. დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13-49 | 9 |
| 14. კახეთი | 20 | 0 | 1 | 19 | 16-60 | 1 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 11 | 10 | 2 | 0 | 22-3 | 29 |
| 2. ოლიმპი | 10 | 9 | 1 | 0 | 27-3 | 28 |
| 3. დინამო | 10 | 8 | 1 | 1 | 21-7 | 25 |
| 4. ზესტაფონი | 10 | 7 | 3 | 0 | 22-1 | 24 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 3 | 0 | 23-9 | 24 |
| 6. სიონი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-5 | 19 |
| 7. ტორპედო | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 8. ბორჯომი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-15 | 15 |
| 9. ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-12 | 14 |
| 10. ბათუმი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-10 | 13 |
| 11. ჩიხურა | 10 | 3 | 4 | 3 | 7-10 | 13 |
| 12. მერანი | 10 | 1 | 4 | 5 | 5-16 | 7 |
| 13. დილა | 10 | 2 | 1 | 7 | 6-22 | 7 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 9-25 | 1 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | 20-10 | 21 |
| 2. ოლიმპი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-3 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 3 | 3 | 15-14 | 15 |
| 5. ამერი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| 6. სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9-12 | 13 |
| 7. ტორპედო | 10 | 3 | 2 | 5 | 8-12 | 11 |
| 8. მერანი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-15 | 11 |
| 9. ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 9 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-15 | 8 |
| 11. ჩიხურა | 10 | 1 | 2 | 7 | 5-17 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-14 | 6 |
| 13. დილა | 10 | 0 | 2 | 9 | 7-27 | 2 |
| 14. კახეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 7-35 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ს. იაშვილი (დინამო) | 14 |
| 2 | ფიფია(ზესტაფონი) | 12 |
| 3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-9 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 7 |
| 10 | ნინამძღვრიშვილი (ამერი) | 6 |
| 11-19 | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 5 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 5 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |

## 16:00 ოლიმპი-ჩიხურა

21 აპრილი. რუსთავი. ფოლადი.
პირველ წრეში: 4:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, სეთურიძე, ნავალოვსკი, ქებაძე, აფციაური, კახელიშვილი, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

ჩიხურა: სტურუა, გიგაური, ქემოკლიძე, ბარამიძე, ქუხილავა, ქუცურუა, ი. ზაბახიძე, ბუცხრიკიძე, მახარაძე, მიქაძე, დვალი

არბიტრი: კვარაცხელია

ასისტენტები: ჩიგოგიძე, ფიფია

"ოლიმპი" ბოლო მატჩებში ქულებს მთლად დამაჯერებლად ველარ აგროვებს და ალბათ, "ჩიხურასგანაც" დიდ წინაალმდეგობას წააწყდება. საჩხერელები გააფთრებით იბრძვიან ფლეი ოფისთვის თავის ასარიდებლად და წესით, არც რუსთავში უნდა იყვნენ სტატისტების როლში. მატჩის ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, "ოლიმპია", მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მეორე წრეში "ჩიხურა" ლიდერებს ხშირად ტოლ-სწორად ეთამაშება. გავიხსენოთ, რომ **ქასრაშვილის** გუნდმა სულ ახლახანს "ზესტაფონს" დააკარგვინა ძვირფასი ქულები.

## 16:00 ლოკომოტივი-დინამო

21 აპრილი. თბილისი. მ. მესხი.
პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, გულორდავა, მალიჩავა, სამხარაძე, ჩომახიძე, ჟღენტი, გოჩაშვილი

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დილმელაშვილი, ს. იაშვილი

არბიტრი: ბეუქლიშვილი

ასისტენტები: მ. ურუშაძე, გ. დოგრაშვილი

"დინამომ" მეორე წრის პირველი დანაკარგი მხოლოდ წინა ტურში განიცადა, "ლოკომოტივთან" წაბორძიკება კი **უჰრინისა** და მისი შეგირდების გეგმებში ნამდვილად არ შედის. "დინამო" კვლავ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს, რასაც მისი შეჩერების შანსი მინიმუმამდე დაჰყავს. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რკინიგზელებს ახალი დამრიგებელი ჰყავთ. **გიორგი კიკნაძის** ხელმძღვანელობით გუნდს გამოცოცხლება დაეტყო. "ლოკომოტივმა" წინა ტურში ბათუმში მოიგო.

## 16:00 კახეთი-ამერი

21 აპრილი. თელავი. გ. ჩოხელი.
პირველ წრეში: 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

კახეთი: გ. იაშვილი, ლოლაძე, იოსებაშვილი, მ. ხიდაშელი, კუპრაშვილი, გ. ხიდაშელი, ჩუთლაშვილი, მურველაშვილი, მაჩაიძე, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ს. დავითაშვილი, ნინამძღვრიშვილი

არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: გაგნიძე, ი. ურუშაძე

კარგა ხანია, რაც კახელებმა უმაღლესში დარჩენის იმედი გადაიწურეს და ისევე როგორც ბოლო მატჩებში, დღესაც პრესტიჟის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. უნდა გავიხსენოთ ამ გუნდებს შორის თელავში გამართული სათასო შეხვედრა (ჯგუფურ ეტაპზე), სადაც ამერელებმა ქულა ბოლო წუთებზელა გადაარჩინეს. ასეთი სცენარი დღეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ურიგო სანახაობა არ უნდა გამოდგეს, "კახეთი" ხომ თითოეულ მატჩში თავდაუზოგავად იბრძვის. "ამერმა" სამშაბათს



რეზო გოცირიძესა (10) და ოლიმპს ჩიხურასთან იოლი გასეირნება ელით

დიდი საქმე გააკეთა და თასის ფინალი დაიბევა. საქართველოს თასის მფლობელებს წარმატების შანსი ჩემპიონატშიც აქვთ, საამისოდ კი თელავიდან დაგეგმილი სამი ქულა უნდა წამოიღონ. "ამერის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით ბოლქვაძემ** "სიონთან" ტრავმა მიიღო და მაშინ თამაში ველარ გააგრძელა, მაგრამ დღეს წესით, თავისი გუნდის დახმარება უნდა შეძლოს. სტუმართა ერთადერთი დანაკლისი **მიხეილ მესხია**.

## 16:00 ზესტაფონი-დილა

21 აპრილი. ზესტაფონი. ცენტრალური.
პირველ წრეში: 4:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, ხიდეშელი, ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ფიფია, იონანიძე

დისკვალიფიკაცია: ჭანტურია, საჯაია, ვიეირა

დილა: თევდორაძე, დ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ყველაშვილი, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, ტლაშაძე, კობახიძე, სულთანიშვილი, გონჩაროვი

დისკვალიფიკაცია: ბალიაშვილი

არბიტრი: ხარიტონაშვილი

ასისტენტები: ელიკაშვილი, ა. გუნთაძე

თასის ფინალში გასული "ზესტაფონი" სამ საკვანძო ფეხბურთელს კი მოისაკლისებს, მაგრამ **თემურ მახარაძის** განკარგულებაში მოზრდილი სათადარიგოთა სკამია და გამოცდილ მწვრთნელს დისკვალიფიცირებული სამეულის სათანადოდ შეცვლა არ უნდა გაუჭირდეს. ბოლო მატჩებს ფეროელები განსაკუთრებული ალმავლობით ატარებენ, შთამბეჭდავად ეფექტურები შეტევაში არიან, შესაბამისად, ზესტაფონელი გულშემატკივრები გორელთა განადგურებას სავსებით საფუძვლიანად ელიან. „დილას" რაც შეეხება, გორელები ფაქტობრივად, უკვე დაქვეითდნენ პირველ ლიგაში, თავიანთ მწირ მონაგარს ისინი სხვაგვარი შინაარსის მატჩებში თუ შეივსებენ.

## 16:00 ვიტ ჯორჯია-ბორჯომი

21 აპრილი. მცხეთა. არმაზი.
პირველ წრეში: 2:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე, ბერიაშვილი, გელაშვილი, ლუჭაშვილი

დისკვალიფიკაცია: რაზმაძე

ბორჯომი: კოდალაევი, ნ. ლომიძე, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კვერნაძე, გოგიჩაიშვილი, საყვარელიძე, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი

დისკვალიფიკაცია: ქარქუზაშვილი

არბიტრი: სანაია

ასისტენტები: ჯვარიძე, სპიცინი

კიდევ ერთი დანაკარგი და სეზონი „ვიტ ჯორჯიასთვისაც" დაკარგავს აზრს. მეტოქე კი ვეტერინარებს საკმაოდ სერიოზული და მოტივირებული ჰყავთ. ერთი ეგაა, სტუმრებს გვარიანი საკადრო პრობლემები აქვთ. დისკვალიფიცირებული **ქარქუზაშვილის** გარდა, ალბათ, ვერც **კაკალაძე**, **ნადირაშვილი**, **ავალიანი** და **ლონლაძე** ითამაშებენ. თავის მხრივ, არც მოკლე სკამის მქონე მასპინძლებს უნდა გაუადვილდეთ დასჯილი **რაზმაძის** სათანადოდ შეცვლა.

## 16:00 სიონი-ტორპედო

21 აპრილი. ბოლნისი. თ. სტეფანია
პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: მამალაძე, ექონია, ორბელაძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, სილაგაძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, კორლალიძე, დარასელია, ჩასემი

ტორპედო: ქვილითაია, ხურცილავა, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, გურული, ლალაძე, კვეტენაძე, ნადირაძე, ზ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე, იმედაძე

არბიტრი: სილაგავა

ასისტენტები: გუდურაშვილი, კოკაია

„სიონის" უკანასკნელი ევროიმედი „ამერმა" დაამსხვრია, **კახა ცხადაძემ** უმოტივაციო გუნდში დარჩენა აღარ ისურვა და სეზონს ალბათ, **გიორგი ყიფშიძეს** ჩაამთავრებინებენ. ბოლნისური კლუბის მომავალი ბურუსითაა მოცული, ასეთივე მდგომარეობაში არიან ქუთათურებიც. დღევანდელ მატჩს კი პრინციპული მნიშვნელობა არც მასპინძლისთვის აქვს და არც სტუმრისთვის.

## 16:00 მერანი-ბათუმი

21 აპრილი. თბილისი. შევარდენი
პირველ წრეში: 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: გლუნჩაძე, ოსიტაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, აფშილავა, კედელაშვილი, ბესარაშვილი, კობერიძე, დეისაძე, ფურთუხია, გაგუა, ქემაშვილი

ბათუმი: სომხიშვილი, ცანავა, გალოგრე, ლობჟანიძე, თედორაძე, შალამბერიძე, ნერგაძე, კუნჭულია, ხოხონიშვილი, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: დუმბაძე

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

ასისტენტები: მენთეშაშვილი, თოდრია

გასულ ტურში, "ჩიხურასთან" "მერანმა" რატომღაც გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა და შინ უქულოდ დაბრუნდა. ვნახოთ, დღესაც გაგრძელდება თუ არა **ასლან ბალაძის** მიერ წამოწყებული როტაცია. თასის ნახევარფინალამდე მისული "ბათუმი" „ზესტაფონმა" ერთი ამოსუნთქვით გაანადგურა. **გოგიტიძის** გუნდის ერთადერთი მიზანი უმაღლესში დარჩენალაა, იგივე ამოცანა აქვს „მერანსაც", რაც უშელავათო დაპირისპირების წინაპირობად უნდა იქცეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**




საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი სარბიელი

21..04.2007 - 21-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
ოლიმპი-ჩიხურა
მერანი-დინამო(ბთ)
ლოკომოტივი-დინამო(თბ)
ზესტაფონი-დილა
კახეთი-ამერი
სიონი-ტორპედო
მესხეთი-მგლები
სამტრედია-მეშახტე
ნალჩიკი-ლოკომოტივი
კრივბასი-მეტალისტი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ქართული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

# კარგად დავინახე ჩვენი ფეხბურთის გასაჭირი


გიორგი კიკნაძე

**გიორგი კიკნაძემ სეზონში მესამე გუნდი ჩაიბარა და მას უკვე ხელი დაატყო. წინა ტურში თბილისის "ლოკომოტივმა" გასვლაზე ცხრილის შუაში მყოფ "ბათუმს" 1:0 სძლია და გუნდის სატურნირო მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს გიორგი კიკნაძის პირველი ლოკომოტივური გამარჯვება იყო...**

**- გიორგი, "ბათუმთან" მოგებით, შეგიძლიათ თქვათ, რომ გუნდი გადათამაშებას ასცდა?**

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. "ჩიხურას" და "მერანს" ორი ქულით ვასწრებთ და თავი ქუდში არ გვაქვს.

**- გადათამაშების თავიდან აცილებას რეალურად თვლით?**

- რა თქმა უნდა, რადგან "ლოკომოტივში" საკმაოდ დიდი პოტენციალის მოთამაშეები დამხვდნენ. ერთი შევნიშნე - შეიძლება "ლოკომოტივი" იმდენად სწორედ არ თამაშობდა, რამდენადაც სწორად იყო დაკომპლექტებული.

**- კალენდრის მიხედვით, კონკურენტებთან შედარებით უკეთეს სიტუაციაში ხართ?**

- არსებითი განსხვავება არაა, ერთნაირ მდგომარეობაში ვართ. თუმცა ორქულიან უპირატესობა ჩვენი პლუსია. სხვათა შორის, "ბათუმს" მოგების შემდეგ მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩებით და ისიც აუტსაიდერთა ზონაში დაეშვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია გადათამაშების აცილება.

**- "ლოკომოტივში" მისვლის შემდეგ გუნდის თამაში აშკარად შეცვლილია. რით ახსნით ამას?**

- უპირველესად, ტაქტიკა შეიცვალა. გუნდის ძველი თამაშები ვნახე და საკუთარი აზრი ჩამომიყალიბდა და ჩემი შეხედულებებით გადავაწყვე. ყველა მწვრთნელს საკუთარი მოსაზრება გააჩნია და მეც არ ვარ გამონაკლისი.

ჯერჯერობით ჩანაფიქრი მიმართლებს - "ლოკომოტივში" დანიშვნის შემდეგ, ორი ტური გავიდა და უშუალო კონკურენტებთან ოთხი ქულა მოვიპოვეთ, - "ჩიხურასთან" და "ბათუმთან". თუმცა მოკლე დროში რადიკალურად ვერაფერს შეცვლი. მე კი მინდა "ლოკომოტივმა" შემტევი, ლაღი, ლამაზი ფეხბურთი აჩვენოს.

**- კონკრეტულად რა შეცვალეთ?**

- ჩავთვალე, რომ უფრო შემტევი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა, კარზე მიჯაჭვული გუნდი არ მომწონს. საკმაოდ მიკვირდა, "ლოკომოტივი" ლიბეროთი რომ თამაშობდა. დღევანდელ ფეხბურთში ასეთი ამპლუის მოთამაშე ანაქრონიზმია, მსგავს განლაგებას დღეს არავინ იყენებს. მოკლედ, დაცვა ერთ ხაზზე ავათამაშეთ. საერთოდ, დაცვით ფეხბურთსაც თავისი სპეციფიკა გააჩნია და სულაც არ ნიშნავს, რომ თერთმეტივე ფეხბურთელი საკუთარ კარს უნდა იყოს მიჯაჭვული.

**- "ლოკომოტივის" სტადიონის საშინელ მოედანზე შემტევი ფეხბურთის ჩვენება ლამის შეუძლებელია.**

- ეს მარტო ჩვენი კი არა, მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარებას უშლის ხელს.

**- მეორე წრეში ახალგაზრდა გიორგი ალავერდაშვილი არც "ლოკომოტივში" ჩანს და არც სხვა ქართულ გუნდში. მის ასავალ-დასავალზე რა იცით?**

- უცხოეთშია, მაგრამ სად და როგორ, წარმოდგენა არ მაქვს.

**- ქუთაისის "ტორპედოდან" წამოსვლის შესახებ არაფერი გითქვამთ და იქნებ ახლა მაინც გვესაუბროთ, ეს ნაბიჯი რატომ გადადგით?**

- საერთოდ არანაირი პირობები არ იყო და ეს იყო მიზეზი. ფეხბურთში ფულის ჩადება საჭირო. ისე, როგორც გააკეთეს თურქეთში, აზერბაიჯანში. სხვაგვარად, არაფერი გამოვა.

**- წლეულს სამი გუნდი შეიცვალეთ. ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია სხვადასხვა მოტივაციისა და დონის მოთამაშებთან მუშაობა, მით უფრო, ლიდერიდან აუტსაიდერში მოხვედრა?**

- რთულიცაა და საინტერესოც. ასე უკეთ დავინახე, რეალურად რა დღეშიცაა ქართული ფეხბურთი. აბა, შეიძლება მოთამაშეს ბუცი, ფორმა და ნორმალური მოედანი არ ჰქონდეს? სამწუხაროდ, ეს თითქმის ყველა გუნდის პრობლემაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# რალფ მინგე თბილისშია

## კლაუსი 5 მაისს დინამოსა და ოლიმპის მატჩს დაესწრება


რალფ მინგე

ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **რალფ მინგე** გუშინ გამთენიისას დაბრუნდა საქართველოში. მისი ჩამოსვლა ივნისის მატჩებისთვის ნაკრების მზადების დასაწყისსა და ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებზე დაკვირვებას ემსახურება.

*"რალფ მინგე თბილისშია და აქ რამდენიმე კვირას დაყოფს. ის, პეტარ სეგრტთან ერთად, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს დაესწრება ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად",* - "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს, უგულავას თქმით, მალე თბილისში **კლაუს ტოპმიოლერიც** ჩამოვა. როგორც შევიტყვეთ, ის 5 მაისს "ოლიმპი"-"დინამოს" თამაშსაც დაესწრება.

საუბრის ბოლოს გენერალურ მდივანს, არგენტინასთან და ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩებზეც ვკითხეთ...

*"არგენტინაში ფაქსი გავაგზავნეთ და ის პირობები გავაცანით, რომლის შესრულებაც შეგვიძლია. იქიდან დღეს მივიღეთ პასუხი. არგენტინელები ერთ კვირას ითხოვენ გადაწყვეტილების მისაღებად",* - გვითხრა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

17-წლამდელთა ნაკრები. უცხოური ტურნირი

# ცანკერი სასლოვენიოდ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბულგარეთში გაიმართება.

ცოტა ხნის წინათ **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა პორტუგალიაში საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა. ამჯერად კი 17-წლამდელები სლოვენიაში, 25-30 აპრილს გასამართ საერთაშორისო ტურნირ - "ევროპა უნიტაზე" - მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირში მონაწილე 8 გუნდი ორ ჯგუფშია გადანაწილებული. საქართველო A ჯგუფშია იტალიის, სლოვენიისა და ნოვა გორიცას (სლოვენიის ერთ-ერთი რეგიონი) 17-წლამდელებთან ერთად. ჩვენი ჯგუფის მატჩებს სლოვენია უმასპინძლებს. B ჯგუფის მონაწილეთა - ხორვატია, ლიტვა, რუმინეთი და სერბეთი - მატჩები კი ავსტრიაში შედგება.

სასლოვენიოდ ჰერბერტ ცანკერმა ნაკრებში 18 მოთამაშე გამოიძახა:

მეკარეები: 1. დავით მეფარიძე (გაგრა), 12. თორნიკე ნიორაძე (დინამოს აკადემია).

მცველები: 2. დათა რიგვავა (ოლიმპის აკადემია), 3. ბაქარ მირცხულავა (ქუთაისის ტორპედო), 4. ჯაბული იამანიძე (თბილისის ომც), 5. ერნესტ ახალბედაშვილი (დინამოს აკადემია), 6. ნუგზარ ჭანკვეტაძე (?).

ნახევარმცველები: 7. ნიკა ძალამიძე (ზუგდიდის ბაია), 8. ბექა ქარდავა, 11. ერეკლე ფილია, 14. ლუკა გუგუჩია (ყველა ოლიმპის აკადემია), 9. გიგა მელიქიშვილი (თელავის კახეთი), 10. გიორგი გორდეზიანი (რუსთავის ოლიმპი), გიორგი ბაგალიშვილი (ვიტ ჯორჯია), 15. მერაბ მამულაძე (ბათუმი).

თავდამსხმელები: 16. ოთო მეუნარგია, 17. გიორგი ვაშაკიძე (ორივე დინამოს აკადემია), 18. ირაკლი შეყილაძე (ზუგდიდის ბაია).

ჩვენი გუნდი სლოვენიაში 24 აპრილს გაემგზავრება. მეორე დღეს ნოვა გორიცაში ეთამაშება ადგილობრივ ნაკრებს, 26-ში ტოლმინში სლოვენიას დაუპირისპირდება, 27-ში კი მირენში - იტალიას. ტურნირის ფინალი იტალიაში, გრადისკა დისონცოში ჩატარდება, მესამე ადგილისთვის მატჩი კი სლოვენიაში, ნოვა გორიცაში.

**დავით ცაბაძე**


ჰერბერტ ცანკერი

მესხეთი

# ახალციხეს ლიგის ჩემპიონობა სურს

ახალციხელები 22 აპრილს ზეიმით ხვდებიან. რა თქმა უნდა, ვლადიმერ ილიჩის დაბადების დღის აღნიშვნას არავინ აპირებს. პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი ახალციხის "მესხეთი" ლიდერს, ზუგდიდის "მგლებს" მასპინძლობს. შეხვედრა, ფაქტობრივად, პირველი ლიგის ჩემპიონს გაარკვევს და მესხები მონდომებით ემზადებიან მატჩისთვის.

"მესხეთის" პრეზიდენტი **გია მესხელი** მატჩის სამზადისზე გვესაუბრა: *"უმაღლესში გადასვლა, წესითა და რიგით, მალე ოფიციალურად უნდა გავიფორმოთ. თუმცა "მესხეთის" მიზანი პირველ ლიგაში მცირე ოქროს მედლების მოპოვებაცაა. ძალიან ბევრ სტუმარს და გულშემატკივარს ველოდებით. თუკი ჩვეულებრივად 1000 მაყურებლამდე დადიოდა, ახლა 3-4 ათასამდე ადამიანს ველოდებით. ძალიან გვსურს, დასწრების რეკორდი დავამყაროთ. ერთ-ერთი ის გვადარდებს, ამინდმა არ დაგვალალატოს, თუმცა სინოპტიკოსები გვამშვიდებენ".*

მესხელის თქმით, მატჩისთვის პროფესიული ფეხბურთის ლიგაც ემზადება. როგორც ცნობილია, წამახალისებელი ლატარია მხოლოდ უმაღლესი ლიგის მატჩებზე თამაშდება. ლიგამ გამონაკლისი დაუშვა და ლატარიის ბილეთები ამ მატჩამდეც გაიყიდება.

"მესხეთის" პრეზიდენტი ამბობს, როდესაც უმაღლესი ლიგის საგზურს ოფიციალურად გავიფორმებთ, ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგებას დავიწყებთო. *"ეს უნდა იყოს ბოლო თაობის საფარი, ჩვენთან ბუნებრივი საფარი მესხეთის მძიმე კლიმატის გამო ვერ გაძლებს".*

ახალციხელებს ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორი იტალიური კომპანია "დიადორას" იმედი აქვთ. მესხელმა ჩვენთვის უცნობი დეტალი გაგვიმხილა - თურმე, საქართველოს ნაკრების იტალიელი პარტნიორი ვალდებულებას იღებს, ხელოვნური ხალიჩის დაგებისთვის საჭირო თანხის 50 პროცენტი გაიღოს.

**მერაბ მამულაშვილი**


მამუკა კვარაცხელია

საპრეზიდენტო არჩევნები

# კვარაცხელიამ ორწლიანი პროგრამა წარმოადგინა

**ფეხბურთის** ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა **მამუკა კვარაცხელიამ** საარჩევნო პროგრამა გამოაქვეყნა. მან ორწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა და ყურადღება, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა.

გამარჯვების შემთხვევაში, კვარაცხელიას მომავალი ეროვნულ ჩემპიონატის აგვისტოში დაწყება და ნოემბერში დასრულება სურს, 2008 წლიდან კი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით უნდა პირველობის გამართვა. უმაღლეს ლიგას ზელიგა დაერქმევა, სამონაწილეო შენატანი კი ჯერ 15 000 ლარი იქნება, გაისად კი - 29 000.

მწვრთნელები ინგლისურსა და კომპიუტერს შეისწავლიან, სამომავლოდ კი უცხოეთში გაემგზავრებიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

უმაღლესი ლიგის მატჩების მომსახურე არბიტრების, ლაინსმენებისა და დამკვირვებლების ანაზღაურება გახდება შესაბამისად 500, 200 და 300 ლარი. საუკეთესო მსაჯები პრემიებით დაჯილდოვდებიან. გათვალისწინებულია სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. მწვრთნელთა მსგავსად, ინგლისურსა და კომპიუტერს ისინიც დაეუფლებიან. შეიქმნება მსაჯთა საპენსიო ფონდი.

შეიცვლება ბავშვთა საფეხბურთო ტურნირების სტრუქტურა, მეტი ყურადღება მიექცევა რეგიონებს. ჩვენი ბავშვთა გუნდები გაემგზავრებიან უცხოურ ტურნირებზე, საქართველოში კი ჩატარდება ყოველწლიური საერთაშორისო ბავშვთა ტურნირი „ჯორჯია ქაფი".

სავარაუდო კანდიდატი ვეტერანთათვისაც აპირებს ყურადღების მიქცევას და სურს, ფეხბურთში ყველა მათგანი დაასაქმოს. აპირებს მათი დახმარების ფონდის შექმნასაც. კვარაცხელიას აზრით, ფედერაციის შტატიან თანამშრომელთა რიცხვი 39-ს არ უნდა აღემატებოდეს.

აღმასკომის წევრთა რაოდენობის ჩამოყვანას იგი 11-მდე გეგმავს, ამას გარდა, 7 ჟურნალისტისგან შექმნილი მედიაკომიტეტის ჩამოყალიბებასაც აპირებს.

გაპრეზიდენტების შემთხვევაში, კვარაცხელია აღმასკომთან ერთად ტოპმიოლერისა და საქართველოში მოღვაწე სხვა გერმანელი მწვრთნელების კონტრაქტებს სასწრაფოდ გადახედავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერანი. ინტერვიუ ასლან ბალაძესთან

# ლიგაში უნდა დავრჩეთ

## ...მერე კი დიდი მიზნები გვაქვსო



ასლან ბალაძე

**"მერანის" ახალ მწვრთნელს ასლან ბალაძეს დღეს თავის ყოფილ გუნდ "ბათუმთან" უწევს დაპირისპირება...**

**როგორც ირკვევა, "მერანს" სამომავლოდ დიდი გეგმები ჰქონია, რომელთა შესახებაც თბილისური გუნდის ახალი მწვრთნელი გვესაუბრება.**

- მართალი გითხრათ, წინადადება "მერანის" გაწვრთნის თაობაზე ჩემთვის მოულოდნელი იყო. კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბრისას სამომავლო გეგმას გავეცანი, გუნდსა და კონტინგენტზე მანამდეც გარკვეული წარმოდგენა მქონდა და ამის შემდეგ დავთანხმდი შეთავაზებაზე. მართალია 17-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ჰერბერტ ცანკერის თანაშემწედ ვმუშაობ, მაგრამ "მერანისთვის" მაინც გამოვნახე დრო.

**- ამ ორი საქმის შეთავსება არ ჭირს?**

- მცირედი სირთულეები კი არის, მაგრამ შეთავსება ნამდვილად არ მიჭირს.

**- "მერანის" სამწვრთნელო შტაბზე რას იტყოდით?**

- ჩემი ასისტენტები დათო ეჯიბიშვილი და სერგო გაბელაია არიან. ორივე გამოცდილი სპეციალისტია და გუნდისთვის საჭირო ფიგურები არიან.

**- "მერანი" ჩაიბარეთ და მოულოდნელი შედეგიც აჩვენეთ. "ვიტ ჯორჯიასთან" თქვენი გუნდის ფრეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე...**

- მართალი გითხრათ, ჯერ კიდევ "ზესტაფონთან" მატჩამდე ვიყავი გუნდის სამწვრთნელო შტაბში. სერგო კუტივაძეს ვეხმარებოდი. "მერანში" ჩემი პირველი ხმაურიანი შედეგი კი სწორედ "ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში დაფიქსირდა. იმედი მაქვს, მომავალ მატჩებშიც მცირე თუ უფრო მასშტაბური სენსაციების ავტორები ვიქნებით.

**- "მერანზე" ახლა მეტი წარმოდგენა გაქვთ. გუნდზე რას იტყოდით?**

- ჩემი გუნდის ქებაში არ ჩამომართვათ და "მერანი" ერთ-ერთი პერსპექტიულია საქართველოში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, გუნდი სათანადოდ არაა მომზადებული და ამიტომაა, რომ უკეთესი შედეგები არ გვაქვს. მიმდინარე ჩემპიონატში ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის გვიწევს ბრძოლა. მჯერა ჩანაფიქრს განვახორციელებთ. ახალ სეზონში კი უკვე სერიოზული მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ქვედა ლიგებში მოასპარეზე ჩვენი კლუბის ფეხბურთელების თამაშსაც ვაკვირდები და აშკარაა, რომ ნიჭიერი თაობა გვეზრდება.

**- გაჟღერდა, "მერანში" არგენტინელი ფეხბურთელები და მწვრთნელები გამოჩნდებიანო. ეს პროექტი მართლაც განიხილება?**

- დიახ, ეს საკითხი დღის წესრიგში დგას და განიხილება. ვნახოთ რას გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა.

**- თუ არგენტინელი მწვრთნელი ჩამოიყვანეს "მერანში" თქვენ მის შტაბში იქნებით?**

- "მერანთან" სეზონის ბოლომდე გავაფორმე კონტრაქტი. თუ კლუბის ხელმძღვანელობა მოისურვებს, ხელშეკრულებას კიდევ გავაგრძელებ. დეტალურად ყველაფერს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადავწყვეტ.

**- ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში პრემიალურები დიდად ნაგადგებათ. კლუბის ფინანსური ზურგი რამდენად შეგეშველებათ?**

- მერწმუნეთ, ფინანსების მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ჩვენთან ხელფასები და პრემიები დროულად გაიცემა.

**- საუბარი იყო არგენტინაში მოსამზადებელი შეკრების გავლასა და იქაურ ტურნირში მონაწილეობაზეც...**

- დიახ, ეს ვარიანტიც განიხილება. საკითხი სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება.

**- მომავალ სეზონში დიდი გეგმები გვაქვსო, ბრძანეთ. კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- ჩვენ გვყავს გამოცდილი ფეხბურთელები გიორგი ქორიძე, ზაზა ზირაქიშვილი, ვალერი გაგუა... ასევე გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები. მათი სინთეზით, გვინდა, ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. ამ კონტინგენტს, კიდევ 3-4 კარგი ფეხბურთელით გავაძლიერებთ, ალბათ ლეგიონერსაც დავიმატებთ და მომავალ სეზონში ევროტურნირებისთვის ვიბრძოლებთ.

**- ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- ვფიქრობ, "ბათუმი" ამ სიაში" არ მოხვდება, საშიშ ზონას "ბორჯომმაც" დააღწია თავი. ჩვენი კონკურენტები "ლოკომოტივი" და "ჩიხურა" არიან. ყველაფრის მიუხედავად, შევძლებთ და ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ.

**- ამ უქმეებზე, მშობლიურ "ბათუმს" უმასპინძლებთ. ყოფილი თანაგუნდელის და მეგობრის გუნდთან მოგიწევთ დაპირისპირება. ეს ალბათ თქვენში გამორჩეულ გრძნობებსაც კი იწვევს...**

- მართლაც რთული მატჩი გველის. "ბათუმი" კარგი გუნდია. სწორედ აღნიშნეთ, მართლაც, ჩემი მეგობრის წინააღმდეგ მომიწევს თამაში, მაგრამ ეს სპორტია და ბუნებრივია, გამარჯვებას შევეცდებით.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!






მათე ლვინიანიძე (მარცხნივ)

ლეგიონერები

# ლვინიანიძე: პირველი გოლი გერმანიაში

მეორე ბუნდესლიგაში 30-ე ტურის მატჩები დაიწყო. ტრავმის შემდეგ "მიუნხენის" სასტარტოს დაუბრუნდა ქართველი მცველი **მათე ლვინიანიძე**, რომელმაც გოლით გამოიჩინა თავი, 59-ე წუთზე მან 2:1 დააწინაურა "კიოლნთან" მატჩში. მათემ 10 მეტრიდან თითქმის ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. ეს ლვინიანიძის პირველი გოლია მისთვის სადებიუტო სეზონში. მათემ 90 წუთი ითამაშა, "მიუნხენმა" კი "კიოლნი" 3:1 დაამარცხა. "შპორტლმა" მათეს თამაში 3,5 ბალით შეაფასა. **დავით სირაძის** "აუე" შინ ესენის "როტ ვაისს" დაუზავდა - 0:0. ქართველ ფორვარდს არ უთამაშია. "მიუნხენი" 44 ქულით მეშვიდე ადგილზეა, "აუე" 43 ქულით - მერვეზე. ხვალ ჩვენთვის ძალზე საინტერესო მატჩი გაიმართება - "ფრაიბურგი" იენის "კარლ ცაისს" უმასპინძლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალაძე ჭორებმა გააღიზიანა

გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** "მილან ჩენელი" შუადღის ვარჯიშის წინ გაესაუბრა. კახა მხნედაა და სეზონის ბოლომდე კლუბს აუცილებლად დაეხმარება.

*"ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე. ამ მხრივ პრობლემა აღარ მაქვს, ახლა მხოლოდ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, რომელიც ბოლო დროს ასე მაკლია. გული დამწყვიტა პრესაში გავრცელებულმა ჭორმა, თითქოს, მე ვიუკადრისე "ასკოლისთან" მატჩში სათადარიგო სკამზე ჯდომა. მსგავსიც არაფერი ყოფილა. სინამდვილეში აი რა მოხდა - კარლო ანჩელოტის ვესაუბრე და ვუთხარი, რომ თავს მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვერ ვგრძნობდი და მან მიპასუხა, რომ პრობლემას ვერ ხედავდა, თუ დავისვენებდი"...*

*"ახლა სრულ მზადყოფნაში ვარ და იმედი მაქვს, რომ "კალიარისთან" თამაში მომიწევს. სხვათა შორის, მეტოქე ძალიან სერიოზულია, მათი ფორვარდი სუაზო სწრაფი და მოუხელთებელია. მაგრამ "მილანი" აღმავლობას განიცდის და ჩვენ "კალიარის" არ გვეშინია. უბრალოდ, მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ, ვიმედოვნებ, რომ მოგება საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩება".*

*"მილანი" ახლა საუკეთესო ფორმაშია და ფსიქოლოგიურადაც აღმავლობას განიცდის. აშკარად უკეთ ვთამაშობთ და დამსახურებულადაც ვიგებთ. სეზონის ბოლომდე ცოტა მატჩი რჩება და ყველა ძალზე მნიშვნელოვანია.*

*კლუბში "მანჩესტერზე" ჯერ არავინ ფიქრობს, ჯერ "კალიარია" დასამარცხებელი. ძალიან მნიშვნელოვანია ხვალინდელი მატჩი, რომელიც უნდა მოვიგოთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ ჩემპიონთა ლიგაზე. ვიმეორებ, სეზონში ყველა დარჩენილი მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია".*

# ციმაკურიძეს ექვით უყურებენ

უკრაინის პირველი ლიგის ჩემპიონატის 21-ე ტურში მარიუპოლის "ილიჩევეცი" კიევის "დინამო 2-ს" მასპინძლობდა. ამ დღეს მომხდარ ინციდენტზე "ლელო" უკვე იუწყებოდა - **გიორგი ციმაკურიძესთან** უხეშობისთვის ბრაზილიელი **დიოგო რინკონი** მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

ამ ეპიზოდს უკრაინული პრესა ახლა სხვაგვარად აშუქებს. უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" წერს: *"ციმაკურიძე პირველივე წუთებიდან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მეტოქის შეტევას მცირე ჯარიმებით შლიდა. კონფლიქტი 22-ე წუთზე დაიწყო, როდესაც ქართველმა ლეგიონერმა წაქცეულ კიეველ დედეჩკოს ფეხებით გადაუარა. მსაჯმა ყვითელი ბარათი მაშინვე აჩვენა და მეტოქეებმა გარჩევები დაიწყეს. დიეგო რინკონს ნერვებმა უმტყუნა და ციმაკურიძეს მკერდში ხელი ჰკრა. ამისთვის რინკონმაც ყვითელი მიიღო.*

*თუმცა საქმე ამით არ დასრულებულა. მცირე ხნის შემდეგ "ილიჩევეცის" საჯარიმოსთან რინკონი და ციმაკურიძე ისევ წალაპარაკდნენ, ბრაზილიელმა ქართველს მხარი მიარტყა, ის კი მოედანზე წაიქცა და სახეზე ხელი აიფარა. მსაჯმა კიეველ ფეხბურთელს წითელი ბარათი აჩვენა. უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ინციდენტის განხილვისას, შეხვედრის ვიდეოჩანაწერის წარდგენა მოითხოვა. თუმცა, როგორც გაირკვა, არც ერთი გუნდის ჩანაწერში ეს ეპიზოდი აღარაა".*

საერთოდ, მარიუპოლის "ილიჩევეცი" დონეცკის "შახტარის" პარტნიორ გუნდადაა ცნობილი და ამ ინციდენტზე ყურადღებას სხვა მიზეზითაც ამახვილებენ. კიევის "დინამომ" და "შახტარმა" ერთმანეთს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. დოპინგსკანდალს, დემეტრაძის საქმეს ესეც დაემატა, რადგან კიეველები დარწმუნებულები არიან, რომ მარიუპოლელებმა პროვოკაცია მოუწყვეს. რინკონი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა და დუბლებში ფორმის ალსადგენად ითამაშა.

კიეველები ჩემპიონატში "შახტარს" ასწრებენ, მაგრამ წამყვანი მოთამაშის დაკარგვა რაში აწყობდათ? ჰოდა, ჩათვალეს, რომ დონეცკელთა პარტნიორმა კლუბმა მათ პროვოკაცია მოუწყო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაიკლ ოუენი ჯერ ვერ ითამაშებს

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ

# ოუენი გადაიდო

**დღეს**

**ტოტენჰემი-არსენალი**
**ბოლტონი-რედინგი**
**ჩარლტონი-შეფილდ იუნაიტედი**
**ფულჰემი-ბლექბერნი**
**ლივერპული-ვიგანი**
**უოტფორდი-მანჩესტერ სიტი**
**ვესტ ჰემი-ევერტონი**
**მანჩესტერ იუნაიტედი-მიდლსბრო**

**ხვალ**

**ნიუკასლი-ჩელსი**
**ასტონ ვილა-პორტსმუთი**

"მანჩესტერ იუნაიტედი" საკადრო პრობლემებს უნდა გაუმკლავდეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე "მენიუს" 81 ქულა აქვს, "ჩელსის" - 78. ლიდერები ერთმანეთს 9 მაისს, "სტემფორდ ბრიჯზე" შეხვდებიან, 19 მაისს - ასოციაციის თასის ფინალში, ხოლო 23 მაისს, შეიძლება, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშონ.

"იუნაიტედმა" ბოლო ცხრა შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგო ("პორტსმუთთან"), ყველა ტურნირზე ბოლო შვიდ მატჩში 20 გოლი გაიტანა, შვიდი მოიგო და მხოლოდ ორჯერ შეინახა კარი მშრალად. "მიდლსბროსთან" სამი მცველი - **პატრის ევრა, ჯონ ოში** და **რიო ფერდინანდი** დაბრუნდება. სხვა დაშავებული ფეხბურთელები - **ნემანია ვიდიჩი, გარი ნევილი** და **ლუის საა** პირველად ორშაბათს ივარჯიშებენ. "მიდლსბროს" ნახევარმცველი **ხულიო არკა** ვერ დაეხმარება. საეჭვოა **აბელ შავიერის** ასპარეზობა. გამოჯანმრთელდნენ **რობერტ ჰუთი** და **მარკ ვიდუკა**...

"ლივერპულთან" 20 იანვრის მატჩის შემდეგ "ჩელსიმ" ზედიზედ ცხრა თამაში მოიგო და ერთი გოლი გაუშვა, ისიც "ვესტ ჰემთან", ოთხშაბათის გამოტოვებულ შეხვედრაში (4:1). ამ პერიოდში "არისტოკრატებმა" ინგლისის ლიგის თასიც მოიპოვეს. დაშავებული ფეხბურთელები ბრუნდებიან და გუნდიც ოპტიმალურ ფორმას კრეფს. ხვალ "ჩელსი" "ნიუკასლს" ესტუმრება და მეათე მატჩის მოგებას შეეცდება. ანდრეი შევჩენკოს თამაში ისევ საეჭვოა. მან "ბლექბერნთან" ერთი კვირის წინანდელ სათასო ნახევარფინალში ტერფი იტკინა და "ვესტ ჰემთან" მატჩი გამოტოვა. "ჩაქუჩებთან" ძირითადში ვიხილეთ **შონ რაიტ-ფილიპსი**. მან დუბლი მიითვალა და დღესაც, ალბათ, სასტარტოში ითამაშებს. შევჩენკოს ადგილს კოტდივუარელი **სალომონ კალუ** დაიკავებს. ვერ ითამაშებს **არიენ რობენი**. ის მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს.

"ნიუკასლი" **მაიკლ ოუენის** დაბრუნებას ელოდებოდა, მაგრამ დაბრუნება 30 აპრილამდე გადაიდო. იქამდე ოუენი საზარდულის ტრავმას მოიშუშებს. შარშანდელი მუნდიალის შემდეგ თავდამსხმელმა მხოლოდ 70 წუთი ითამაშა - შოტლანდიურ "გრეტნასთან" ერთი კვირის წინანდელ ამხანაგურ მატჩში. ოუენის გარდა, დაშავებულები არიან **შოლა ამეობი** და **შეი გივენი**. **კირონ დაიერი, ანტუან სიბირსკი** და **სკოტ პარკერი** განაცხადში იქნებიან...

იმ კვირაში ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალები გაიმართება. ლივერპულელ **კრეიგ ბელამის** ორი მატჩი გაუცდა და ფორმაში ჩადგომა სჭირდება. ის "ვიგანთან" თამაშს იმედოვნებს. გამოჯანმრთელდა ნახევარმცველი **ჩაბი ალონსო**. ბარძაყის ტრავმის გამო მან გასულ უქმეებზე, "მიდლსბროსთან" შეხვედრა გამოტოვა. "ლივერპულის" მეტოქე "ვიგანს" ძირითადის ხუთი ფეხბურთელი აკლია. **რაფა ბენიტესს** სამი ქულის მოპოვების კარგი შანსი აქვს...

"უაით ჰართ ლეინზე" 155-ე (140-ე ჩემპიონატში) ჩრდილოლონდონური დერბი გაიმართება. "ტოტენჰემს" უეფას თასის ზონაში მოხვედრა სურს, მაგრამ თანაქალაქელისთვის 17 მატჩია, არ მოუგია (1999 წლის შემდეგ). "არსენალს" პრობლემები აქვს. ამიტომ ამ წყვილში გამოკვეთილ ფავორიტად ვერ ჩაითვლება. "ტოტენჰემს" კაპიტანი **ლედლი კინგი** დაუბრუნდება. საეჭვოა **რობი კინის** თამაში. ირლანდიელმა "ვიგანთან" ბოლო ტურში ორი გოლი გაიტანა. "მეთოფეები" **სესკ ფაბრეგასს** ვერ დაიხმარენ. ის გაციებულია. მცირე ტრავმები აქვთ **ფრედი ლიუნგბერგსა** და **აბუ დიაბის**...

ამავე ტურში, შეიძლება, პირველი გავარდნილი კლუბის ვინაობა გაირკვეს. "უოტფორდი" გადარჩენის თეორიულ შანსსაც კი დაკარგავს, თუ "მანჩესტერ სიტისთან" დამარცხდება. სხვა აუტსაიდერთაგან, "ვესტ ჰემი" "ევერტონს" უმასპინძლებს, ხოლო "ჩარლტონი" "შეფილდ იუნაიტედს" შეხვდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 33 | 26 | 3 | 4 | 77-23 | 81 |
| 2. ჩელსი | 33 | 24 | 6 | 3 | 60-20 | 78 |
| 3. ლივერპული | 34 | 19 | 7 | 8 | 52-22 | 64 |
| 4. არსენალი | 34 | 18 | 8 | 8 | 57-31 | 62 |
| 5. ევერტონი | 34 | 14 | 12 | 8 | 46-30 | 54 |
| 6. ბოლტონი | 34 | 16 | 6 | 12 | 41-42 | 54 |
| 7. პორტსმუთი | 34 | 13 | 10 | 11 | 43-38 | 49 |
| 8. ტოტენჰემი | 33 | 14 | 7 | 12 | 47-48 | 49 |
| 9. რიდინგი | 34 | 14 | 6 | 14 | 45-41 | 48 |
| 10. ბლექბერნი | 33 | 13 | 4 | 16 | 41-48 | 43 |
| 11. ასტონ ვილა | 34 | 9 | 15 | 10 | 36-39 | 42 |
| 12. ნიუკასლი | 34 | 11 | 8 | 15 | 37-43 | 41 |
| 13. მანჩესტ. სიტი | 34 | 11 | 8 | 15 | 27-38 | 41 |
| 14. მიდლსბრო | 34 | 10 | 9 | 15 | 37-44 | 39 |
| 15. ვიგანი | 34 | 9 | 8 | 17 | 35-52 | 35 |
| 16. ფულჰემი | 34 | 7 | 14 | 13 | 34-53 | 35 |
| 17. შეფილდი | 34 | 9 | 7 | 18 | 29-49 | 34 |
| 18. ჩარლტონი | 34 | 8 | 8 | 18 | 30-51 | 32 |
| 19. ვესტ ჰემი | 34 | 8 | 5 | 21 | 27-58 | 29 |
| 20. უოტფორდი | 34 | 4 | 11 | 19 | 25-56 | 23 |

არსენალი

# რატომ გადადგა დინი?

## შეიძლება, ანრი ამ ზაფხულსვე წავიდეს, ვენგერმა კი უკვე გადაწყვიტა...

"არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე და კლუბის ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი **დევიდ დინი** პოსტიდან გადადგა. ფაქტის ოფიციალური ახსნა ამგვარია: მისტერ დინსა და დირექტორატის სხვა წევრებს შორის აზრთა რადიკალური სხვაობა. ანუ, ასე ვთქვათ, კონცეპტუალური დაპირისპირება. რაც შეეხება ამ დაპირისპირების მიზეზს, რასაც კლუბი ოფიციალურ დონეზე არ ახმოვანებს, საზოგადოება ამას მათ გარეშეც ხვდება: ეს გახლავთ ამერიკელი მილიარდერი **სტენ კრუნკე**, რომელმაც "არსენალის" დაუფლების სურვილი გამოთქვა (ამჟამად, კრუნკეს კლუბში 11 პროცენტი აქვს).

63 წლის დინი ერთადერთი აღმოჩნდა "არსენალის" დირექტორატში, რომელიც ამ იდეას ემხრობოდა. დანარჩენებს ამერიკელის გაგონებაც არ სურთ, ყოველ შემთხვევაში, დღეს ასეა. აგერ, "მეთოფეთა" თავმჯდომარე **პიტერ ჰილ-ვუდი** გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ "კლუბი ამერიკელს ფეხქვეშ არ გაეგება". მოკლედ, ყველაფერი ნათელია.

თუმცა BBC-ის მომხდარზე ცოტა განსხვავებული ვერსია აქვს. პოპულარული გამოცემის სპორტული მიმომხილველი **მიჰირ ბოუზი** ფარდას ხდის "არსენალის" დირექტორატის ორი დღის წინანდელ საიდუმლო სხდომას, რომელზეც დინს ლამის პირდაპირ უთხრეს, რომ უნდა წასულიყო.

*"მას ყოველთვის სურდა და იბრძოდა კიდეც იმისთვის, რომ "არსენალს" თავისი აქციები საფონდო ბირჟაზე გაეტანა, როგორც ეს "მანჩესტერ იუნაიტედმა" გააკეთა. მაგრამ თავმჯდომარე ჰილ-ვუდი და მთავარი აქციონერი (24 პროცენტი) დენი ფიჟმანი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. დაპირისპირება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ისე, რომ საზოგადოება ამას ნაკლებად ამჩნევდა. კრუნკეს ფაქტორმა კი, უბრალოდ, მოვლენებს რადიკალური განვითარება მისცა".*

### რა შეიძლება დაკარგოს არსენალმა?

დინი კლუბში 1983 წელს მივიდა. აქციათა 16 პროცენტში მან 300 000 გირვანქა გადაიხადა. მაგრამ დინი ამით არ დაკმაყოფილდა და 1991 წლისთვის საკუთარი წილი 42 პროცენტამდე გაზარდა. ანუ, ეს ხდება პრემიერლიგის დაარსებამდე ერთი წლით ადრე. ეს წლები კი ინგლისურ კლუბთა ფინანსური კეთილდღეობის დასაწყისია. ცოტა ხანში, დინმა თავისი აქციების ნაწილი **დენი ფიჟმანს** 10 მილიონ გირვანქად მიჰყიდა. ამრიგად, ყოფილი ვიცე-თავმჯდომარის წილი, დღესდღეობით, 14.5 პროცენტია.

დინის სახელს უკავშირდება მთავარი მწვრთნელის პოსტზე **არსენ ვენგერის** მიწვევა, რაც იმ დროისთვის მოულოდნელი ნაბიჯი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ **ბრიუს რიოჩი** თანამდებობიდან სეზონის (1996 წლის აგვისტო) დაწყებამდე ხუთი დღით ადრე დაითხოვეს. თუმცა დრომ აჩვენა, რომ დინი არჩევანში არ შემცდარა. ყოველ შემთხვევაში, "არსენალის" ფანებს ვენგერის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ და არც ახლა აქვთ. "ემირითსზე" ის ჯერაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში "არსენალის" მონაგარი ნაკლებად სახარბიელოა...

ვენგერსა და დინს შორის თავიდანვე თბილი და საქმიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მისტერ დევიდმა ხელი არ შეუშალა, პირიქით, წაახალისა კიდეც ვენგერის სურვილი, ლონდონში უცხოელი ვარსკვლავები მოემრავლებინა. ამ საქმეში ისინი პიონერებადაც ითვლებიან. დღეს ბევრი სამართლიანად მიიჩნევს, რომ უცხოელთა ფაქტორმა ინგლისური საკლუბო ფეხბურთი უფრო მრავალფეროვანი და წარმატებული გახადა, თუმც კი, ბევრისვე აზრით, ამან უარყოფითად იმოქმედა ინგლისის ნაკრებზე...

დინი ვენგერს ჩვილივით უფრთხილდებოდა. სწორედ მან დაბლოკა **სვენ-გორან ერიქსონის** მემკვიდრედ ვენგერის დანიშვნის მცდელობა. სწორედ დინი იყო ის კაცი, რომელმაც ამდენ ხანს შეინარჩუნა **ტიერი ანრი**, განსაკუთრებით გასულ წელს, როცა ფრანგ ფორვარდს აბარგება, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი ჰქონდა...

დინის გადადგომის შემდეგ, ლონდონელთა თავმჯდომარე ჰილ-ვუდმა დაარწმუნა ფანები, რომ ვენგერს არაფერი ემუქრება და რომ მას დირექტორატის სხვა წევრებთანაც "კარგი" ურთიერთობა აქვს. თუმცა ყველამ იცის, რომ ასე არ არის. ისევ BBC-ის მიმომხილველს მოვუსმინოთ: *"დინი ყოველთვის ღრმად იხედებოდა კლუბის საფეხბურთო საქმეებში. ის იყო ყველა ტრანსფერის სულისჩამდგმელი და ერთადერთი კაცი, ვინც ვენგერს ელაპარაკებოდა. შეიძლება, ვენგერის დარჩენის თაობაზე დირექტორატის მიერ გაკეთებული განცხადება, რაღაც დოზით, გულწრფელია, მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ კლუბში მხოლოდ იმ ხალხის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ, ვინც "არსენალთან" ისტორიულადაა დაკავშირებული და ამერიკულ ინვესტიციებზე უარს ამბობს"...*

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ არსენ ვენგერის გუშინდელი განცხადებაც - "არსენალთან" კონტრაქტს აღარ გავაგრძელებ". მოქმედი ხელშეკრულება მას 2008 წელს ეწურება. ასე რომ, ერთ წელიწადში "მეთოფეებს" კიდევ ერთი დიდი ფიგურა დატოვებს. ხოლო ანრი, შესაძლოა, უკვე ამ სეზონის ბოლოს წავიდეს. თუმცა ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ივნისიდან ჩემოდნებზე ვენგერიც ვიხილოთ. აი, რა შეიძლება დაკარგოს "არსენალმა"...

### დღეს და ხვალ...

როგორ იქნება საქმე ახლო მომავალში? დღევანდელი სიტუაცია ალბიონივით ბურუსითაა მოცული. დინის წასვლის შემდეგ, ჰილ-ვუდმა სთხოვა დირექტორატის დანარჩენ წევრებს, ამჟამინდელი პროცენტები მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნონ. ჯამში ეს 45 პროცენტს შეადგენს. არ გამორიცხავენ, რომ ამერიკელმა სწორედ დინის აქციები (14.5 პროცენტი) იყიდოს. თუმცა საფეხბურთო ბიზნესის ექსპერტი, პროფესორი **ტომ ქენონი** დარწმუნებულია, დინისა და "მშვიდი სტენის" (კრუნკეს მეტსახელი) ალიანსი 45 პროცენტის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება.

*"ისინი საფონდო ბირჟების გარეთ ვაჭრობენ. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება კლუბის ყიდვა, თუკი ერთ მხარეს ხელში 45 პროცენტი უჭირავს. დღევანდელი დირექტორატის მთავარი ამოცანა იქნება, წვრილი აქციონერებისგან 5 პროცენტიც გამოისყიდოს და ამ გზით დაბლოკოს "არსენალის" დაუფლების ამერიკული მცდელობა".*







დევიდ დინის წასვლამ არსენალში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, თვით ანრისა და ვენგერსაც კი აბარგება უწინასწარმეტყველეს

## იტალია. სერია A. XXXIII ტურის წინ

# ინტერი ატალანტას უქომაგებს

## ადრიანოს სიმულაცია ორ მატჩად დაუჯდა




სკანდალური ეპიზოდი ოთხშაბათის მატჩიდან: სიმულანტი ადრიანო დაისვენებს

**დღეს**

**სამპდორია-მესინა**
**მილანი-კალიარი**

**ხვალ**

**ატალანტა-რომა**
**კიევო-ლივორნო**
**ემპოლი-ტორინო**
**ლაციო-ფიორენტინა**
**რეჯინა-უდინეზე**
**სიენა-ინტერი**
**პალერმო-პარმა**
**კატანია-ასკოლი** *2 მაისს*

სერია A-ს 33-ე ტურს დღეს "სამპდორია"-"მესინის" დაპირისპირება გახსნის. გენუელებმა ზედიზედ ორი შეხვედრა წააგეს და ეცდებიან, ჯავრი სიცილიელებზე იყარონ. "მესინა" გავარდნისთვის განწირული ჩანს, გუნდი ზედიზედ ხუთ შეხვედრაში დამარცხდა. დღესვე, მოგვიანებით "მილანი" "კალიარის" უმასპინძლებს და გენერალურ რეპეტიციას გაივლის ჩემპიონთა ლიგისთვის. "როსონერი" სამშაბათს მანჩესტერში გასამართი პირველი ნახევარფინალისთვის ემზადება და ამიტომ **ანჩელოტი** მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელების დასვენებას აპირებს. პირველ რიგში ეს არის **კაკა**, რომელსაც დღეს **გურკუფი** შეცვლის. დაისვენებს დაცვის "ჩემპიონთალიგური" კვარტეტიც **ოდო-ნესტა-მალდინი-იანკულოვსკი**. ამიტომ მილანური დაცვის ხაზი ასეთი იქნება: **კაფუ**, **შიმიჩი** (ან **ბონერა**), **კალაძე** და **ფავალი**. ნახევარდაცვაში **ბროკი** და **ზეედორფი** ითამაშებენ, **გატუზო** და **ამბროზინი** კი, სავარაუდოდ, თითო ტაიმს ჩაატარებენ. თავდასხმაში **რონალდოს** მეწყვილე ალბათ **ოლივეირა** იქნება, თუმცა ამასობაში დოპინგისთვის დასჯილ **ბორიელოს** სამთვიანი დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და შესაბამისად, მისი მონაწილეობაც არ არის გამორიცხული. ტრავმირებულ **დიდას** კი კარში **კალაჩი** შეცვლის. "ბაიერნთან" მიუნხენში გამარჯვების შემდეგ, ანჩელოტიმ თქვა, ახლა ჩემპიონატში მომდევნო სამი შეხვედრა უნდა მოვიგოთო. ორი უკვე მოიგო (მესინაში 3:1 და ბოლოს ასკოლიში 5:2) და ახლა "კალიარი" რჩება. გასულ ტურში გამარჯვებით "მილანმა" "პალერმოს" ოთხი ქულით გაასწრო და მეოთხე ადგილი განიმტკიცა. დარჩენილ ექვს ტურში მისია ოთხეულში ადგილის შენარჩუნება იქნება.

გასულ ტურში "ინტერს" "რომასთვის" რომ მოეგო, ჩემპიონი ხდებოდა, მაგრამ 1:3 წააგო და ზეიმი გადაედო. იმისთვის, რომ მილანელები ჩემპიონებად ხვალ გამოცხადდნენ, საჭიროა, რომ "რომამ" ბერგამოში წააგოს, "ინტერმა" კი სიენაში მოიგოს. თუმცა ამის გაკეთება **რობერტო მანჩინის** გუნდისთვის იოლი არ იქნება. პირველ რიგში იმიტომ, რომ "ნერაძურის" თამაშს ბოლო ხანს ყავლი გაუვიდა (მხოლოდ 2 ქულა ბოლო სამ ტურში) და კიდევ იმიტომ, რომ ტოსკანაში მილანელები დიდი საკადრო პრობლემებით ჩადიან, განსაკუთრებით თავდასხმაში: **ადრიანო** ორი მატჩით არის დისკვალიფიცირებული. "რომასთან" შეხვედრაში ბრაზილიელმა არბიტრს 11-მეტრიანი გამოსტყუა, მას შემდეგ, რაც მეკარე **დონისთან** ორთაბრძოლისას წაიქცა. სადისციპლინო კომისიამ ეს ეპიზოდი ვიდეოჩანაწერში განიხილა და გადაწყვიტა, რომ ადრიანოს ნაქცევა სხვა არაფერი იყო თუ არა სიმულაცია, რადგან დონი, პრაქტიკულად, არც კი შეხებია. ამის გამო ფორვარდს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. დისციპლინარების სასჯელმა **მასიმო მორატი** ალაშფოთა. მართალია, "ინტერის" პრეზიდენტმა აღიარა, 11-მეტრიანი არ იყოო, მაგრამ ფედერაციის გადაწყვეტილებას აბსურდული და დამცინავი უწოდა და განაცხადა, რომ კლუბი სააპელაციო კომიტეტში საჩივარს აუცილებლად შეიტანს. თუმცა საჩივარს მომდევნო კვირაში განიხილავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრიანოს სულ ცოტა ერთი მატჩის გამოტოვება მაინც მოუწევს. ბოლომდე ჯანმრთელად არ არის **იბრაჰიმოვიჩი**, მაგრამ იტალიური პრესა წერს, რომ შვედი თავს ძალას დაატანს და ხვალ მოედანზე მაინც გავა. **კრესპო** ტრავმირებულია, ამიტომ ძირითადში **კრუსი** ითამაშებს, ალტერნატივა **რეკობაა**. დისკვალიფიცირებულ **ფიგუს**, სავარაუდოდ, **სოლარი** შეცვლის, ხოლო დაშავებული **ვიეირას** ადგილს ალბათ **დაკური** დაიკავებს. დისკვალიფიკაციის გამო, ორი წამყვანი ფეხბურთელი, **ბერტოტო** და **მოლინარო**, დააკლდება "სიენასაც", რომელმაც გასულ ტურში შინ "ტორინოს" 1:0 მოუგო.

რთული გასვლა ელის "რომას" ბერგამოში. დედაქალაქურ გუნდს დისკვალიფიკაციის გამო სამი ლიდერი არ ეყოლება: **მექსე**, **პისარო** და **მანსინი**. შეიძლება, ასევე ვერ ითამაშოს **ფრანჩესკო ტოტიმ**, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და დასვენება სჭირდება. კაპიტანს, წესით, არც "სან სიროზე" უნდა ეთამაშა, მაგრამ შეხვედრა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თავს ძალა დაატანა და დაუფასდა კიდეც: 89-ე წუთზე ჯარიმიდან გატანილი გოლით "რომას" გამარჯვება მოუტანა. ამასობაში "ჯალოროსის" ტრავმამოშუშებული **ტადეი** და **ტონეტო** დაუბრუნდნენ. რომაელებმა ჩემპიონატში ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს, "ატალანტამ" კი ზედიზედ ორი საშინაო გამარჯვების შემდეგ, ოთხშაბათს ემპოლიში 0:2 წააგო. ამ თამაშში ბერგამოელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა **კრისტიან ვიერის**, რომელიც ხვალაც თადარიგში დაიწყებს და, სავარაუდოდ, მოედანზე ისევ მეორე ტაიმში გამოჩნდება. თუ ბობო "ატალანტას" "რომასთან" მოაგებინებს, ამით თავისი ექსგუნდის "ინტერის" საქმესაც გააკეთებს.

პარმაში 0:2-ზე დამარცხების შემდეგ, "ფიორენტინას" კიდევ ერთი რთული გასვლა ელის "ლაციოსთან", რომელმაც ზედიზედ რვა გამარჯვების შემდეგ, ბოლო ორ ტურში მხოლოდ ორი ქულა აილო (ასკოლიში 2:2 და შინ "კიევოსთან" 0:0) და მეორე ადგილზე ოცნებას, პრაქტიკულად, დაემშვიდობა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 25 | 6 | 1 | 66-28 | 81 |
| 2. რომა | 32 | 20 | 8 | 4 | 65-24 | 68 |
| 3. ლაციო | 32 | 17 | 9 | 6 | 54-26 | 57 |
| 4. მილანი | 32 | 17 | 10 | 5 | 50-29 | 53 |
| 5. პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6. ემპოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 35-31 | 49 |
| 7. ფიორენტინა | 32 | 17 | 8 | 7 | 52-28 | 44 |
| 8. უდინეზე | 32 | 11 | 9 | 12 | 41-44 | 42 |
| 9. ატალანტა | 32 | 9 | 12 | 11 | 45-45 | 39 |
| 10. სამპდორია | 32 | 10 | 9 | 13 | 37-41 | 39 |
| 11. ლივორნო | 32 | 8 | 12 | 12 | 34-47 | 36 |
| 12. სიენა | 32 | 7 | 14 | 11 | 28-35 | 34 |
| 13. კალიარი | 32 | 7 | 13 | 12 | 27-35 | 34 |
| 14. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 15. ტორინო | 32 | 8 | 8 | 16 | 25-43 | 32 |
| 16. რეჯინა | 32 | 10 | 11 | 11 | 42-43 | 30 |
| 17. კიევო | 32 | 6 | 11 | 15 | 33-43 | 29 |
| 18. პარმა | 32 | 6 | 11 | 15 | 28-49 | 29 |
| 19. მესინა | 32 | 5 | 9 | 18 | 30-55 | 24 |
| 20. ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26-56 | 20 |

## ინტერვიუ მარკო მატერაცისთან

# სკუდეტო ვერსად გაგვექცევა

**ორი თვის უკან ერთ-ერთი იტალიური ტოტალიზატორი მზად იყო, მოგებული თანხა გადაეხადა მათთვის, ვინც სეზონის წინ ფსონი "ინტერის" გაჩემპიონებაზე დადო. დღეს კი, ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე, გამოჩნდა ფანტაზიორი ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ "ინტერს" ჯერ კიდევ შეუძლია, სკუდეტო დაკარგოს. ითვლიან რაღაც ვარიანტებს და პარალელებს ავლებენ წარსულის ექსტრაორდინარულ პრეცედენტებთან, როცა მდევარი გუნდი ფინიშზე რაღაც სასწაულით ახერხებდა ლიდერისთვის გასწრებას და გაჩემპიონებას. მაგრამ მხოლოდ არითმეტიკა და თეორიული შესაძლებლობა არაა ის, რამაც ეს ხალხი აალაპარაკა. მიზეზი თვითონ "ინტერია", უფრო სწორად "ისევ ის ინტერი", რომელიც ტიფოზებმა ოთხშაბათს "სან სიროზე" იხილეს და რომლისგანაც - ისტორია მოწმობს - ყველაფერია მოსალოდნელი. ოთხშაბათს "ნერაძური" "რომასთან" მოსაგებად და მე-15 სკუდეტოს ზეიმით აღნიშვნისთვის ემზადებოდა, მაგრამ წააგო, ჩემპიონატში პირველად. "რომასთან" სხვაობა 20-დან 13 ქულამდე შემცირდა. მანჩინის გუნდში, რომელიც სერია A-ში ქვას ქვაზე არ ტოვებდა, ბოლო დროს რაღაც ისე ვერ არის და ამის კულმინაცია, ორი ფრის შემდეგ, სწორედ "რომასთან" შეხვედრაში იყო: ფეხბურთელები დაბნეულები და შეშინებულები იყვნენ, ისე როგორც ძველ დროს. მოკლედ, რაღაც ვერ არის, მაგრამ რა? ამის გასარკვევად "გაძეტა დელო სპორტმა" ხუთშაბათს "შავ-ლურჯების" ქარიზმატულ ლიდერს მარკო მატერაცის მიაკითხა. მართალია, ზუსტი პასუხი არც "მატრიქსს" აქვს და ამიტომ მიზეზს სადღაც არაცნობიერში ეძებს, მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებულია - "ინტერი" ჩემპიონი გახდება. ამის გარანტიას მატერაცი ყველა ინტერისტას სახელით იძლევა.**

**- მატერაცი, შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ხდებოდა ოთხშაბათს, "რომასთან" შეხვედრის შემდეგ "ინტერის" გასახდელში?**

- გეტყვით, იმიტომ, რომ ის, რაც ერთმანეთში ვთქვით, არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ვთქვით ის, რასაც ყველანი ვფიქრობთ და რაზეც ყველა ვთანხმდებით: ერთხელ წაგება ტრაგედია არ არის, ჩვენ მშვიდად ვართ და ეს სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, იმიტომ, რომ არაფერი მომხდარა. ჩვენს ამ წაგებაზე შეფასებები სხვებმა აკეთონ, სხვების აზრებმა და კრიტიკამ ვერ უნდა დაარღვიოს ის სიმშვიდე და თავდაჯერება, რომელიც გუნდში და მთლიანად კლუბშია.

**- სხვა არაფერი გითქვამთ ერთმანეთისთვის?**

- ყველას გული დაგვწყდა, რომ დაუმარცხებელი სერია შეწყდა, მაგრამ ამის გამო ტირილს და მოთქმას არავინ აპირებს. მიზანი ნათლად გვაქვს ჩამოყალიბებული: სიენაში ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ და მოედანზე ისევე გავიდეთ, როგორც მთელი ჩემპიონატის მანძილზე გავდიოდით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველ ტაიმში, პირველივე წუთიდან უნდა ვაკეთოთ ის, რაც "რომასთან" მეორე ტაიმში გავაკეთეთ. ყველანი მზად ვართ თავგანწირვისთვის, გონებაში ყველას ერთი აზრი გვიტრიალებს: არასოდეს დავუთმოთ მეტოქეს უპირატესობა. ახლა სიენაში გამარჯვებაზე ვფიქრობთ, თამაშის მერე კი ვიკითხავთ, როგორ ითამაშა "რომამ" ბერგამოში.

**- თქვენ სიმშვიდე ახსენეთ. ოთხშაბათს, მოედანზე, "ინტერი" მშვიდად მოგეჩვენათ?**

- პირველ ტაიმში არა. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, ისევ ნამდვილი "ინტერი" თამაშობდა. ვიტყოდი, რომ 20 წუთის განმავლობაში ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ. ისე, როგორც მეორე ტაიმში "პალერმოსთან". და დონის ადრიანოს თავურზე ის სასწაული რომ არ მოეხდინა, არ ვამბობ, რომ ადვილად მოვიგებდით, მაგრამ სიტუაცია უდავოდ სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ასე უნდა მომხდარიყო. თუნდათ იმას დავუკვირდეთ, რომ გოლები პირველ ტაიმშიც 44-ე წუთზე გავუშვით და მეორეშიც. არა, წაგების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

**- სად?**

- ვიდეოჩანაწერში ყველა საინტერესო ეპიზოდს ყურადღებით ვუყურე და ახლა ერთ კითხვას ვსვამ: პანუჩიმ რომ ხელი მკრა და წამაქცია, ის პენალტი არ იყო? პენალტი იყო, მაგრამ არ გვაძლევენ. აი, ადრიანოს კი ორმატჩიან დისკვალიფიკაციას უპრობლემოდ აძლევენ.

**- მაგრამ ამით მაინც არ იცვლება პირველი ტაიმი, რომელშიც "ინტერი" ძალიან ნერვული, მოქანცული და უშინაარსო ჩანდა. რატომ?**

- ერთ რამეზე შევთანხმდეთ: პირველ ტაიმში რაიმე სპეციფიკური შეცდომები არ მოგვსვლია და მიზეზი არც ფიზიკური ხასიათის პრობლემები ყოფილა.

**- ერთი წუთი, ბევრი ზუსტად საპირისპიროს ფიქრობს და ძნელად თუ გაამტყუნებ. ცოტა ხნის წინ "ინტერი" მეტოქეებს უბრალოდ წელში წყვეტდა. მაშინდელთან შედარებით, ოთხშაბათს აშკარად უკბილო და ზანტი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდით.**

- გუნდი გამოფიტულად და გადაქანცულად მაშინ უნდა ჩაითვალოს, თუკი ფეხბურთელები პირველ ტაიმში გიჟებივით დარბიან და მეორე ტაიმში ენერგია აღარ რჩებათ. ჩვენს შემთხვევაში ასე არ იყო.

**- მაშინ როგორ ავხსნათ ასეთი სუსტი თამაში?**

- არაცნობიერის პრობლემაა. ძალიან ძნელი სათქმელია, რამ და რატომ დაგვბლოკა. ცნობილი რომ იყოს მიზეზი, რის გამოც რაღაც ცუდი ხდება, მაშინ ეს ცუდი ალბათ არც მოხდებოდა: საშუალება გექნებოდა, რომ ის თავიდან აგეცილებინა.

**- მაგრამ ის მაინც მოხდა. და ახლა ტიფოზები ისევ შეწუხებულები და შეფიქრიანებულები ჩანან. მაგალითად, ოთხშაბათს "სან სიროდან" გასვლისას ბევრი იძახდა, "ისევ ის ინტერი" ვნახეთო.**

- თუ "ისევ იმ ინტერში" გულისხმობენ გუნდს, რომელმაც მთელი ჩემპიონატი თავანეულმა, ასე შეუჩერებლად გაიარა, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... ხუმრობა იქეთ იყოს და, მართლაც, როცა საქმე "ინტერს" ეხება, ასი პროცენტით გარანტირებული ვერაფერში იქნები, მაგრამ, მოდით, საკითხს დადებითი კუთხით შევხედოთ: შეიძლება, გამარჯვება კიდევ უფრო ლამაზი მაშინ იყოს, როცა ამას უფრო ნაკლებად ელი.

**- ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ზეიმი ველარ იქნება ისეთი ლამაზი, როგორიც ოთხშაბათს გამარჯვების შემთხვევაში იქნებოდა.**

- არა, ვერ გავიზიარებ. არ მესმის, რა მიზეზი აქვს ხალხს, ასე რომ იფიქროს.

**- ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ დროა, "ინტერმა" სატურნირო ცხრილში ჩაიხედოს და იმ ქულების დათვლა დაიწყოს, რომლითაც "რომას" უსწრებს.**

- თუკი ბოლო დროს ვინმემ ამის თვლა დაიწყო, ძალიან შემცდარა: მთელი სეზონი ისე გავიდა, რომ ქულები არასდროს დაგვითვლია და არც ახლა უნდა ვითვალოთ, არც ჩვენ და არც ჩვენმა ტიფოზებმა.

**- თქვენ მოედანზე იყავით 2002 წლის 5 მაისს, როცა "ინტერმა" სკუდეტო ბოლო ტურში დაკარგა. ოთხშაბათს ის დღე ხომ არ გაგახსენდათ, თუნდაც ერთი წამით?**




მატერაციმ იცის, რომ სკუდეტო ინტერისაა

- არა, არანაირად, იმიტომ, რომ ოთხშაბათს 18 აპრილი იყო. ახლანდელი სიტუაცია მაშინდელისგან სრულიად განსხვავდება. ხუთი წლის წინანდელისგან განსხვავებით, ამჯერად ყველა დარწმუნებულები ვიყავით, რომ იოლი შეხვედრა არ გვექნებოდა და სწორედ ასეთი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ყოველთვის, დაწყებული "სიენასთან" საკვირაო შეხვედრიდან. თუმცა იმას კი ვიტყოდი, რომ "რომა", რომელმაც "სან სიროზე" წელს მეორედ მოიგო, თავისი სიძლიერით ამტკიცებს, რომ წლევანდელი ჩემპიონატი სულაც არ არის ისეთი სუსტი, როგორადაც ზოგიერთებს უნდათ, წარმოაჩინონ.

**- მაგრამ შესაძლებელია, რომ 5 მაისის სინდრომი "ინტერს" სამუდამოდ ჰქონდეს შერჩენილი? მთლიანად "ინტერს", იმისგან დამოუკიდებლად, ვინ თამაშობდა იმ შეხვედრაში და ვინ არა?**

- თვითონ ტერმინი "5 მაისის სინდრომი" სკუდეტოს დაკარგვის შემდეგ გაჩნდა. მაგრამ დღეს თავში აზრადაც არავინ გაივლებს, რომ წელს სკუდეტო შეიძლება დაკარგოს. ჩემი ყველა თანაგუნდელის მაგივრად ვიძლევი გარანტიას, რომ "ინტერი" ჩემპიონი გახდება. ჩემპიონატის დამთავრებამდე თვენახევრით ადრე მოხდება ეს, ოთხი თუ ათი დღის შემდეგ, ამით არაფერი იცვლება: ეს სკუდეტო ვერსად გაგვექცევა.

**გოგა ახალაძე**



კრისტიან ვიერი ინტერს პრეტენზიებს უყენებს

დაპირისპირება

# ვიერი ინტერს უჩივის

## პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის ბობო ყოფილ კლუბსა და ტელეკომს 21 მილიონ ევროს სთხოვს

იტალიური პრესის თანახმად, **კრისტიან ვიერიმ** "ინტერისა" და "ტელეკომ იტალიის" წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა და პირად ცხოვრებაში ჩარევით მიღებული მორალური ზარალის ანაზღაურებას 21 მილიონი ევროთი ითხოვს. გასული წლის შემოდგომაზე იტალიაში დიდი სკანდალი იყო ფარულ სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ "ტელეკომის" შვილობილი კომპანია ტიმ-იდან (მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი) სხვადასხვა პიროვნების სატელეფონო საუბრებს ისმენდნენ. მათ შორის აღმოჩნდა კრისტიან ვიერიც, რომელიც 1999 წლიდან 2005 წლამდე "ინტერის" ღირსებას იცავდა. სწორედ "ინტერის" დავალებით ისმინებოდა ცენტრფორვარდის ტელეფონი. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო: ბობოს პირადი ცხოვრების კონტროლზე ასაყვანად, მილანურმა კლუბმა კერძო დეტექტივიც დაიქირავა, რომელიც ფეხბურთელს ფარულად უთვალთვალებდა და შემდეგ მოხსენებით "ნერაძურის" ოფისში მიდიოდა. ვიერის თვალთვალის ფაქტი პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** ოქტომბერში აღიარა, თუმცა იქვე დასძინა, განსაკუთრებული არაფერი აღმოგვიჩენია და ეს საქმე მალე შევწყვიტეთო.

მაგრამ ამ ინფორმაცია ვიერისთვის ძალიან მძიმედ გადასატანი აღმოჩნდა - მორატისგან ამას არ ველოდი, ძალიან გულგატეხილი ვარ, ახლა ადვოკატებთან ერთად საჩივარს ვამზადებ და მალე სასამართლოს მივმართავთო. თქვა და პირობა შეასრულა. ოთხშაბათს ყოველკვირეულმა "ლ'ესპრესომ" გამოაქვეყნა სტატია, სადაც ეწერა, რომ კომპენსაციის სახით ბობო "ინტერისგან" 9 მილიონ ევროს ითხოვს, "ტელეკომისგან" კი – 12 მილიონს.

ამასობაში ვიერი მოედანს დაუბრუნდა. 13-თვიანი უფეხბურთობის შემდეგ, ცენტრფორვარდს ოთხშაბათს "ატალანტას" რიგებში დებიუტი ჰქონდა. ბობო თამაშში 70-ე წუთიდან შევიდა, თუმცა ვერაფრით დაეხმარა თავის გუნდს, რომელიც ემპოლიში უკვე 0:2-ს აგებდა. კვირას "რომასთან" საშინაო შეხვედრაში ვიერი ისევ თადარიგში იქნება. ამჯერად მის გამოჩენას პრესა მეორე ტაიმის დასაწყისში ელის.

რეალი

# რაულს კონტრაქტს შესთავაზებენ

## პრეზიდენტმა კალდერონმა კაპიტანს პასუხი გასცა...

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ **რაულმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას სერიოზული განცხადებით მიმართა. "რეალის" კაპიტანმა დირექტორატისგან მოითხოვა, ჩემს მომავალთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი მითხარითო. გონსალეს ბლანკოს აინტერესებდა, რას გეგმავენ ისინი, უგრძელებენ, თუ არა ხელშეკრულებას.



რაულ გონსალეს ბლანკო

პრესკონფერენციიდან რამდენიმე დღის შემდეგ საკითხისთვის ნათელის მოფენა თვით **რამონ კალდერონმა** გადაწყვიტა. ჩვეულებისამებრ, მსგავს თემებზე გენერალური დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** საუბრობს, თუმცა რაული "რეალისთვის" რიგითი, ჩვეულებრივი ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა. ამიტომ, განცხადება პრეზიდენტმა გააკეთა: *"რაული ჩვენი გუნდის სიმბოლოა. არ ვიცი, რა გახდა გაურკვევლობის მიზეზი. მერწმუნეთ, მასთან თანამშრომლობის დასრულების იდეა არც კი გვქონია. გონსალეს ბლანკო სამაგალითო მოთამაშეა მომავალი თაობებისთვის. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ დირექტორატი კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხზე მთელი სერიოზულობით მუშაობს. მას შემდეგ, რაც ყველა დეტალს განვიხილავთ და გავაანალიზებთ, ჩვენს კაპიტანს ახალი ხელშეკრულების გაფორმებას შევთავაზებთ. ამ ეტაპზე დეტალებს ვერ გაგიმხელთ. ვერ ვიტყვი რამდენწლიანი იქნება ის, თუმცა კიდევ ერთხელ შევეცდები დაგარწმუნოთ, რომ რაული "სანტიაგო ბერნაბეუზე" დარჩება."*

## ბაპტიშტას მზე მოენატრა

**ჟულიო ბაპტიშტა** დეპრესიის საფრთხის წინაშე დადგა. მისი უბედურების მიზეზი ლონდონური ცხოვრება გამხდარა. ბრაზილიელი ფორვარდი ინგლისურ კლიმატს ვერ შეეგუა. ბაპტიშტამ მასთან სტუმრად ჩასულ "დიარიო მარკას" კორესპონდენტს გული გადაუშალა: *"ვიცი, რომ სამეფო კლუბში ხელმძღვანელობა შეიცვალა და მე, ფაქტობრივად, თამაშგარეში აღმოვჩნდი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ "რეალთან" გაფორმებულ კონტრაქტს 2010 წელს ეწურება ვადა. იქნებ ხელმძღვანელობამ ერთი შანსიც მომცეს. გარწმუნებთ, თავს მოვიკლავ და ყველას დავარწმუნებ, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში ვიმსახურებ. ვერავინ წარმოიდგენს, როგორ მომენატრა ესპანეთი, მადრიდი. ლონდონური კლიმატი უბრალოდ მკლავს. მზე აქ თვეში მხოლოდ ერთხელ ანათებს, დანარჩენი 30 დღე კი გადაუღებლად წვიმს. ინგლისელებისთვის ეს ბუნებრივი ატმოსფეროა, მაგრამ მე ხომ ბრაზილიელი ვარ. სულ სხვა გარემოში გავიზარდე. მიყვარს მზე და სითბო. არ ვაჭარბებ, ლონდონური ამინდი სიცოცხლეს მისპობს. დეპრესიამდე არაფერი მიკლია. "რეალში" დაბრუნებაზე ვოცნებობ. საიჯარო ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ მადრიდში დავბრუნდები. ვფიქრობ, აუცილებელია, რომ შანსი მომცენ. სხვაგვარად უბრალოდ არ შეიძლება."*

სამეფო კლუბის ოფისიდან ბაპტიშტას გულისამაჩუყებელ განცხადებას ჯერ-ჯერობით არავინ გამოხმაურებია. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ჟულიოს ოცნების ასრულების შანსი არ აქვს. "რეალში" არსებულ კონკურენციას ის ვერაფრით გაუძლებს. თუ ბრაზილიელს მზესა და სითბოში ცხოვრება სურს, უმჯობესია, რომელიმე სხვა სამხრეთული კოლექტივი მონახოს.



დიეგო მარადონა

ლეგენდა

# მარადონა ფსიქიატრიულში?

## დიეგომ არ იცის, როგორ გაუმკლავდეს პრობლემებს

**დიეგო მარადონა**, შეიძლება, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსონ. ექიმების აზრით, ალკოჰოლზე დამოკიდებულებამ და უმიზეზო აფეთქებებმა უკონტროლო ხასიათი მიიღო. დიეგომ ბოლო სამი კვირა ბუენოს აირესის სარეაბილიტაციო ცენტრში გაატარა. პირველად კლინიკაში აპრილის დასაწყისში მოათავსეს. ათი დღის შემდეგ შინ გაუშვეს, მაგრამ 48 საათში ისევ რეანიმაციაში მოხვდა. ფსიქიატრიულის იდეა მისი მორიგი არაადეკვატური ქმედების შემდეგ გაჩნდა.

მარადონას ექიმი **ალფრედო კაე** ამბობს: *"დიეგოს მდგომარეობის სირთულე გააზრებული აქვს. მას ავუხსენით, სადამდე მიიყვანა ალკოჰოლის გაუაზრებელმა მოხმარებამ, მაგრამ არ იცის, როგორ გაუმკლავდეს პრობლემებს მარტო."* კაემ დააზუსტა, რომ უმიზეზო შფოთის ატეხვა ნარკოტიკის მოხმარების შედეგი არ არის. ექიმის თქმით, დიეგო ძალიან ემოციური ადამიანია. კაე განმარტავს, რომ ფსიქიატრიულში მკურნალობა ჯერ მხოლოდ რეკომენდაციაა. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ.

ევრო 2012

# უკრაინას ბრალს სდებენ

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გრიგორი სურკისი** უარყოფს ბრალდებებს, თითქოს მისმა ქვეყანამ ევრო 2012 წლის მასპინძლობის უფლება ულირსი მეთოდებით მოიპოვა. ხორვატიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვლატკო მარკოვიჩი** პოლონეთისა და უკრაინის გამარჯვებით განცვიფრებულია. მისი ინფორმაციით, ორშაბათს, ფავორიტი იტალია და ხორვატია-უნგრეთი იყვნენ. მარკოვიჩისათვის გაუგებარია, რა შეიცვალა მომდევნო ორ დღეში. *"ვერასოდეს გავიგებთ, როგორ გაიმარჯვეს უკრაინამ და პოლონეთმა,"* - ასკვნის ის.

უნგრეთის პრემიერმა სკანდალური განცხადება გააკეთა. **ფერენც დიურჩანის** თქმით, უეფას არჩევანზე "ეკონომიკურმა ფაქტორებმა" მოახდინა გავლენა. უნგრეთის მთავრობის მეთაურმა უეფას ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, მექრთამეობაში დაადანაშაულა. ცნობილია, რომ პირადად **მიშელ პლატინიმ** სწორედ უკრაინასა და პოლონეთს დაუჭირა მხარი.

უეფას არჩევანით გაკვირვება ვერ დამალა **მარჩელო ლიპიმ**, მაგრამ მისი შეფასება დიპლომატიური იყო: უეფამ აღმოსავლეთევროპელებს იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ საფეხბურთო თანამეგობრობაში ახალი ორგანიზატორი სახელმწიფოები ვიხილოთო.

სურკისმა კიევში დაბრუნებისთანავე საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია. აი, ნაწყვეტი მისი განცხადებიდან: *"ჩვენმა გუნდმა ამ შედეგისათვის თვეების განმავლობაში მუხლჩაუხრელად იმუშავა. გულსატკენია, რომ დამარცხებულთაგან ასეთი რამ გვესმის. შეხედეთ ჩვენს დელეგაციას: ვიქტორ იუშჩენკო, სერგეი ბუბკა, ანდრეი შევჩენკო, ვიტალი კლიჩკო! ესაა ეკონომიკური ფაქტორი? რაღა უნდა ვილაპარაკო ასეთი ბრალდებების შემდეგ..."*

სურკისის პრესკონფერენციას უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბლოხინი** და **ვიტალი კლიჩკო** ესწრებოდნენ. ბლოხინმა განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, არ იცის, როგორი ნაკრები ეყოლება მის ქვეყანას ხუთი წლის შემდეგ. უკრაინელებმა და პოლონელებმა, როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა, ფინალურ სტადიაზე თამაშის უფლება გაინაღდეს.

პრეზიდენტ **ვიქტორ იუშჩენკოს** ბრალდებების გამო თავის მართლება არ დაუწყია. მან უფრო არსებით საკითხებზე ისაუბრა. უკრაინის მეთაურმა განაცხადა, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს, თუმცა მისი თქმით, მთავარი უკრაინის ევროპასთან ინტეგრაციაა.

ვერდერი

# ბოროვსკი ფრინგსს შემოსწყრა!

## ტიმს ტორსტენის ქცევა არ მოსწონს...

როგორც იცით, **ტორსტენ ფრინგსი** "იუვენტუსში" გადასვლას გეგმავს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამაზე ღიად საუბრობს. გერმანიის ნაკრებისა და "ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველი არ მალავს, რომ ტურინულ კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამის გამო მას ჩვენი გერმანელი კოლეგები მაგრად აკრიტიკებენ. როგორც ირკვევა, ფრინგსის პირდაპირობით (უფრო კი იმით, რომ ტორსტენს "ვერდერში" დარჩენა არ სურს), მისი თანაგუნდელებიც უკმაყოფილოები არიან. მაგალითად, "მუსიკოსთა" ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი** პირდაპირ ამბობს, რომ ფრინგსი ასეთი საქციელით ბრემენულ გუნდს ძალიან ცუდ სამსახურს უწევს.

*"გერმანიის ჩემპიონატის დასასრული ახლოვდება, ჩვენ პირველობისთვის ვიბრძვით და ასეთ დროს ყველაზე მეტად სიმშვიდე გვჭირდება. ფრინგსი კი ისე იქცევა, თითქოს ეს არ ესმის. "იუვენტუსში" გადასვლაზე სერიოზულად რომ ფიქრობს, ეს ჯერ არ უნდა გაემხილა. ასეთი საქციელით მას გუნდში ქაოსი შემოაქვს,"* - აცხადებს ბოროვსკი. შეგახსენებთ, რომ "ბებერი ქალბატონი" გერმანიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველს წლიურად 6.5 მილიონ ევროს სთავაზობს. ორშაბათს ფრინგსი ტურინში იმყოფებოდა, სადაც მან "იუვეს" პირველი მოლაპარაკებები გამართა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ტორსტენი მომავალი სეზონიდან სერია A-ს გზაზე მდგარ "იუვენტუსს" შეუერთდება.



ვიტალი კლიჩკო, გრიგორი სურკისი და ოლეგ ბლოხინი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარკ ვან ბომელი და როი მაკაი მესამე ადგილს უმიზნებენ

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

# შტუტგარტი vs ბაიერნი, გადამწყვეტი ბრძოლა!

## ჰიტცფელდი: სასწორზე ჩვენი გუნდის სიამაყე და პრესტიჟი დევს

*"ჩვენ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია და ეს ამ სეზონში არაერთხელ დავამტკიცეთ,"* - ეს შვაბთა გოლეადორ **მარიო გომესის** სიტყვებია, ფეხბურთელისა, რომელიც ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას ძალიან დიდხანს ლიდერობდა. გომესი დიდი ხნის ტრავმირებულია და ის დღესაც ვერ ითამაშებს. **არმინ ფეეს** გუნდში საბრძოლო განწყობაა, მის თითოეულ შეგირდს ამ თამაშის მნიშვნელობა კარგად აქვს შესისხლხორცებული. აქვე გეტყვით, რომ "შტუტგარტს" დღეს მარცხენა მცველი **ბოკა** არ ეყოლება (დისკვალიფიკაცია). სასჯელი მოიხადა და გუნდს უბრუნდება **ლუდოვიკ მანინი**. ის სწორედ ბოკას შეცვლის. "ბაიერნს" **სანიოლი, შვაინშტაიგერი, დემიკელისი, შოლი** და **ოტლი** აკლია. შარშან რეკორდმაისტერმა შტუტგარტში 2:1 იმარჯვა.

"ვერდერი" წუხელ თამაშობდა (შინ, "ალემანიასთან") და მოაქცია თუ არა "შალკე" ზეწოლის ქვეშ, ამას მე-15 გვერდიდან შეიტყობთ. **ლევან კობიაშვილის** გუნდი კი დღეს წარდგება საკუთარი პუბლიკის წინაშე - **მირკო სლომკას** შეგირდები იმ "კოტბუსს" მასპინძლობენ, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან გაყოყოჩდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ "ენერგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კანდიდატი იყო, მაგრამ ბოლო ტურებში ძალიან მოუმატა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მე-7 ადგილზეა. ასე რომ, გავარდნა კი არა, ლამისაა, "კოტბუსმა" უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლოს. მოკლედ, "შალკე" გაფრთხილებულია - "კოტბუსთან" ხუმრობა არ შეიძლება. თუნდაც იმიტომ, რომ ამ გუნდმა მიმდინარე სეზონში "ვერდერს" ორივე თამაშში აართვა. ქულები თანაც, "ენერგის" ბუნდესლიგაში ყველაზე სახიფათო თავდასხმა ჰყავს - **სერგიუ რადუ** (12 გოლი) და **ვლად მუნტეანუ** (11 გოლი). ამ მხრივ, "შალკეს" ერთადერთი იმედი **კევინ კურანია**, რომელიც გოლი პლუს პასის ცხრილს ლიდერობს (13 გოლი, 11 პასი).

უნდა გაგახსენოთ, პირველი წრის შეხვედრაც, რომელიც გელზენკირხენელებმა 4:2 მოიგეს. იმ თამაშში, ერთი გოლი კობიაშვილმა გაიტანა. ჩვენი გერმანელი კოლეგები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ სლომკა კობის ისევ სკამზე დატოვებს. "კიკერის" ვარაუდით, საყრდენი ნახევარმცველების პოზიციაზე კვლავ **ჰამით ალთინთოფი** და **ფაბიან ერნსტი** ითამაშებენ, მარცხენა გარემარბი კი **მესუთ იოზილი** იქნება. გამოჯანმრთელდნენ და თამაში შეუძლიათ **გუსტავო ვარელასა** და **სიორენ ლარსენს**, მაგრამ ისინი ფორმაში არ არიან.

ლევერკუზენში ერთმანეთის პირისპირ ხუთეულში მოხვედრისთვის მებრძოლი, ბოლო დროს არაერთგზის შერცხვენილი "ბაიერი" და მისი უმთავრესი კონკურენტი "ნიურნბერგი" წარდგებიან. ეს არის ბრძოლა მეხუთე ადგილისთვის. გერმანიის თასის ნახევარფინალში "აინტრახტის" გაცამტვერების შემდეგ (4:0) ფრანკები ჩინებულ ხასიათზე არიან, რასაც ვერ ვიტყვით "ლევერკუზენზე", "ოსასუნასა" (0:3) და "ბოხუმთან" (1:4) საკუთარ კედლებში განცდილი კრახების გამო. "ბაიერის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** გუნდის დაცვას აკრიტიკებს. სავსებით სამართლიანადაც, რადგან ლევერკუზენს 29 თამაშში 42 გოლი აქვს გაშვებული. ცნობისათვის, "ნიურნბერგს" გერმანიაში საუკეთესო დაცვა ჰყავს - **ჰანს მაიერის** ბიჭებმა ყველაზე ცოტა გოლი გაუშვეს (26) და ყველაზე ცოტა მარცხი (5) იწვნიეს.

დორტმუნდის "ბორუსია" გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს - დღეს ვესტფალიელები ბერლინში ითამაშებენ. "ჰერტა" ის გუნდია, რომელმაც მწვრთნელის შეცვლის შემდეგ (**ჰაინე გიოტცის** ნაცვლად) რვამატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა - დედაქალაქელებმა წინა ტურში "ბოხუმი" დაამარცხეს. დღესვე ითამაშებენ გერმანიის თასის ნახევაფინალში დამარცხებული გუნდები - "ვოლფსბურგი" შავ სიაში მყოფ "არმინიას" უმასპინძლებს, "აინტრახტი" კი - "ბოხუმს". სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, ბოხუმელი **თეოფანის გეკასი** მორიგი გოლის გატანას გეგმავს.

ხვალ "ჰამბურგი" "მაინცს" მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში, თავის სამშვიდობოს დაგულება შეუძლია. ბოლოადგილოსან "გლადბახს" კი ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი ეძლევა - "ბორუსია" "ჰანოვერს" სტუმრობს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვერდერი | 30 | 18 | 6 | 6 | 67-34 | 60 |
| 2. შალკე | 29 | 18 | 5 | 6 | 47-27 | 59 |
| 3. შტუტგარტი | 29 | 16 | 7 | 6 | 51-34 | 55 |
| 4. ბაიერნი | 29 | 16 | 5 | 8 | 45-33 | 53 |
| 5. ნიურნბერგი | 29 | 10 | 14 | 5 | 39-26 | 44 |
| 6. ლევერკუზენი | 29 | 12 | 6 | 11 | 45-42 | 42 |
| 7. კოტბუსი | 29 | 10 | 8 | 11 | 35-39 | 38 |
| 8. ჰერტა | 29 | 10 | 8 | 11 | 41-46 | 38 |
| 9. ჰანოვერი | 29 | 9 | 8 | 12 | 35-43 | 35 |
| 10. ვოლფსბურგი | 29 | 8 | 11 | 10 | 32-35 | 35 |
| 11. ჰამბურგი | 29 | 7 | 14 | 8 | 33-31 | 35 |
| 12. აინტრახტი | 29 | 7 | 13 | 9 | 39-50 | 34 |
| 13. ბოხუმი | 29 | 9 | 6 | 14 | 37-46 | 33 |
| 14. ალემანია | 30 | 9 | 6 | 15 | 44-56 | 33 |
| 15. ბორუსია (დ) | 29 | 8 | 8 | 13 | 33-41 | 32 |
| 16. არმინია | 29 | 7 | 9 | 13 | 35-41 | 30 |
| 17. მაინცი | 29 | 7 | 9 | 13 | 26-46 | 30 |
| 18. ბორუსია (მ) | 29 | 6 | 7 | 16 | 22-36 | 25 |

**გუშინ**

**ვერდერი-ალემანია 3:1**

**დღეს**

**შტუტგარტი-ბაიერნი**
**ჰერტა-ბორუსია (დ)**
**ლევერკუზენი-ნიურნბერგი**
**ვოლფსბურგი-არმინია**
**აინტრახტი-ბოხუმი**
**შალკე-კოტბუსი**

**ხვალ**

**ჰანოვერი-ბორუსია (მ)**
**ჰამბურგი-მაინცი**

30-ე ტურის უმთავრესი მოვლენა შტუტგარტის "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" გასამართი შეხვედრაა - დღეს მესამე ადგილზე მყოფი VFB მეოთხე პოზიციაზე მყოფ "ბაიერნს" მასპინძლობს და როგორც ხვდებით, ამ მატჩში ჩემპიონთა ლიგის საგზურის ბედი წყდება. ბავარიელები შვაბებს ორი ქულით ჩამორჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მესამე ადგილზე გადავლენ და ოდნავ დაწყნარდებიან, თუმცა **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა ისიც კარგად იციან, რომ შტუტგარტში მოგება ძალიან ძნელია. *"თუ გვინდა, რომ გაისად უეფას თასზე არ მოგვიწიოს ასპარეზობა, "შტუტგარტი" უნდა დავამარცხოთ. "ბაიერნი" ის გუნდია, რომელსაც "გოტლიბდაიმლერშტადიონზე" მოგება არ უნდა გაუჭირდეს. ეს ერთგვარი ფინალია - სასწორზე ჩვენი გუნდის სიამაყე და პრესტიჟი დევს. მინდა გითხრათ, რომ ბიჭები ძალიან მონდომებულები არიან, უფრო მეტადაც კი, ვიდრე "რეალთან" მატჩის წინ,"* - აცხადებს ჰიტცფელდი. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 11 წლის განმავლობაში "ბაიერნის" ქომაგები პირველად შიშობენ იმის გამო, რომ შესაძლოა, მათმა საყვარელმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვოს.

ინტერვიუ კრისტოფ დაუმთან

# შალკე ნაიფორხილებს

## დაუმის ნება რომ იყოს, ვერცხლის სინს კობის გუნდს მისცემდა...

**გერმანიის პირველობის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხანია, "ვერცხლის სინისთვის" ბრძოლა დასკვნით ფაზაში ასეთი დაძაბული და საინტერესო აღარ ყოფილა. ლიდერსა და მეოთხეადგილოსანს შორის სხვაობა სულ რაღაც 6 ქულაა. "შალკეს" "ვერდერი" მისდევს, "ვერდერს" "შტუტგარტი", "შტუტგარტს" კი "ბაიერნი". ბავარიელთა ექსმწვრთნელ ფელიქს მაგათს რომ ჰკითხოთ, ჩემპიონობას აუცილებლად "შალკე" მოიპოვებს. "ვფიქრობ, რომ გელზენკირხენელები, ამჯერად, ასეთ შანსს ხელიდან აღარ გაუშვებენ და ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ პირველად დაეუფლებიან "ვერცხლის სინს", - აცხადებს მაგათი. სხვათა შორის, "შალკე" ტოტალიზატორ "ბეთ ენდ ვინის" ფავორიტიც გახლავთ: კობიაშვილის გუნდს ჩემპიონობაზე 2.05 კოეფიციენტი აქვს. შედარებისთვის, "ვერდერის" კოეფიციენტი 2.90-ია. აი, კრისტოფ დაუმი კი ფიქრობს, რომ საჩემპიონო რბოლაში ჯერ არაფერიც არაა გარკვეული და რომ საუკეთესო ოთხეულიდან, მეტ-ნაკლებად ყველას თანაბრი შანსი აქვს. "კიოლნის" მწვრთნელი, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში საქმეები კარგად ვერ წაუვიდა, დარჩენილ ტურებში უაღრესად საინტერესო და დრამატულ ბრძოლებს ელოდება. გთავაზობთ ინტერვიუს დაუმთან, რომელიც გუშინ "შპორტ აინსმა" გამოაქვეყნა.**

**- ჰერ დაუმ, ბუნდესლიგაში შექმნილ ვითარებას ბევრი 1991/92 წლების სეზონს ადარებს, როცა თქვენ "შტუტგარტი" გააჩემპიონეთ. თუ შეიძლება, თქვენც გაავლეთ პარალელები მაშინდელ და დღევანდელ სიტუაციებს შორის...**

- სხვათა შორის, გერმანიის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი 1992 წლის შემდეგაც არაერთხელ იყო დრამატული და საინტერესო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "შალკეს" სამი მდევარი, "ვერდერი", "შტუტგარტი" და "ბაიერნი" პირადად მე ჯერ არ ჩამომიწერია. საკითხავი ისაა, თუ რამდენად გაუძლებს "შალკე" უდიდეს ზეწოლას და შეინარჩუნებს თუ არა სიმშვიდეს გუნდი, რომელიც ასეთ სიტუაციებში ყოველთვის ქაოტურობით გამოირჩეოდა. ფინიშის სწორზე გელზენკირხენულ კლუბს, პირველ რიგში, სიმშვიდე მოეთხოვება. დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ "ხუმარები" დიდი ხნის ოცნებას აისრულებენ, მაგრამ დიდი შანსია, რომ ისევ წაიმტვრიონ ცხვირი.

**- დარჩენილი ხუთ ტურში რას ელით?**

- შესაძლოა, ძალიან ბევრი რამ შეიცვალოს. თანაც, ახლა "ბაიერნისა" და "შტუტგარტის" სახით ერთმანეთს უშუალო კონკურენტები ხვდებიან. ეს ისეთი მატჩია, როცა მოგება 6 ქულად ფასობს. დააკვირდით, თუ როგორი დაძაბული სიტუაციაა გასავარნდ ზონაში და მის სიახლოვეს. ფაქტი ერთია: წინ ძალიან საინტერესო ტურები გველის.

**- ასეთ დროს რა იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- ბევრი ფაქტორია, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ გუნდს წნეხის გადატანა. ყველაზე უკეთ ეს "ბაიერნს" ეხერხება, რაც ამ გუნდს არაერთხელ დაუმტკიცებია როგორც გერმანიაში, ისე ევროპაშიც. ბოლო წლებში "ვერდერიც" ძალიან სტაბილურ და ძლევამოსილ გუნდად ჩამოყალიბდა. ფსიქოლოგიურად ყველაზე უკეთ სწორედ ბავარიელები და ბრემენელები არიან მომზადებულები. მაგრამ თუ "შალკე" ისე ითამაშებს, როგორც მაგალითად წინა ტურში, მაშინ "ვერცხლის სინს" სლომკას გუნდი დაისაკუთრებს.

**- "შტუტგარტმა" "ბაიერნს" რომ მოუგოს, ამ გუნდის ჩემპიონობა რეალური გახდება?**

- შვაბები თავის საქმეს ძალიან კარგად აკეთებენ და ასრულებენ იმ ამოცანებს, რაც აკისრიათ. "შტუტგარტი" სულაც არ თვლის თავს ვალდებულად, რომ ჩემპიონი გახდეს და სწორედ ეს განწყობა შველის, თორემ, არმინ ფეეს გუნდი დიდი ხნის ჩამოწერილი იქნებოდა. VFB ერთობ გაწონასწორებული გუნდია და სწორედ ამით მიაღწია იმას, რასაც მიაღწია. ჩემი აზრით, ვინც "შტუტგარტი" ჩამოწერა, ძალიან ცდება.

**- რამ შეიძლება დაღუპოს ფეეს გუნდი შაბათს?**

- "შტუტგარტი" პრობლემებს მხოლოდ თვითონ თუ შეიქმნის. მთავარია, შვაბებმა არ ჩათვალონ, რომ ვალდებულები არიან, "ბაიერნი" დაამარცხონ. ასეთი განწყობით წარმატების მიღწევის ძალიან ცოტა შანსი ექნებათ. სანამ შტუტგარტელი ფეხბურთელები მიიჩნევენ, რომ სულაც არ არიან ვალდებულები, ამ სეზონში პირველობისთვის იბრძოლონ, ყოველთვის შეუძლიათ სენსაციის მოხდენა. მათი მხრიდან "ბაიერნის" დამარცხება კი, რაღა თქმა უნდა, მცირე სენსაცია იქნება. მით უმეტეს, რომ ეს მატჩი ბავარიელთათვის გადამწყვეტია.



კროტოფ დაუმი

**- ამ სეზონში რეკორდმაისტერმა ბევრი რამ გადაიტანა, პირველ რიგში კი კრიტიკის ქარ-ცეცხლი, რომელიც მიუნხენურ კლუბს ძალიან ხშირად ატყდებოდა...**

- ამ გუნდს თავისი შესაძლებლობები არაერთხელ დაუმტკიცებია. ხომ იცით, "ბაიერნი" ძალიან ამბიციური კლუბია და არცაა გასაკვირი, მის მარცხს ყველა ხელების ფშვნეტით რომ ხვდება ხოლმე. რეკორდმაისტერის ბოსებსაც ხშირად აკრიტიკებენ, თუმცა ფაქტია, რომ მიუნხენურ გრანდს მუშა და წარმატებული ხელმძღვანელობა ჰყავს. შეიძლება, ვილაც ული ჰიონესს ვერ იტანდეს, მაგრამ აუცილებლად უნდა დაინახოს ის, რომ მან "ბაიერნს" ბევრი რამ გაუკეთა, ძალიან ბევრი რამ. მე ის მიკვირს, რომ კრიზისის დროს ფეხბურთელებს ლ.ამის არავინ აკრიტიკებდა, არადა, პასუხისმგებლები, პირველ რიგში, მოთამაშეები არიან.

**- პროგნოზს ხომ არ გააკეთებთ?**

- ჩემი ნება რომ იყოს, "შალკეს" გავაჩემპიონებდი, რადგან ამ გუნდმა მართლაც მაგრად იბრძოლა და პირველობას იმსახურებს. აგერ უკვე რამდენიმე წელია, შესანიშნავად მუშაობენ ბრემენშიც - "ვერდერი" უკვე გრანდია და "ბაიერნს" უახლოვდება. "მუსიკოსები" იმდენად კარგად არიან დაკომპლექტებული, რომ კლოზე და ფრინგსი რომ დაკარგონ და არავინ შეიძინონ, გაისად ჩემპიონობისთვის მაინც იბრძოლებენ. "ბაიერნი" მუდმივად ვალდებულია, "ვერცხლის სინი" მოიგოს და რაც შეეხება "შტუტგარტს", ამ გუნდის ასეთი სტაბილური ასპარეზობა ჯერ მაინც სენსაციაა.

**- ჩემპიონი ვინ გახდება?**

- ეს ძალიან პატარა კომპონენტებზეა დამოკიდებული. თუ "შალკე" ასე გააგრძელებს, მაშინ მხოლოდ მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე უნდა ვისაუბროთ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ "შალკეს" დაბრკოლება შეხვდება, ჩემპიონატის ბედი კი ბოლო ტურში გადაწყდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სევილიელები თითქმის სამეფო თასის ფინალში არიან

ესპანეთის თასი. პირველი 1/2 ფინალი

# სევილიამ ფინალი გაინაღდა

## წარმოუდგენელია, საპასუხო შეხვედრაში გალისიელებმა ოთხი ბურთის გატანა შეძლონ

ესპანეთის სამეფო თასის ფინალში ერთმანეთს, ალბათ, "სევილია" და "ბარსელონა" შეხვდებიან. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს კატალონიურმა გრანდმა "კამპ ნოუზე" "ხეტაფეს" 5:2 მოუგო. ის თამაში **ლიონელ მესის** ბენეფისად იქცა. ახალგაზრდა არგენტინელის მიერ გატანილ გოლზე, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. ლეო ახალ **მარადონად** მონათლეს. მესის გენიალურობამ ყველაფერი დაჩრდილა, მათ შორის, "სევილიის" შთამბეჭდავი გამარჯვება. გასაკვირი სულაც არ არის, რომ სამხრეთამერიკელის ფანტასტიკურ გოლზე უფრო დიდი აღფრთოვანებით წერენ, ვიდრე **ხუანდე რამოსის** ბიჭების დამაჯერებელ ანგარიშზე. არადა, "სევილიამ" "დეპორტივოსთან" იმდენად კარგად იასპარეზა, რომ მონინაალმდეგეს მისსავე მოედანზე მინიმალური შანსიც არ დაუტოვა, 3:0. გალისიელთა განადგურება **კანუტეს, ნავასისა** და **ფაბიანოს** გოლებმა განაპირობა. "სევილიამ" დაამტკიცა, რომ ფიფას რეიტინგში წლის საუკეთესო კლუბის წოდებას შემთხვევით არ დაესაკუთრა. **ხოაკინ კაპაროსი** საკუთარ გუნდს უშეღავათო ბრძოლისთვის ამზადებდა. ლაკორუნიელთა დამრიგებელს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ბიჭები მისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ღირსეულად იბრძოლებდნენ და ფინალისკენ მიმავალ გზაზე ერთი ნაბიჯით წაიწევდნენ წინ. კაპაროსს იმედები გაუცრუვდა. სამხრეთელები პირველივე წუთიდან დაეუფლნენ ინიციატივას. ისინი "დეპორს" ყველა კომპონენტში სჯობდნენ. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ რამოსის გუნდი ნახევარფინალურ დაპირისპირებას მეტი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა. ყველა აცნობიერებს, რომ ახლა სასახელო ისტორია იწერება, ამიტომ ყოველ დაპირისპირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მართალია, "სევილიამ" პრიმერა დივიზიონის წინა ტურში "ვალენსიასთან" წააგო და ჩემპიონობის შანსი გაიუარესა, მაგრამ ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე იბრძოლებენ. ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ გუნდი ყურადღებას სხვა ტურნირებსაც არ მოაკლებს. ერთი სიტყვით, ანდალუსიელები ესპანეთის სამეფო თასსა და უეფას თასზეც ბოლომდე დაიხარჯებიან. ერთდროულად სამ ფრონტზე ბრძოლა წარმოუდგენელ დატვირთვებთანაა დაკავშირებული, თუმცა ნამდვილ გმირებს არაფერი აშინებთ...

როგორც გითხარით, "რიასორის" შეხვედრაში ფავორიტის ვინაობა პირველივე წუთიდან გამოიკვეთა. "დეპორტივომ" მთელი ტაიმის განმავლობაში ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა. მაშინ, როცა "სევილიას" სულ მცირე, ხუთჯერ შეეძლო გოლის გატანა. მასპინძელთა მეკარეს **კერჟაკოვი**, ნავასი და კანუტე მოსვენებას არ აძლევდნენ. **მუნუა** დარტყმების მოგერიებას ვერ აუდიოდა. მისი დამაჯერებელი თამაში რომ არა, "დეპორტივო" კატასტროფული ანგარიშით წააგებდა...

პირველი გოლი მე-11 წუთზე გავიდა. რუსმა კერჟაკოვმა ეფექტური დრიბლინგით რამდენიმე მეტოქე გამოთიშა ეპიზოდიდან და კანუტე პირისპირ გაიყვანა. პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირს გოლის გატანა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. გალისიელები შოკში აღმოჩნდნენ. ისინი მანამდეც დაქსაქსულები იყვნენ, გოლის შემდეგ კი შეცდომებს კიდევ უფრო უმატეს. შედეგმაც არ დაახანა. ორი წუთიც არ იყო გასული, როცა **დანიელ ალვეშმა** ხესუს ნავასი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ნავასმა სწრაფი დრიბლინგის წყალობით მუნუასთან ერთი ერთზე გასვლა შეძლო. სევილიელს მეკარის მოტყუებაც არ გასჭირვებია. მე-13 წუთზე სტუმრები ორი ბურთით დაწინაურდნენ. დაგვეთანხმებით, "დეპორისთვის" ამაზე საშინელი დებიუტი არც კი იარსებებდა. ბუნებრივია, მასპინძლებს გააქტიურება მართებდათ, თუმცა მათ გამოცოცხლება წამითაც არ დასტყობიათ. პირიქით, ხოაკინ კაპაროსის ბიჭებმა ყურები ჩამოყარეს და, ფაქტობრივად, კაპიტულაცია გამოაცხადეს. ნავასი და კანუტე მცველებს არ ინდობდნენ. მათგან მიტოვებული საბრალო მუნუა დარტყმას დარტყმაზე იგერიებდა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ტემპი დააგდეს. ეს, ალბათ, ხუანდე რამოსის დირექტივის საფუძველზე მოხდა. "სევილიას" წინ უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ელის, ამიტომ ბიჭებმა ენერგია უნდა დაზოგონ. თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, "დეპორტივოს" მეტოქის პასიურობის გამო ხელ-ფეხი უნდა გახსნოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი გვინახავს. თამაშის მსვლელობას კვლავ ანდალუსიელები განსაზღვრავდნენ. ისინი მოწინააღმდეგის სუსტ შეტევებს იოლად უმკლავდებოდნენ. საფინალო სასტვენის მოახლოებისას კი რამოსის შეგირდები კვლავ გააქტიურდნენ. მათმა მცდელობამ ჩინებული შედეგი გამოიღო. ლუიშ ფაბიანუმ მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა, თუმცა დანაკლისი ძალიან მალე აინაზღაურა. მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე ბრაზილიელმა ფორვარდმა პენალტი გაიტანა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მოვლენებმა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა. ჟურნალისტების წინაშე თავდაპირველად ხუანდე რამოსი წარდგა: *"სამბურთიანი უპირატესობით გამარჯვება უპირობო ფავორიტებს გვხდის. პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ საპასუხო შეხვედრაში 0:4 წავაგოთ. რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება, თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ საქმეს დასრულებულად მივიჩნევთ. პროფესიონალები ვალდებულები არიან, მოწინააღმდეგეს პატივი სცენ და ბოლომდე იბრძოლონ. მოგეხსენებათ, "სევილია" ერთდროულად უეფას თასზე, პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე ასპარეზობს. ეს ყველაფერი უდიდეს ენერგიას მოითხოვს. იმედია, ძალა გვეყოფა და სეზონს ღირსეულად დავასრულებთ. უშუალოდ დღევანდელ შეხვედრას რაც შეეხება, მან "სევილიის" უდიდესი უპირატესობით ჩაიარა. სიმართლე გითხრათ, ამდენად იოლ გამარჯვებას არცკი ველოდი. მწამდა, რომ ბიჭები მოიგებდნენ, მაგრამ არა ასეთი ანგარიშით. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. "სევილიის" სიძლიერე თავიდანვე გამოიხატა. მოწინააღმდეგისთვის ჩვენი თამაშის თავს მოხვევა შევძელით. რამდენიმე ეპიზოდში მეტად რომ გაგვმართლებოდა, შესაძლოა, 6:0 მოგვეგო. რა თქმა უნდა, გოლი არასოდესაა ზედმეტი, მაგრამ ისიც უდავოა, რომ გამოუყენებელი მომენტები განწყობას ვერ გაგვიფუჭებს. განმეორებით შეხვედრაში მშვიდად ვითამაშებთ. შევეცდებით, დარჩენილი 90 წუთი ჩვენთვის სასარგებლო სცენარით წარვმართოთ. ლა კორუნიაში ჩამოსულ გულშემატკივრებს თანადგომისა და მხარდაჭერისთვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ."*

ბუნებრივია, ხოაკინ კაპაროსი უკიდურესად უკმაყოფილო იყო: *"სასოწარკვეთილი ვარ. უძლიერესი კლუბის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაქტობრივად, ვერაფერი შევძელით. "სევილიას" ექვსი-შვიდი უსწრაფესი ფეხბურთელი ჰყავს. მათ მიერ შემოთავაზებულ რიტმს ვერაფერი დავუპირისპირეთ. ბრიყვი არ ვარ და, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ ფინალში გასვლის პრაქტიკული შანსი დავკარგეთ. სასწაული უნდა მოხდეს, სამბურთიანი ჩამორჩენის ამოქაჩვა რომ შევძლოთ. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოლებთ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მოსალოდნელი ტრანსფერი

## დელ ნიდო არაფერს დათმობს

**საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე "სევილიის" ნახევარმცველ დანიელ ალვეშზე ნამდვილი ნადირობა დაიწყება. სხვათა შორის, ბევრი სატრანსფერო ბაზრის გახსნასაც არ ელოდება და თადარიგს აქედანვე იჭერს. ესპანურ საინფორმაციო სააგენტოებში გავრცელებული ცნობის თანახმად, ალვეშის მენეჯერს ერთი დღის განმავლობაში "ჩელსის", "მანჩესტერისა" და "ევერტონის" მესვეურები დაუკავშირდნენ. ინგლისური კლუბების ხელმძღვანელები მზად არიან, ანდალუსიელებს დიდი ფული გადაუხადონ. ალვეშის აგენტმა საკუთარი კლიენტი უმალ საქმის კურსში ჩააყენა. თავად ალვეშმა ბრიტანელთა დაინტერესების შესახებ "სევილიის" მესვეურებს მოახსენა. პრეზიდენტი დელ ნიდო ნასიამოვნები აშკარად არ დარჩა. მან ბრაზილიელთან კიდევ ერთი ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. სხვაგვარად, ალვეშის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. ცნობილია, რომ მის გადაბირებას "ბარსელონა" და "რეალიც" ცდილობენ.**



ლეო მესი მეტოქეებს შიშის ზარს სცემს

ესპანეთი. XXXI ტურის წინ

# პერსონალური მეურვე ლეო მესის

## პელეგრინი, რონალდინიოზე მეტად, არგენტინელ ვუნდერკინდს უფრთხის...

**დღეს**

**სოსიედადი-ატლეტიკო**
**რეალი-ვალენსია**

**ხვალ**

**დეპორტივო-ოსასუნა**
**ესპანიოლი-ბეტისი**
**სარაგოსა-სელტა**
**ლევანტე-ხეტაფე**
**მალიორკა-ხიმნასტიკი**
**რეკრეატივო-რასინგი**
**სევილია-ბილბაო**
**ვილიარეალი-ბარსელონა**

31-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრას "სანტიაგო ბერნაბეუ" უმასპინძლებს. სანტანდერში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ მადრიდელებს წაფორხილების უფლება აღარ აქვთ. მართალია, კანტაბრიაში მათ მსაჯის გაუგონარი უსამართლობის გამო წააგეს, მაგრამ დაკარგული ქულები ამით არ ანაზღაურდება, მადრიდული გიგანტი საშინაო შეხვედრაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. საპასუხისმგებლო მატჩის წინ **ფაბიო კაპელოს** საუკეთესო შემადგენლობასთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. ტრავმა არც ერთ ფეხბურთელს აღარ აწუხებს. დისკვალიფიცირებულიც არავინაა. კაპელოს ასეთი ფუფუნება ბოლოს რამდენიმე თვის წინ ჰქონდა. **რობერტო კარლოსმა, დევიდ ბექჰემმა, გონსალო იგუაინმა, ემერსონმა** და **რუუდ ვან ნისტელროიმ** ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარეს. **ფაბიო კანავარომ** და **მიგელ ტორესმა** კი მიკრო ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს. ამით გათამამებულმა იტალიელმა სპეციალისტმა **რუბენ დე ლა რედი** "კასტილიას" ნებაყოფლობით დაუთმო. საქმე ის არის, რომ "რეალის" სათადარიგო გუნდი სეგუნდა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

ბუნებრივია, "ვალენსიასაც" ამბიციური მიზნები აქვს. "ღამურები" აცნობიერებენ, რომ "ბერნაბეუზე" "რეალის" წინააღმდეგ თამაში დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისნი ნებისმიერ შემთხვევაში სამი ქულის მოსაპოვებლად იბრძოლებენ. წაგება სტუმრებს ესპანეთის ჩემპიონობის შანსს, პრაქტიკულად, დააკარგვინებს. სამედიცინო შტაბმა **კიკე სანჩეს ფლორესს** სასიხარულო ამბავი ამცნო. **დავიდ ალბელდა** გამოჯანმრთელდა. გუშინდელ ვარჯიშზე ალბელდას მინიმალური პრობლემაც არ შექმნია. მუხლმა მას ბოლომდე მუშაობის საშუალება მისცა. თუ მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, დავიდს ძირითად შემადგენლობაში თამაში არ გაუჭირდება. "ვალენსიის" საუკეთესო მეგოლე **დავიდ ვილიამ** ხუთშაბათის ვარჯიშზე მისვლა ფრიად კურიოზული მიზეზის გამო ვერ მოახერხა. მას კუჭი აეშალა და სახლიდან ვერ გადიოდა. მიუხედავად ამისა, ფლორესმა ფორვარდი მადრიდში მაინც წაიყვანა. ვილია ყველაფერს გააკეთებს რათა ფალარათმა ხელი არ შეუშალოს. აქვე მოგახსენებთ, რომ **მიგელ ანხელ ანგულოს** კოჭი სტკივა. მისი ბედი ბოლო მომენტში გაირკვევა.

**ფრანკ რიიკაარდს** "ელ მადრიგალზე" **რონალდინიო** დაუბრუნდება. ამ დასკვნის საფუძველს გაუჩოს გამოჯანმრთელებისა და გულმოდგინე ვარჯიშის ფაქტი გვაძლევს. ბრაზილიელი ვარსკვლავი ავადმყოფობას აღარ უჩივის. მთავარ მწვრთნელს მან თავად განუცხადა, რომ ბრძოლისათვის მზადაა. ჰოლანდიელი სპეციალისტისთვის ეს უდიდესი სიახლე გახლდათ. რონალდინიოს გამოჯანმრთელებით გახარებულ რიიკაარდს სულ გადაავიწყდა, რომ **ჟულიანო ბელეტი, ედმილსონი** და **ტიაგო მოტა** ლაზარეთში იმყოფებიან. ოთხშაბათს, ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში მონაწილეობით გამოფიტულ **სამუელ ეტოოს** რიიკაარდმა ერთი ვარჯიშის გამოტოვების უფლება მისცა. კამერუნელს პაუზა აშკარად კარგად წაადგა. ის გაცილებით უკეთ გამოიყურება. "ვილიარეალთან" მატჩში **ლეო მესი** ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. ახალგაზრდა არგენტინელის პოპულარობა "ხეტაფესთან" გატანილმა გოლმა ერთი-ორად გაზარდა. მესიზე მთელი მსოფლიო საუბრობს და მას მომავლის უდიდეს ვარსკვლავად ნათლავს. თავად ფეხბურთელი ტრადიციულად თავმდაბალია და აცხადებს, რომ ჯერაც ბევრი რამ აქვს სასწავლი. **მანუელ პელეგრინი** არგენტინელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ჩილელი სპეციალისტი არ მალავს, რომ ლეოს **ხოსე ენრიკეს** სახით პერსონალურ მეურვეს მიუჩენს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 30 | 17 | 8 | 5 | 60-27 | 59 |
| 2. სევილია | 30 | 16 | 7 | 7 | 48-26 | 55 |
| 3. რეალი | 30 | 16 | 6 | 8 | 42-27 | 54 |
| 4. ვალენსია | 30 | 16 | 5 | 9 | 42-29 | 53 |
| 5. სარაგოსა | 30 | 14 | 8 | 8 | 43-30 | 50 |
| 6. ატლეტიკო | 30 | 14 | 8 | 8 | 35-24 | 50 |
| 7. რასინგი | 30 | 12 | 11 | 7 | 37-35 | 47 |
| 8. რეკრეატივო | 30 | 13 | 7 | 10 | 41-39 | 46 |
| 9. ხეტაფე | 30 | 11 | 9 | 10 | 28-23 | 42 |
| 10. ესპანიოლი | 30 | 10 | 11 | 9 | 33-33 | 41 |
| 11. დეპორტივო | 30 | 10 | 9 | 11 | 22-31 | 39 |
| 12. ვილიარეალი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-39 | 38 |
| 13. ოსასუნა | 30 | 10 | 6 | 14 | 35-36 | 36 |
| 14. მალიორკა | 30 | 10 | 6 | 14 | 31-41 | 36 |
| 15. ბეტისი | 30 | 7 | 12 | 11 | 29-36 | 33 |
| 16. ბილბაო | 30 | 8 | 8 | 14 | 34-46 | 32 |
| 17. სელტა | 30 | 7 | 9 | 14 | 31-44 | 30 |
| 18. ლევანტე | 30 | 6 | 11 | 13 | 24-40 | 29 |
| 19. სოსიედადი | 30 | 5 | 9 | 16 | 21-37 | 24 |
| 20. ხიმნასტიკი | 30 | 6 | 6 | 18 | 30-52 | 24 |

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

### ორი რეკორდი

**მამული-სტუ/თელავი 12:46**

მამული: ხონელიძე (1), კიზირია, შათირიშვილი (5), შონია (2), ლ. დორეული, შ. დორეული (1), გველესიანი (3)

სტუ-თელავი: სამყურაშვილი, გოგალაძე (13), ყიფიანი (6), სიგუა (3), ბერძენიშვილი (2), მსხვილიძე (4), გ. ჩიქოვანი (7), კობახიძე (3), საჯაია (1), ი. ჩიქოვანი (5), ტალახაძე (2)

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**იმედი-თბილისი 34:63**

იმედი: ვახანია, გონჩაროვი, კვერნაძე (9), ლომიძე (1), ჟღენტი (3), ქარდავა (3), ბერიაშვილი (4), კერესელიძე (3), ყაველაშვილი (3), თეთრუაშვილი (2), მაისურაძე (5), საბანაშვილი, ცოტაძე, ბიდოდაშვილი (1)

თბილისი: სეთურიძე, ნატროშვილი (10), ფორაქიშვილი (5), არაბული, ნივნივაძე (17), ქირია (11), ღლანიძე, გრიშიკაშვილი, ოსიყმაშვილი (6), გელაშვილი (5), ქუთათელაძე (9)

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თბილისი | 13 | 11 | 1 | 1 | +159 | 23 |
| 2. სტუ/თელავი | 12 | 10 | 1 | 1 | +144 | 21 |
| 3. ქარიშხალა | 11 | 4 | 1 | 6 | -16 | 9 |
| 4. იმედი | 13 | 4 | 1 | 8 | -93 | 9 |
| 5. მამული | 13 | 0 | 0 | 13 | -192 | 0 |

"მამული" – სტუ-"თელავის" მატჩზე მისულებს დარბაზში არ დაგვხვდა ელექტროენერგია და სამსაჯო მაგიდაზე ძველებური, მამაპაპური ქაღალდის ტაბლო დავინახეთ. ის რაც გუშინ გლდანის დარბაზში მოხდა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სპორტული ბაზების თვითდაფინანსებაზე გადასვლას. დარბაზის ხელმძღვანელობა წუწუნებს - ჩვენს ძირითად შემოსავლად დარბაზების გაქირავებაღა დარჩა და მოგებას რომ თავი დავანებოთ, ამხელა კომპლექსის შენახვასაც ძლივს ვახერხებთო. ამჟამად, გლდანის ხელბურთის ცენტრში ერთი დიდი და ორი პატარა დარბაზია, რომელთა დაქირავების მსურველი საკმაოდ ცოტა ყოფილა და ვისაც სურს, უმეტესობას საღამოს საათებში. ამ დროს კი ელექტროენერგიის ჩართვაა საჭირო, რომლის ხარჯს თითქმის მთელი ქირა სჭირდება...

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, დიდ სანახაობას არც ველოდით და ასეც იყო. მატჩ 12 წუთის შემდეგ სტუ 11 უპასუხო ბურთით იგებდა. მამულელთა თავკაცმა **რევაზ ჭანტურიამ** ნახევრად ხუმრობით ჩაილაპარაკა – თუ ასე გაგრძელდა, მგონი საერთოდ ვერ გავიტანთ ბურთსო. მართალია, "მამულმა" 12 გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ საკუთარ კარში თითქმის ოთხჯერ მეტი მიიღო და გამანადგურებელი სხვაობით დამარცხდა. სტუ-მ მოხსნა წლევანდელ ჩემპიონატში თავისივე დამყარებული რეკორდი ყველაზე დიდი სხვაობით მოგებისა. შარშან, ნოემბერში, სტუ-ელებმა 32-ბურთიანი სხვაობით იმარჯვეს, ახლა კი ორი გილით გააუმჯობესეს რეკორდი. ისედაც საკადრო პრობლემებით განამებულ "მამულს" გუშინ სათადარიგოთა სკამზე ერთი ხელბურთელიც არ ეჯდა. კიდევ კარგი, არავინ დაუშავდათ, თორემ კაცნაკლულებს მოუწევდათ მატჩის დამთავრება.

მეორე მატჩში, სტუ-"თელავის" უშუალო კონკურენტი "თბილისი" თავის შეილობილ კლუბ "იმედს" ხვდებოდა. როგორც ჩანს, თბილისელებმა მეტოქის რეკორდის მოხსნა მოინდომეს, რისთვისაც 5 გოლი დააკლდათ. სამაგიეროდ, სხვა რეკორდს გამოჰკრეს ხელი. კერძოდ, წლევანდელ ჩემპიონატში, ერთ მატჩში 63 გოლი არავის გაეტანა.

დღეს სტუ-"თელავი" 15 საათზე თელავში "ქარიშხალას" დაუხვდება. მეოთხე წრის მეორე ტური კი 26-29 აპრილს გაიმართება.

**კობა ხატისაშვილი**

### მეოთხე ადგილზე

**რაგბი**. საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის B ჯგუფში მეოთხე ადგილს დასჯერდა. მესამე ადგილისთვის ჩვენებმა აშშ-ის ნაკრებთან წააგეს - 5:24. ლელო **ბექა სულუხიამ** გაიტანა. A ჯგუფის ერთადერთი საგზურისთვის მატჩში იტალიამ დაამარცხა კანადა 22:3.

## ანტიკური ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# დიდება თავისუფლებას!

*პირველი გვერდიდან*

მსგავსი რამ რამაზ ნოზაძის ფინალური შეხვედრის შემდეგაც განმეორდა, ოღონდ პირიქით - წარმატება ასე ორიგინალურად ამჯერად ნოზაძემ მიულოცა პირად მწვრთნელ **ოთარ ტატიშვილს**.

ნოზაძემ კონტინენტის ჩემპიონობა მეორედ იზეიმა. პირველი მსგავსი სიხარული 2003 წლის ევროპირველობაზე განიცადა. ოლიმპიადის შემდეგ ეს მისი პირველი სერიოზული წარმატებაა. არადა, ტრავმებისა თუ ოპერაციების გამო მას ლამის მთელი ოლიმპიური ციკლი ჩაუვარდა. ვარჯიშები სერიოზულად შარშანდელიდან განაახლა, მაგრამ ცალკეულ ტურნირთა მოგების მიუხედავად, ეს მაინც ვერ იყო ძველი ნოზაძე. თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ამ ჩემპიონატზე თავისი საუკეთესო სახით წარმოჩნდა - ჩემპიონატში ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან ოთხი ძირითად დროში მოიგო. ცხადია, საწყის ეტაპებზე შედარებით იოლი მეტოქეები შეხვდნენ და ორივეს - ნორვეგიელ **ფრიც აანსენსაც** და პოლონელ **მარცინ ოლეინიჩაკსაც** იოლად გაუსწორდა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ორივეს ერთნაირი ანგარიშით - 11:0 მოუგო!

ნოზაძეს პირველი სერიოზული მოწინააღმდეგე მეოთხედფინალში შეხვდა - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ესტონელი **ჰეიკი ნაბი**. მისი გამარჯვება საჭიდაო სამყარომ იმთავითვე გამართლებად მიიჩნია და, ალბათ, სამართლიანადაც, თუმცა ნოზაძემ მასთან ისე ვერ გაილაღა. მართალია, ჩვენებურმა ძირითად დროში მოიგო, მაგრამ მეორე პერიოდი - 2:2-ზე ანუ ბოლო ქულით. მას კიდევ უფრო გაუჭირდა ნახევარფინალში რუს მსოფლიოს პრიზიორ **ვასილ ტეპლოუხოვთან** - ორივე პერიოდი 1:1 დასრულდა და ორივე ქართველმა მოიგო. თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, მონეტა ორივეჯერ მას დაუჯდა და ამიტომ არ გარისკა.

ნოზაძისთვის ფინალი ცუდად დაიწყო - პირველი პერიოდი 1:2 წააგო. ესეც ძალიან საეჭვო ანგარიშია, მაგრამ ბედი ნოზაძის მხარეს იყო. როგორც ზემოთ გითხარით, ამ შეხვედრაში მონეტა სამივე პერიოდში მას დაუჯდა. ერთი ეგაა, ჩვეული ტრიალები თითქოს ძველებურად არ გამოუდიოდა, თუმცა მეორე პერიოდი მაინც დამაჯერებლად მოიგო და დაინიშნა გადამწყვეტი დამატებითი დრო.

ამ კრიტიკულ მომენტში დამკვიდრებულ ტრადიციას არც ამათ უღალატეს და საწყისი ერთწუთიანი მონაკვეთი უქულოდ დასრულდა. მონეტამ ერთხანს კი გვანვალა - წითელი ნიშნულის გასწვრივ კარგა ხანს იკოტრიალა, მაგრამ საბოლოოდ დაბარებულივით ისევ ნოზაძეს დაუჯდა. ჩვენებურმა შანსი გამოიყენა და მეტოქე ერთქულიანზე გადაატრიალა. და დადგა გადამწვეტი 30-წამიანი მონაკვეთი - თუ ნოზაძე თავს დაიცავდა, კიდევ ერთ ქულას და ჩემპიონობას მიიღებდა. არადა, შვედი ანგარიშს ათანაბრებდა, მაგრამ ბოლო ქულით გამოისობით, პერიოდსა და მთლიანად შეხვედრასაც იგებდა. იგი ახლოსაც იყო მიზანთან, როცა ჩვენებური მთელი კორპუსით ასწია ხალიჩიდან და კინაღამ დაატრიალა, მაგრამ ნოზაძემ კარგად დაიცვა თავი. ერთი ეგაა, იმ მომენტში მხრის კუნთი გაწყვეტია, მაგრამ ტრავმა იმდენად საშიში არაა. რაც მთავარია, თავდაცვა შეძლო და მეორედ იზეიმა ევროპის ჩემპიონობა.



რამაზ ნოზაძის (ქვემოთ) ფინალი ჯიმი ლიდბერგთან

**გუშინ** მხოლოდ **დავით ბედინაძე** (60) დაგვეჩაგრა. ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი სოფიაში წონის ერთ-ერთ ფავორიტად ჩავიდა, მაგრამ მეოთხედფინალიდან გავარდა. სერბ **დავორ სტეპანეკსა** და აზერბაიჯანელ **ფუად ალიევთან** დამაჯერებელი გამარჯვებების შემდეგ იგი მასპინძელ **ემილ მილევთან** დამატებითში მინიმალური სხვაობით - 3:4 დამარცხდა. როგორც ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** გვითხრა, ამ ბრძოლის შედეგი თავიდან განსასჯელი გამხდარა. მთავარ არბიტრს გამარჯვება ქართველისთვის მიუკუთვნებია, მაგრამ რუმინელს გვერდითი მსაჯი არ დათანხმებია... *„ამ დროს რუმინელი ეუსებიუ დიაკონუ უკვე ნახევარფინალში იყო. ცხადია, რუმინელებს მეტოქედ ბულგარელი ერჩივნათ, ვიდრე ბევრად ძლიერი ქართველი. მილევი რომ ძლიერი მოჭიდავე არაა, დიაკონუსთან შეხვედრაში კარგად გამოჩნდა"* - გვითხრა დარჩიამ. ასეა თუ ისე, მილევმა წააგო რუმინელთან და ბედინაძეც გავარდა.

დღეს ჩემპიონატში „თავისუფლები" ჩაებმებიან და, იმედია, ჩვენები წარმატებით გადაიბარებენ ესტაფეტას. დღეს შეხვედრები 55, 66, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში გაიმართება და შეგვიძლია ჩვენებურთა მეტოქეებიც გაგაცნოთ.

ძალიან ძლიერ ჯგუფშია **ბესიკ გუჩაშვილი** (55), თუმცა თავიდან ისეთი არაფერი - პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი იტალიელ **ფაბიო კოშინოს** ხვდება (თავიდან ესეც ისვენებს). სამაგიეროდ, ბადის ამავე ნახევარში მოხვდნენ მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ფინალისტები - მასპინძელი **რადოსლავ ველიკოვ მარინოვი** და რუსი **ბესიკ კუდუხოვი**.

წილისყრით არანაკლებ დაგვეჩაგრა დებიუტანტი **კობა კაკალაძე** (66), რომელიც პირველ წრეში უძლიერეს მასპინძელს, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონ **სერაფიმ ბარზაკოვს** ხვდება. ასეთი მეტოქის შემდეგ იქნებ სხვები დიდად არც გვაინტერესებდეს, მაგრამ ბადის ამავე ნახევარშია რუსი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **ირბეკ ფარნიევიც**.

84-ში ძმები **ქეთიშვილები** ერთმანეთს ფინალამდე ვერ შეხვდებიან. შეგახსენებთ, რომ **ლერი ქეთიშვილი** საქართველოს ღირსებას იცავს, მისი უმცროსი ძმა **გიორგი კეტოევი** - რუსეთისას. ლერი ქეთიშვილი პირველ წრეში ჩვენთვის კარგად ნაცნობ სომეხ ევროპის ორგზის პრიზიორ **ვადიმ ლალიევს** ხვდება. იგი **რევაზ მინდორაშვილს** რამდენჯერმე დაუმარცხებია, ოღონდ ლალიევი მაშინ რუსეთის სახელით გამოდიოდა

მძიმე წონაში სადაც **ლექსო მოდებაძე** განთესილთა შორისაა ანუ პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი რუმინელ **რარეს დანიელ ჩინტოანუს** ხვდება. ტიტულოვანთაგან მის ნახევარში მხოლოდ უნგრელი ევროპის პრიზიორი **ოტო ობელია**. დაბოლოს, ზეგ ტურნირს დახურავენ: **გიორგი ბალიაშვილი** (60), **გელა საღირაშვილი** (74) და **გიორგი გოგშელიძე** (96).

| 60 კგ |
|---|
| 1. ეუსებიუ დიაკონუ (რუმინეთი) |
| 2. სტიგ ანდრე ბერგე (ნორვეგია) |
| 3. სურენ გევორქიანი (უკრაინა) |
| 3. იარკო ალა-ჰუიკუ (ფინეთი) |
| 8. დავით ბედინაძე (საქართველო) |

| 74 კგ |
|---|
| 1. მანუჩარ კვირკველია (საქართველო) |
| 2. რეტო ბუში (შვეიცარია) |
| 3. მიხაილ ივანჩენკო (რუსეთი) |
| 3. ვალდემარას ვენცკაიტისი (ლიტვა) |

| 96 კგ |
|---|
| 1. რამაზ ნოზაძე (საქართველო) |
| 2. ჯიმი ლიდბერგი (შვედეთი) |
| 3. ვასილი ტეპლოუხოვი (რუსეთი) |
| 3. ბალაშ კიში (უნგრეთი) |

### კომენტარები სოფიიდან

**ბეგი დარჩია,**
**მთავარი მწვრთნელი**

- ბუნებრივია, წარმატებით გახარებული ვარ, რადგან ერთ ოქროს ვგეგმავდით, აქ კი ორი მოვიპოვეთ. ამ წარმატებას მთელ საქართველოს ვულოცავ. ოქროს მედლები დამსახურებულად მოვიპოვეთ, გვეკუთვნოდა და წამოვიღეთ კიდეც, თუმცა შანსი გაცილებით მეტისა იყო. მაგალითად, მუხრან მაჭუტაძეს ნახევარფინალი უნდა მოეგო. კარგი შანსი დაკარგა ირაკლი ჭოჭუამ, ბადრი ხასაია სოფიაში წამოსვლის წინ მოიწამლა და ერთი კარგი შეხვედრა მოიგო, მაგრამ მეტი ვერ შეძლო. დავით ბედინაძე მსაჯებმა დაგვიჩაგრეს - ფინალი უნდა ეჭიდავა, უმედლოდ კი დარჩა. თუმცა წინ მსოფლიო ჩემპიონატია და დაკარგულის ანაზღაურებას იქ შევეცდებით.

**რამაზ ნოზაძე**

- ეს გამარჯვება ორმაგად მიხარია, რადგან ოლიმპიადის მერე ვერაფერი მოვიგე და ფსიქოლოგიურ წნეხში ვიყავი. ტრავმების გამო ბევრი გამიცდა და მსოფლიოსა თუ სხვა ტურნირებზე წაგება ტვირთად მაწვა ამიტომ ორმაგად მიხარია, ეს ბარიერი რომ გადაველახე.

პირველი ორი შეხვედრა იოლად მოვიგე და უფრო გავიხსენი. მივხვდი, უკვე პიკზე ვიყავი და ვერ ვიტყვი, რომ დიდად გამიჭირდა. ესტონელ მსოფლიო ჩემპიონ ნაბის დამაჯერებლად მოვუგე. ნახევარფინალში რუს ტეპლოუხოვთან ორივე პერიოდი 1:1 დავამთავრე, მაგრამ ორივე მე მოვიგე. რომ შევხედე, მონეტა ორივეჯერ ჩემს სასარგებლოდ დაჯდა, არ გავრისკე. დღევანდელ ჭიდაობაში სხვანაირი წესებია. ბიჭებმა აქ ისეთი შეხვედრები წააგეს, გარისკვად არ მიღირდა და არც გამირისკავს. ფინალი ყოველთვის ძნელია და თავისებური. ამას ისიც დაემატა, რომ დამატებით დროში, როცა მეტოქემ ხალიჩიდან აყვანა დამიპირა, მხრის კუნთი გავიწყვიტე. იმ მომენტში ყველაზე უფრო ამან შემაშინა, მაგრამ თავი კარგად დავიცავი და გდება არ გავაკეთებინე. ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ, ძალიან საჭირო გამარჯვება იყო.

**მანუჩარ კვირკველია**

- მოსაგებად ჩამოვედი. თავს ვირწმუნებდი, რომ მაქსიმუმი უნდა გამელო და ჩემპიონობა მომეპოვებინა. ღმერთის წყალობით, გამომივიდა კიდეც. ასეთი დონის ტურნირში ყველა შეხვედრა ძნელია და მიჭირს რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ ფინალი ორმაგად რთულია. ბეგი დარჩიას ილეთი ჩვენს ურთიერთობაში მართლა ტრადიციად დამკვიდრდა, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, ასეთი გდება სხვასთან არ გავატარო, თორემ მწვრთნელისგან რაც მეტი იქნება - მით უკეთესი!

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U 10

### საგზურები დარიგდა

ჩემპიონთა ვინაობა ერთი ტურის წინ გაირკვა, ამიტომ ბოლო დღის მთავარი ინტერესი ის გახლდათ, ვინ მოიპოვებდა მეორე ადგილს, შესაბამისად - ევროპის ჩემპიონატის საგზურს. როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში მეორე ადგილისთვის ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობდა: მთავარმა ფავორიტმა **ნინო ხომერიკმა** თეთრებით შეძლო **ნინო ჯალალონიას** დამარცხება, 7.5 ქულა დააგროვა და კოეფიციენტის უკეთესობის გამო, მდევართავის მიუწვდომელი გახდა - მეორე ადგილი და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ხომერიკის კონკურენტმა, **ანა ჭავჭანიძემ** შავებით წააგო ერთი ქულით უკან მყოფ **მარიამ მჟავიასთან**, მაგრამ კოეფიციენტით მესამე ადგილი შეინარჩუნა. ჩემპიონმა **მარიამ ჭოლაძემ** ტურნირის მაქსიმალური შედეგით დასრულება ვერ მოახერხა - ბოლო ტურში ყაიმით ითამაშა და ტურნირი 8.5 ქულით დაასრულა.

ბიჭების ჩემპიონმა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმაც** 8.5 ქულა დააგროვა. მეორე ადგილისთვის - **ნოე თუთისანმა დაჩი კიზირიას** მოუგო და 7.5 ქულით მეორე ადგილსა და ევროპის ჩემპიონატის საგზურს დაეუფლა. მესამე ადგილი ერგო **ბესიკ გრძელიძეს** (7).

ათეულები. გოგონები: **1. მარიამ ჭოლაძე-8.5 ქულა; 2. ნინო ხომერიკი-7.5; 3. ანა ჭავჭანიძე-6.5; 4. მარიამ მჟავია-6.5; 5. ქეთევან ხომერიკი-6; 6. თათია ხომერიკი-6; 7. ნინო ჯლარკავა-6; 8. ეკა ურდულაშვილი-5.5; 9. მარიამ წულაია-5.5; 10. ქეთევან ლომიძე-5.**

ვაჟები: **1. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-8.5; 2. ნოე თუთისანი-7.5; 3. ბესიკ გრძელიძე-7; 4. ნიკოლოზ ბერძენაძე-6.5; 5. ლუკუნა ხიდეშელი-6.5; 6. დაჩი კიზირია-6.5; 7. ნიკა ლვამბერია-6.5; 8. ირაკლი კელაპტრიშვილი-6.5; 9. ირაკლი ფოფხაძე-6; 10. მამუკა ანთაძე-6.**

**ზვიად შათირიშვილი**



ნიკოლოზ ქუმსიაშვილი



მარიამ ჭოლაძე

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. ფედერაციის თასი



# შესრულებული მისია

| ევროპა-აფრიკის II ზონა |
| --- |
| 17-20 აპრილი. მავრიკის კუნძულები |
| **A ჯგუფი** |
| **საქართველო-სამხრეთი აფრიკა 2:1** |
| ოქსანა კალაშნიკოვა-ლიზან დუპლესი 3:6, 6:3, 4:6 |
| მაკა ჩახნაშვილი-სურინა დე ბეერი 7:5, 6:2 |
| მაკა ჩახნაშვილი, ეკა გორგოძე-კელი ანდერსონი, სურინა დე ბეერი 7:6 (6), 7:5 |
| **პორტუგალია-საბერძნეთი 2:0** |
| ნეუსა სილვა-ასიმინა კაპლანი 6:2, 6:0 |
| ფრედერიკა პიედადე-ანა გერასიმუ 6:2, 6:2 |
| **ფლეი-დაუნი. ბოსნია-ფინეთი 2:0** |
| დიანა სტოჟიჩი-ემა ჰელიმტენი 6:1, 6:3 |
| სანდრა მარტინოვიჩი-პია სუომალაინენი 7:5, 3:6, 6:4 |
| ევროპა-აფრიკის I ზონაში გადავიდნენ: პორტუგალია და საქართველო |
| ევროპა-აფრიკის III ზონაში გავარდნენ: ფინეთი და ნორვეგია |

შორეულ მავრიკეთში მისია წარმატებით დავასრულეთ- ქალ ჩოგბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა (კაპიტანი **ლალი ზერეკიძე**) შეძლო ფედერაციის თასზე ერთი დონით მაღლა ანაცვლება. გუშინ ჩვენმა ჩოგბურთელებმა სამხრეთი აფრიკის ნაკრები დაამარცხეს 2:1 და ევროპა-აფრიკის I ზონის საგზური მოიპოვეს.

ფინიქსში გადამწყვეტი მატჩი **ოქსანა კალაშნიკოვასა** და **ლიზან დუპლესის** შეხვედრით გაიხსნა. სამწუხაროდ, ოქსანამ თანაბარ თამაშში სამ სეტში მარცხი იგემა - 3:6, 6:3, 4:6. ცოტა არ იყოს, მოულოდნელი შედეგია, მართალია ოქსანა მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ 21 წლის დუპლესისზე უკეთესი მიღწევები აქვს საერთაშორისო ჩოგბურთში. მეორე მატჩში ნაკრების ლიდერი **მაკა ჩახნაშვილი სურინა დე ბეერის** წინააღმდეგ გამოვიდა, მაკამ ისევე, როგორც ყველა შეხვედრაში, მძიმედ დაიწყო, თუმცა პირველ სეტში შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება და უკვე აღარ გასჭირვებია გამარჯვება (7:5, 6:2) და მატჩში ანგარიშის გათანაბრება - 1:1.

საგზურის ბედი წყვილთა მატჩმა გადაწყვიტა, მაკა ჩახნაშვილისა და 15 წლის **ეკა გორგოძის** დუეტი **კელი ანდერსონისა** და სურინა დე ბეერის წყვილს დაუპირისპირდა. ჩვენებმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკში 7:2 მოიგეს, დაძაბული გამოდგა მეორე სეტიც, რომელიც ასევე ქართველთა გამარჯვებით დასრულდა - 7:6, 7:5 და საქართველოს ნაკრებმა მატჩში 2:1 იმარჯვა. მეორე ფლეიოფში, როგორც მოსალოდნელი იყო, პორტუგალიის ნაკრებმა 2:0 მოუგო საბერძნეთს და საქართველოსთან ერთად პირველი ზონის საგზური მოიპოვა. **ნეუსა სილვამ** და **ფრედერიკა პიედადემ** ჯამში სულ 6 გეიმი დათმეს. პორტუგალიის ნაკრებს ტურნირზე ყველაზე დაბალანსებული გუნდი ჰყავდა, შედეგიც სახეზეა. ჩვენ კი ერთობ გაგვიმართლა, როცა ტურნირის წინ სამხრეთ აფრიკელთა ლიდერმა **ნატალი გრენდინმა** (182 და 78 წყვლებში) ტრავმა მიიღო და თამაში ვერ შეძლო.

მომავალ წელს საქართველოს ნაკრები ევროაფრიკის პირველ ზონაში ითამაშებს, ასე რომ, საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს ზონა. სულ 16 ნაკრებია, რომელიც ოთხ ჯგუფად თამაშობს. ჯგუფების გამარჯვებულები ფლეიოფში გადიან, ბოლო ადგილზე დარჩენილები - ფლეი დაუნში. საბოლოოდ, ორი საუკეთესო გუნდი II მსოფლიო ჯგუფში გადადის (აქ სულ 8 გუნდია. ამის ზემოთ, უმაღლეს დონეზე - კიდევ 8 ქვეყანა), ორი უარესი - ევროაფრიკის მეორე ზონაში ვარდება.

ზუსტად ახლა პლოვდივში მიმდინარეობს პირველი ზონის ტურნირი. გუშინ მხოლოდ ჯგუფური ტურნირები დასრულდა. ბოლო ადგილზე გასული ოთხი ნაკრებიდან გაირკვევა ორი უიღბლო, რომელთა ნაცვლადაც გაისად საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებები ითამაშებენ:

ბულგარეთი ლიტვას შეხვდება, ხოლო ჰოლანდია - ესტონეთს. წაგებულები ევროპა-აფრიკის მეორე ზონაში ჩამოქვეითდებიან. II მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელად იბრძოლებენ: რუმინეთი, უკრაინა, სერბეთი და პოლონეთი.

# ორი ნაბიჯი მსოფლიო ელიტამდე

საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასზე 1994 წლიდან თამაშობს. მას შემდეგ ჩვენმა გუნდმა ზუსტად 50 მატჩი გამართა, აქედან 26 მოიგო და 24 წააგო (წლეულს 3-1). ჩვენების დებიუტი 1994 წლის 18 აპრილს ავსტრიის ქალაქ ბად ვალტერსდორფში შედგა. ეს იყო ევროპა-აფრიკის პირველი ჯგუფის მატჩი ტუნისთან, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 3:0 მოიგო. მაშინ მართლაც ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავდა - **ლეილა მესხი** (კარიერის მიღწევა, მე-12 ჩოგანი) და **ნინო ლუარსაბიშვილი** (კარიერის მიღწევა 144-ე ჩოგანი). იმ წელს ჩვენები ერთ ნაბიჯზე იყვნენ II მსოფლიო ჯგუფში გადასვლისგან: ჯგუფში ტუნისს (3:0) და უკრაინას (2:1) მოუგეს, პირველ ფლეი-ოფში კი - ზიმბაბვეს (3:0). სამწუხაროდ, მესხმა და ლუარსაბიშვილმა გამადწყვეტი მატჩი წააგეს სლოვაკეთის ნაკრებთან - 1:2. 1997 წლამდე საქართველოს ნაკრები ევროპა-აფრიკის პირველ ჯგუფში თამაშობდა. მერე კი სამი მატჩი დავთმეთ (1997 წელს ნაკრებში ნინო ლუარსაბიშვილი, **სოფიო მანაგაძე** და **ირინა კაკულია** თამაშობდნენ) და მეორე ჯგუფში დავქვეითდით. მეორე წელს ნაკრების დებიუტანტის **მაკა ჩახნაშვილის** და ნინო ლუარსაბიშვილის მონადინებით ნაკრები პირველ ზონას დაუბრუნდა, თუმცა მეორე წელსვე მეორე ზონაში გავარდით. 2001 წელს საქართველოს ნაკრებმა პირველი ზონის საგზური კვლავ მოიპოვა, თმცა ორი წლის შემდეგ ჩვენები ისევ გავარდნენ და დღემდე მეორე ზონაში თამაშობდნენ. საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი **მაკა ჩახნაშვილს** აქვს ნათამაშები - 29 მოიგო და 20 წააგო. მაკა ცხრა სეზონია ეროვნული ნაკრების წევრია. სხვათა შორის, მხოლოდ 2005 წელს მოხერხდა ტურნირზე სრული გუნდით (ოთხი სპორტსმენით) გამგზავრება.

ნაკრებში თამაშისას ყველაზე ახალგაზრდა წევრი **სალომე დევიძე** იყო, იუგოსლავიასთან მატჩში სალომე 13 წლის და 270 დღის იყო, ყველზე ასაკოვანი კი - **ლეილა მესხი**, 26 წლის და 108 დღის. დღევანდელ რეიტინგ-ლისტში საქართველოს ნაკრები 52-ე ადგილზეა, 527 ქულით, თუმცა განახლებულ რეიტინგში ჩვენები აუცილებლად წინ წაიწევენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასზე

1994 წ. ევროპა აფრიკა I, ავსტრია
(ლეილა მესხი, ნინო ლუარსაბიშვილი, ვიქტორია ბახტაძე)
**ჯგუფი:** ტუნისი - 3:0, უკრაინა - 2:1,
**ფლეი-ოფი:** ზიმბაბვე - 3:0, სლოვაკეთი - 1:2

1995 წ. ევროპა აფრიკა I, ესპანეთი
(ნინო ლუარსაბიშვილი, ვიქტორია ბახტაძე)
**ჯგუფი:** უნგრეთი - +-, უკრაინა - 1:2, რუსეთი - 0:3

1996 წ. ევროპა აფრიკა I, ესპანეთი
(ნინო ლუარსაბიშვილი, სოფიო მანაგაძე)
**ჯგუფი:** ხორვატია - 0:3, შვეიცარია - 0:3, იუგოსლავია - 2:1

1997 წ. ევროპა აფრიკა I, იტალია
(ნინო ლუარსაბიშვილი, სოფიო მანაგაძე, ირინა კაკულია)
**ჯგუფი:** ისრაელი - 0:3, სლოვენია - 0:3, ლატვია - 0:3

1998 წ. ევროპა აფრიკა II, თურქეთი
(მაკა ჩახნაშვილი, ნინო ლუარსაბიშვილი)
**ჯგუფი:** მოლდოვა - 3:0, ბოსნია - 2:1, ისლანდია - 3:0, ირლანდია - 3:0, ესტონეთი - 2:1

1999 წ. ევროპა აფრიკა I, ესპანეთი
(მაკა ჩახნაშვილი, ნინო ლუარსაბიშვილი)
**ჯგუფი:** სლოვენია - 1:2, პოლონეთი - 0:3, ლუქსემბურგი - 1:2

2000 წ. ევროპა აფრიკა II, პორტუგალია
(მაკა ჩახნაშვილი, სალომე დევიძე)
**ჯგუფი:** იუგოსლავია - 1:2, სომხეთი - 3:0, ეგვიპტე - 3:0, კვიპროსი - 3:0, ლიტვა - 1:0 (მატჩი არ დასრულდა)

2001 წ. ევროპა აფრიკა II, თურქეთი
(მაკა ჩახნაშვილი, სალომე დევიძე, ნინო ესებუა)
**ჯგუფი:** მალტა - 3:0, ლატვია - 3:0, ირლანდია - 3:0

2002 წ. ევროპა აფრიკა I, თურქეთი
(მაკა ჩახნაშვილი, სალომე დევიძე, ნანა უროტაძე)
**ჯგუფი:** ესტონეთი - 1:2, ბულგარეთი - 1:2, პორტუგალია - 2:1

2003 წ. ევროპა აფრიკა I, პორტუგალია
(მაკა ჩახნაშვილი, ნანა უროტაძე, თინათინ ყავლაშვილი)
**ჯგუფი:** ბულგარეთი - 1:2, ისრაელი - 0:3, იუგოსლავია - 0:3

2004 წ. ევროპა აფრიკა II, მალტა
(სალომე დევიძე, სოფიო მელიქიშვილი, თინათინ ყავლაშვილი)
**ჯგუფი:** ირლანდია - 0:3, ლატვია - 1:2, ლუქსემბურგი - 0:3, ფინეთი - 2:1, **ფლეი-დაუნი:** ეგვიპტე - 3:0

2005 წ. ევროპა აფრიკა II, თურქეთი
(მაკა ჩახნაშვილი, თათია მიქაძე, თინათინ ყავლაშვილი, სალომე ჩაჩხუნაშვილი)
**ჯგუფი:** ლატვია - 3:0, ირლანდია - 3:0, ნორვეგია - 2:1,
**ფლეი-ოფი:** ფინეთი - 1:2

2006 წ. ევროპა აფრიკა II, თურქეთი
(მაკა ჩახნაშვილი, ია ჯიქია, მანანა შაფაქიძე, სოფიო ქვაცაბაია)
**ჯგუფი:** ლიტვა - 1:2, ირლანდია - 2:1, პოლონეთი - 0:3

2007 წ. ევროპა აფრიკა II, მავრიკეთი
(მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკა გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია)
**ჯგუფი:** ნორვეგია - 2:0, პორტუგალია - 0:3, ბოსნია - 2:0,
**ფლეი-ოფი:** სამხრეთი აფრიკა - 2:1

## ვეტერანი ლელოელი 80 წლისაა



ჯიმშერ ენუქიძე

**ადამიანები** ასაკში რომ შედიან, სხვაობას წლებს შორის აღარ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ოსტატი, მაინც ოსტატად რჩება, შეგირდი - შეგირდად. ჯიმშერ ენუქიძე, თავის დროზე, ჩემთვის უფროსი მეგობარიც იყო და ოსტატიც, როგორც პროფესიაში, ისე ცხოვრებაში. პირველი ლელოელები სამოციანელებისთვის უკვე უფროსი თაობა იყო. ჩვენ მათ მიერ გაკვალულ გზას ვადგებოდით, მაგრამ ერთად მივდიოდით ამ გზაზე, მივდიოდით თანხმობით, სიყვარულით, ერთმანეთის პატივისცემით, ოსტატ-შეგირდის დაწერილი და დაუწერელი პრინციპებით, ყველაფრით, რაც ამაღლებულია და ამშვენებს ადამიანთა ურთიერთობას.

ერთად მოგვივლია სარედაქციო მივლინებებისას საქართველოს ქალაქები და რაიონები, ერთად გვიმუშავია და გვიცხოვრია მოსკოვში, კიევში, სხვა ქალაქებში. ესეც დაუწერელი კანონი იყო - რედაქციის ხელმძღვანელობა მივლინებაში გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად აგზავნიდა ახალბედა ჟურნალისტებს. და ეს იყო შესანიშნავი სკოლა. ყოველთვის მხიბლავდა ჩემი უფროსი მეგობრის სიდარბაისლე, ინტელიგენტურობა, სულიერი სისპეტაკე, ერთგულება პროფესიისადმი. "კარგად დაიხსომე, ყოველი ადამიანი თავისებურად საინტერესო წიგნია. არაერთი საინტერესო ფურცელი შეგხვდება ამ წიგნის კითხვისას, რომლის შინაარსი არასდროს ამოიშლება მეხსიერებიდანო". - იტყოდა ხოლმე. თავადვე იყო ამის სანიმუშო მაგალითი და არა მხოლოდ ჩემთვის.

არავის დაუძალებია, თავისი ნებით გავიდა პენსიაზე. შიდა ქართლში, სოფელ ერედვში, მეუღლის მამის კერა გამოაცოცხლა. ეს სოფელი კონფლიქტის ზონაშია. ვერავრით დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა რა უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია ერედველებში. ერთი კერია კი არა, მთელი სოფელი გამოუცოცხლებია, იმედი ჩაუსახავს ადამიანებისთვის. დედაქალაქიდან რომ ინტელიგენტი კაცი ჩავა სოფელში, თანაც სახიფათო ზონაში და გლეხების გვერდთი იშრომებს, იმედია, აბა რა არის.

ვინ თუ არა, გამოცდილმა სპორტულმა ჟურნალისტმა კარგად იცის რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტს იქ, სადაც ერთი კუთხის ადამიანები, მათ შორის ახალგაზრდობა ბარიკადების აქეთ-იქით აღმოჩნდნენ ბინძური პოლიტიკის გამო. ერედველები - ქართველები და ოსები, ოსები და ქართველები გორსა და ცხინვალში დადიოდნენ სპორტულ სექციებში სამეცადინოდ და მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა შეჯიბრებებში. 2005 წელს ერედვშიც გაჩნდა კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი. ახალგაზრდობა უკვე სოფლიდან გაუსვლელად ოსტატდება, ახლა თავადაც მასპინძლობენ შეჯიბრებებს. ჯიმშერ ენუქიძემ დიდი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის მოგვარებაში.

საუბედუროდ, იმ დიდმა ტრაგედიამ, რომელიც თავს შარშან თბილისში დაატყდა ჯიმშერ ენუქიძის ოჯახს, დისონანსი შეიტანა მის ცხოვრებაში. მაგრამ სულიერად არ გატეხილა, ეს ქრისტიანული წესია.

დღეს, ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს და კოლეგას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდება...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ახალი ფედერაცია



პრესკონფერენციაზე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ჯომარდობა, როგორც სპორტი და როგორც გართობა

**გუშინ**, კაფე "მსოფლიო სპორტში" საქართველოს ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრესკონფერენცია გაიმართა. შეხვედრის მიზანი ახალი ფედერაციის მედიასთან გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობა იყო.

ჯომარდობა, იგივე რაფტინგი ექსტრემალური სპორტის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. რაფტი – გასაბერი ნავია, რაფტინგი – ამ ნავებით მდინარეზე დაშვების ხერხი. საქართველოში ჯომარდობისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობებია. ნავში მსხდომთა რაოდენობა განისაზღვრება ერთიდან თორმეტ ადამიანამდე ნავის ზომის მიხედვით. კატეგორიებად იყოფა მდინარეთა სირთულეც - I კატეგორიიდან VI კატეგორიის ჩათვლით.

სპორტის ამ სახეობაში 1987 წლიდან საერთაშორისო ტურნირები იმართება, თუმცა ამ შეჯიბრებებს მსოფლიო ჩემპიონატის სახელი ოფიციალურად 1998 წლიდან, კოსტა რიკაში გამართული ტურნირის შემდეგ მიენიჭა. იმ წლიდან მოყოლებული გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატები 2 წელიწადში ერთხელ გაიმართება, ხოლო შუალედებში უძლიერეს ჯომარდელებს საკუთარ კონტინენტებზე გამოავლენენ.

2007 წლის ივნისს-ივლისში რაფტერთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმაც. ტურნირი კორეულ დაბა ინჯიში გაიმართება სამ დისციპლინაში – სპრინტი (შეჯიბრი სისწრაფეში), სლალომი (ტექნიკურად რთული მონაკვეთების დაფარვა) და გრძელ დისტანციაზე დაშვება, ე.წ. დაუნრივერი. საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, მონაწილე გუნდი თითოეულ დისციპლინაში აგროვებს ქულებს და მათი დაჯამების შემდეგ მსოფლიოში უძლიერესის ვინაობა ვლინდება. ოფიციალური შეჯიბრებების დროს, ნავში ექვსი კაცი ზის.

2007 წლის თებერვალში საქართველოში ოფიციალურად დაფუძნდა ჯომარდობის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი დავით ქაცარავა), 20 მარტიდან რაფტინგის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანდა და დღეს მისი სრულუფლებიანი წევრია.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის გარდა, ჩვენი ფედერაცია რამდენიმე საინტერესო შეჯიბრების მოწყობას გეგმავს. კერძოდ, მაისი-ივნისში - საქართველოს მეორე ღია ჩემპიონატს, აგვისტოში "კოდორის თასის" გათამაშებას, შემოდგომით –კავკასიის პირველობას.

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხელსაყრელია სპორტის ამ ექსტრემალური სახეობის განსავითარებლად. ახალი ფედერაციის მიზანია, ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის განვითარება, ასევე ქვეყნის მთავარი პრიორიტეტის – ტურიზმისა და უშუალოდ ექსტრემალურის ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

**თამარ ჯიშკარიანი**

**საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, ქართული ჭიდაობის დიდ მოამაგეს, პარლამენტარ ლაერტ ზუბადალაშვილს, უსურვებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

## თარიღი

**თეიმურაზ აფხაზავა.** დაიბადა 21.04.1955, ქუთაისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (82 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1982, 83), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1983, 84) და ორგზის მესამე პრიზიორი (1979, 86), მსოფლიო თასის და მსოფლიო "სუპერთასის" მფლობელი (1985), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1975), მსოფლიო უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1981), სსრკ ჩემპიონი (1984), სსრკ ხალხთა VII და VIII სპარტაკიადების მეორე (1979) და მესამე (1983) პრიზიორი. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1983). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. XXIV ტური

# ლამაზი თამაშისა და ოლ სტარის მოლოდინში

**21 აპრილი. ვერის პარკი**

12:00 სტუ-დინამო
14:00 თსუ-მაკაბი
16:00 ავიამშენი-აზოტი

გუშინ კაფე მსოფლიო სპორტში რეგულარული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის ცენტრალური მატჩისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა. დღეს, 16 საათზე ერთმანეთს ხვდებიან "ავიამშენი" და "აზოტი".

**დავით უსტიაშვილი** ("აზოტის" მწვრთნელი): - მეხუთე წრემდე სატურნირო ცხრილს ინტრიგა რომ შერჩენოდა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს წრე მაინც სასარგებლოა. მით უმეტეს ისეთი გუნდისთვის, როგორიც "აზოტია". ახალწვეული ბოიან მალოშევიჩი გვიან შემოგვიერთდა და გუნდთან შეთამაშება სჭირდება. ნელ-ნელა აქაურობას ეჩვევა და თანაგუნდელებთან მოედანზე საერთო ენაც იპოვა.

**ბოიან მალოშევიჩი** ("აზოტი"): - საქართველოს ჩემპიონატში უკვე 4 მატჩი ჩავატარე და შეიძლება ითქვას, უკვე გავშინაურდი. ოპტიმალურ ფორმაში არა ვარ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ფლეი ოფებისთვის სასურველ კონდიციებს მივაღწევ.

**ვაჟა მხეიძე** ("ავიამშენის" მეორე მწვრთნელი): - გუნდის თავკაცი ლევან მოსეშვილი შეუძლოდაა. თუმცა, მისი ჯანმრთელობა უმჯობესდება და ვიმედოვნებთ, რომ მალე შემოგვიერთდება. ხვალ ვეცდებით მაყურებელს ლამაზი მატჩი ვუჩვენოთ.

**ზვიად ბაბიაშვილი** ("ავიას" ფორვარდი): - "აზოტში" კარიერის საუკეთესო წლები მაქვს გატარებული და რუსთაველებს დიდ პატივს ვცემ. მაგრამ, როცა საქმე "აზოტის" წინაალმდეგ თამაშს ეხება, თავს არ ვზოგავ. ასეთია პროფესიონალი კალათბურთელის ხვედრი".

პრესკონფერენციის ბოლოს კალათბურთის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ თალაკვაძემ 28 აპრილს დაგეგმილი ვარსკვლავთა მატჩის სრული შემადგენლობები გაგვაცნო.

**დავით უსტიაშვილის გუნდი**

სასტარტო ხუთეული: **კოტე ტულუში** (აზოტი), **ლაშა გამყრელიძე** (აზოტი), **დავით უგრეხელიძე** (აზოტი), **ანატოლი ბოისა** (აზოტი), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი)

სათადარიგოები: **რამაზ გოგობერიშვილი** (აზოტი), **რევაზ დიდია** (აზოტი), **ვლადიმერ ბეჟანიშვილი** (აზოტი), **გიორგი დოლიძე** (მაკაბი), **ლექსო ლაფანაშვილი** (დინამო), **გიორგი გულისაბედაშვილი** (დინამო), **დავით გვიმრაძე** (დინამო)

**ლევან მოსეშვილის გუნდი**

სასტარტო ხუთეული: **შიო ხეცურიანი** (თსუ), **ბესიკ ლეჟავა** (თსუ), **ლუკა შანიძე** (თსუ), **ნოდარ ბერაია** (სტუ), **რიჩარდ მათიაშვილი** (თსუ)

სათადარიგოები: **ზვიად ბაბიაშვილი** (თბილავიამშენი), **დავით ბერიშვილი** (თბილავიამშენი), **ირაკლი ხოშტარია** (თბილავიამშენი), **პლასიდე როდუმტა** (თბილავიამშენი), **მიხეილ ბერიშვილი** (თსუ), **ბუბა ბერიშვილი** (თსუ), **გიგი ბარბაქაძე** (სტუ)

**სამქულიანების კონკურსი**

**კოტე ტულუში** (აზოტი), **დავით ბერიშვილი** (თბილავიამშენი), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი), **ნოდარ ბერაია** (სტუ), **ზურაბ კორკოტაძე** (მაკაბი)

**წინაღობების კონკურსი**

**ლაშა გამყრელიძე** (აზოტი), **დავით არწივიძე** (თსუ), **გიორგი ნიკოლაძე** (თბილავიამშენი), **ირაკლი ბერიშვილი** (თბილავიამშენი)

**ჩაჩენვის კონკურსი**

**ანატოლი ბოისა** (აზოტი), **ჟულიენ ტუჯანი** (აზოტი), **გიგი ბარბაქაძე** (სტუ), **მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ)

ლეგიონერები

# მწვრთნელს ნიშნი მოუგო



ბოისა: 20 ქულა 22 წუთში

ვლადიმერ ბოისამ იტალიის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა - "უდინესთან" 22 წუთში 20 ქულა ჩააგდო და "მონტეპასკიმ" მეტოქე სწორედ 20 ქულის სხვაობით დაამარცხა (98:78).

ვოვამ შესაშური სიზუსტით ისროლა, 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო და მწვრთნელს, **სიმონე პიანიჯანის** შეახსენა, რომ სროლაც შეუძლია. თუკი ბოისა მწვრთნელს ახსენებს, ჩვენ მკითხველს ვეტყვით, რომ პიანიჯანი ქართველ ფორვარდს ბოლო მატჩებში 7-8 წუთით ათამაშებდა, ხოლო თუ 15 წუთამდე მისცემდა, უმთავრესად დაცვაში თამაშს ავალებდა.

აი, რა წერია ვოვას შესახებ "მონტეპასკის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

"ვლადიმერ ბოისამ ძველი ბოისა გაგვახსენა. სეზონის დასაწყისში იგი სათამაშო დროის ნაკლებობას არ განიცდიდა და 10-ქულიანი ზღვარის გადალახვაც არ უჭირდა. "რეჯო კალაბრიასთან" სეზონის რეკორდი დაამყარა - 22 ქულა მიითვალა. შუა სეზონში იგი რიგით სათადარიგოდ იქცა და სროლის მიზანიც მოაკლდა. მაგრამ ამას დეპრესიაში არ ჩაუგდია. ეს მისი სიტყვებიდანაც ჩანს:

*- ვინც ფიქრობს, რომ წლევანდელი სეზონი ჩემთვის საუკეთესო არ არის, ნამდვილად არ ცდება. მაგრამ ნამდვილად არ ვნერვიულობ იმაზე, რომ სტატისტიკა არაეფექტური მაქვს. ჩემთვის მთავარი გუნდის ინტერესებია. ისიც მესმის, რომ უშუალო კონკურენტი კარგ სეზონს ატარებს. ვერც იმას ვიტყვი, რომ თავს მეორეხარისხოვან მოთამაშედ ვგრძნობ. "უდინესთანაც" დავამტკიცე, რომ სროლა შემიძლია და ვიმედოვნებ, რომ დღეიდან ასევე წარმატებით განვაგრძობ".*

"მონტეპასკის" პარალელურად იმარჯვა ტაირონ ელისის "ნაპოლიმ", რომელმაც "ქმელას" 79:67 აჯობა. 28 წუთში ქართველ ამერიკელმა 8 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი მიითვალა.

**იტალიის ჩემპიონატი. 29 ტურის შემდეგ.** 1. მონტეპასკი - 25 მოგება, 2. რომა - 19, 3. მილანი - 18, 4. ბენეტონი - 18, 5. ვიდივიჩი - 17, 6. ნაპოლი - 17, 7. კანტუ - 15, 8. პრემიატა - 15, 9. ვარეზე - 14 10. ბიელა - 14, 11. სკაფატი - 13, 12. კლიმამიო - 12, 13. უპეა - 12, 14. უდინე - 11, 15. სივილია - 11, 16. აველინო - 10, 17. რეჯო ემილია - 10, 18. ლივორნო - 8.

"ჯორჯიელმა "ატლანტამ" "ინდიანა" დაამარცხა, მაგრამ გასახდელში სიხარული არავის ეტყობოდა. საქმე ისაა, რომ "ჰოქსის" კალათბურთელები ჩანთებს ექვსი თვით ალაგებდნენ - ისინი ფლეი ოფს მიღმა დარჩნენ და ახლა 2007-08 წლების სეზონისთვის მოუწევთ მომზადება", - ვკითხულობთ ამერიკულ გაზეთ "კონსტიტუშენში".

ზაზა ფაჩულიამ NBA-ს მეოთხე სეზონი ერთი კვირით ადრე დაასრულა და ფეხის ტრავმის გამო, თანაგუნდელებს ბოლო სამ შეხვედრაში ვერ დაეხმარა. ერთადერთი ქართველი NBA-ელის შესახებ სტატისტიკის მოხმობით უახლოეს დღეებში გესაუბრებით, ახლა კი ზაზას მოვუსმინოთ. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს გასული სეზონის მისეული შეფასება. ფაჩულიას ტელეფონით დავუკავშირდით.

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# გუნდურად რომ გვეთამაშა, ფლეი ოფში ვიქნებოდით



**- ზაზა, პირველ რიგში, ტრავმის შესახებ გკითხავ...**

- მუხლი მაწუხებს. სწორედ ამიტომ გამოვტოვე "ატლანტას" ბოლო მატჩები. თუმცაღა, ტრავმა სერიოზული არ არის - ექიმების ვარაუდით, ერთ კვირაში მწყობრში უნდა ვიყო.

**- ამერიკულ პრესაში დაიწერა კოჭი დაიზიანაო...**

- ეგეც მართალია. ჯერ კოჭი ვიტკინე, მაგრამ ის რომ დამიცხრა, შემდეგ მუხლზე შემექმნა პრობლემები.

**- თქვი, ერთ კვირაში მწყობრში ვიქნებიო. სეზონი დასრულდა, ვარჯიშის გაგრძელებას ხომ არ აპირებ?**

- არა. რთული მატჩები გვქონდა და დასვენება აუცილებლად მჭირდება. არდადეგების ნაწილის საქართველოში გატარებას ვაპირებ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, თბილისში როდის ჩამოვალ.

**- ბოლო მატჩებში ორმაგ დუბლებს მოუხშირე და იმედი გვქონდა, რომ მოხსნების საშუალო მაჩვენებელს დაამრგვალებდი...**

- 12.0 ქულა და 6.9 მოხსნა მქონდა, მაგრამ სტატისტიკის გამოსწორების საშუალება ტრავმებმა არ მომცა. თუმცა ისიც შემეძლო, რომ საქმე ბოლო მატჩებამდე არ მიმეყვანა. საკუთარი თავის გარდა არავის ვადანაშაულებ იმაში, რომ შუა სეზონში ჩავარდნის გამო ბევრი დამაკლდა.

**- იანვრის ჩავარდნას გულისხმობ?**

- ასეა. ჯერ ტრავმა მივიღე, რის გამოც გამოჯანმრთელებისთვის ორი მატჩის გამოტოვებამ მომიწია, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ მწვრთნელმა ჩემი სათადარიგოდ გამწესება გადაწყვიტა და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებამდე დიდი დრო დამჭირდა.

**- ხუთეულს მიღმა დარჩენას ფსიქოლოგიაზე ხომ არ უმოქმედია?**

- რა თქმა უნდა. მანამდე NBA-ში სეზონნახევარი სასტარტო მოთამაშე ვიყავი და უცბად სკამზე დასმას გულგრილად ვერ შევხვდებოდი. ფსიქოლოგიური მომზადება კი თამაშის ხარისხზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს. ყველაზე რთული ის იყო, რომ შეცვლაზე შესული ხშირად 20 წუთზე ნაკლებს ვთამაშობდი. იყო 10-12-წუთიანი მატჩებით.

**- რეაბილიტაცია როგორ მოახერხე?**

- აწ უკვე გასულ სეზონში ჩემს გამოსვლას ორ ეტაპად გავყოფდი - NBA-ს "ოლ სტარამდე" და მის შემდგომ პერიოდებად. ვარსკვლავთა მატჩის შესვენებით ვისარგებლე, თბილისში 4 დღით ჩამოვედი, სამშობლოსა და ახლობელ-მეგობრების ხილვით ამერიკაში დადებითი ენერგიით დამუხტული დავბრუნდი. თან დასვენებაც მოვასწარი და თამაშიც ერთი-ორად გავიუმჯობესე. რაც მთავარია, "ოლ სტარის" მერე ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დავიბრუნე.

**- ამას ლიდერის, ჯო ჯონსონის დამტვრევაც დაემთხვა...**

- ჯო გუნდის ძრავი იყო. თამაში მასზე იყო აგებული და მხოლოდ ჯოზე იყო დამოკიდებული ჩვენი მოგება-წაგება. მისი გამოკლების შემდეგ ფუნქციები თანაბრად გადავინაწილეთ. გუნდურად ავთამაშდით და ზედიზედ 4 მატჩიც მოვიგეთ.

**- მას შემდეგ კვლავ წაგებათა ჯერი დადგა.**

- ამას თავისი ახსნა აქვს - ჯოს გამოკლებიდან პირველ დღეებში ყველა გუნდზე ფიქრობდა. მეოთხე მატჩის მერე კი ზოგიერთმა გუნდურის პირადი ინტერესები ამჯობინა, თამაშების მარტო მოგების სურვილი გაუჩნდა, რაც უმალ შედეგზე აისახა.

**- "ზოგიერთში", ალბათ, ახალგაზრდა ჯოშ სმიტს გულისხმობ, რომელთანაც შელაპარკება მოგივიდა და მწვრთნელმაც მატჩების გამოტოვებით დასაჯა.**

- არ მინდა რომელიმე ჩემი თანაკლუბელი გავაკრიტიკო. ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ ამჯობინა პირადი ინტერესები გუნდურს. ფაქტია, რომ ფლეი ოფში ვერ გავაღწიეთ. არადა, მომდევნო ეტაპზე გასვლა თავისუფლად შეგვეძლო. ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ ისე გვეთამაშა, როგორც ზემოთნახსენებ ოთხ მატჩში. წელს მხოლოდ ის შეხვედრები მოვიგეთ, რომელშიც გუნდური თამაში ვუჩვენეთ.

**- ზოგ შემთხვევაში ერთპიროვნულ ლიდერობას შენც კისრულობდი. სხვებზე გაბრაზებული თამაშს საკუთარ თავზე ხომ არ იღებდი?**

- კარგად ვიცი, რომ ერთი კაცი თამაშს ვერასოდეს მოიგებს. ამიტომ გუნდის ინტერესები პირადულზე არასოდეს გამიცვლია. ჯონსონის გამოკლების შემდეგ შედარებით მეტს იმიტომ ვტყორცნიდი, რომ ბურთი თანაბრად ნაწილდებოდა და პასები ჩემამდეც აღწევდა.

**- წლევანდელ სეზონში ყველაზე მეტად რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდა?**

- "ვაშინგტონთან". ვფიქრობ, ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩი იყო. გარდა იმისა, რომ პირადი რეკორდი დავამყარე და 26 ქულა დავაგროვე, მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ჩვენზე ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. "ვაშინგტონ ვიზარდსი" წელს NBA-ს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. იყო კარგი თამაში "სან ანტონიოსთანაც", მეორე ტაიმში 23 ქულა და 10 მოხსნა მოვაგროვე. "საკრამენტოს" ძლევაშიც დიდი წვლილი შევიტანე.

**- ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტისთვის გითქვამს - ზოგიერთ ატლანტელს კარიერის საუკეთესო სეზონი ჰქონდაო. საკუთარი თავიც იგულისხმე?**

- ვფიქრობ, ეს სეზონი ყველა წინამორბედზე უკეთესი იყო. ეს კმაყოფილების საბაბს არ მაძლევს, რადგან ამ ჩემპიონატმა ბევრი უარყოფითი მხარეც მიჩვენა. პირველ რიგში, მჭირდება სტაბილურობა.

**- სტაბილურობა ხომ გამოცდილებისა და ასაკის მატებას მოსდევს?!**

- NBA-ში უკვე მეოთხე სეზონი ჩავამთავრე. ამიტომ გამოუცდელი ნამდვილად არა ვარ. ვეცდები, გაისად უფრო დამაჯერებელი ვიყო, თუმცა ისიც ვიცი, რომ ყველა მატჩის ერთ დონეზე ჩატარება წარმოუდგენელია.

**- სხვათა შორის, ამ სეზონში წინამორბედთან შედარებით ნაკლები სათამაშო დრო გქონდა...**

- სამაგიეროდ, 2005-06 და 2006-07 სეზონების მონაგარი თითქმის ერთნაირია. ეს კი პროგრესზე მიმანიშნებს. თუმცა მერჩივნა, წუთები თანაბრად ყოფილიყო და სტატისტიკა უკეთესი მქონოდა.

**- ნაკრებზე უკვე ფიქრობ, თუ ჯერ მთავარი საზრუნავი დასვენებაა?**

- როგორ შეიძლება ეროვნულ გუნდზე არ ვიფიქრო - ერთადერთი NBA-ელი ვარ B დივიზიონში. ამის გამო მრცხვენია კიდეც. ფინეთთან წაგება გულში მაქვს ჩარჩენილი და ძალიან მინდა, რაც შეიძლება მალე დაიწყოს საკვალიფიკაციო ტურნირი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფის წინ

# ყველა გზა ტეხასში მიდის

## კვირას ფლეი ოფი და დიდი ამბები იწყება



დასავლეთის ორი ბუმბერაზი, სპურსის დანკანი (ბურთით) და მავერიქსის ნოვიცკი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

#### დეტროიტი (1)–ორლანდო (8)

**სავარაუდო სასტარტო**

**დეტროიტი (რეგულარულში 53:29):** რაშიდ უოლასი (ფორვარდი), ტაიშონ პრინსი (ფორვარდი), რიჩარდ ჰამილტონი (მცველი), ჩონსი ბილაპსი (მცველი), კრის უებერი (ფორვარდი).

**ორლანდო (40:42):** დუაიტ ჰოვარდი (ფ), გრანტ ჰილი (ფ), ჰედო თურქოღლუ (მ), ჯამეერ ნელსონი (ფ), დარკო მილიჩიჩი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**დეტროიტი:** ქულა - რიჩარდ ჰამილტონი (19.8), მოხსნა - რაშიდ უოლასი (7.2), პასი - ჩონსი ბილაპსი (7.2), ჩაჭრა - ჩონსი ბილაპსი (1.2), დაფარება - რაშიდ უოლასი (1.57).

**ორლანდო:** ქულა - დუაიტ ჰოვარდი (17.6), მოხსნა - დუაიტ ჰოვარდი (12.3), პასი - ჯამეერ ნელსონი (4.3), ჩაჭრა - ტრევორ არიზა (1.04), დაფარება - დუაიტ ჰოვარდი (1.90).

"დეტროიტი" ის მონსტრი ნაღდად აღარ არის, რომელიც ბოლო სამი რეგულარულის პირველ 2-3 გუნდში შედიოდა და ჯერ ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი "სპურსთან" თითქმის მოგებული ფინალი დათმო. **ბენ უოლასი ნაზრ მოჰამედმა** რომ ვერ შეცვალა (ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ეს ტრანსფერამდეც ასე იქნებოდა), მიჩიგანელთა ბოსმა **ჯო დუმარსმა** სასწრაფოდ დაიმატა ბებერი **კრის უებერი**, რომელიც "პისტონზში" თავნება ვარსკვლავისგან უეცრად დამჯერ გუნდურ მოთამაშედ იქცა. უებერი, **რაშიდ უოლასი** და **ანტონიო მაკდაიესი** მეტოქის ახალგაზრდა, ნიჭიერ მაღალ დუეტს **დუაიტ ჰოვარდისა** და ექსპისტონსელი **დარკო მილიჩიჩის** სახით, გადაულახავ ზღუდეს დაუყენებენ და ფლორიდელებისთვის ამ სერიაში თუნდაც ერთი შეხვედრის მოგებაც დიდი მიღწევა იქნება. "დეტროიტს" მეორე წრეში "მაიამისა" და "ჩიკაგოს" შორის უძლიერესი ელის და ფავორიტმა პირველ წრეში რაც შეიძლება სწორად უნდა გადაანაწილოს ენერგია. აბა, სად "ორლანდო" და სად **შაკისა** და **დუეინ უეიდის** სუპერნყვილი, ან თუნდაც "დიდი ბენი" და **კირკ ჰაინრიხი**?

**ლელოს პროგნოზი:** დეტროიტი მოიგებს სერიას 4:1

#### კლივლენდი (2)–ვაშინგტონი (7)

**სავარაუდო სასტარტო**

**კლივლენდი (რეგულარულში 50:32):** დრიუ გუდენი (ფორვარდი), ლებრონ ჯეიმსი (ფორვარდი), ლარი ჰიუზი (მცველი), საშა პავლოვიჩი (მცველი), ჟიდრუნას ილგასუკასი (ცენტრი).

**ვაშინგტონი (41:41):** ანტუან ჯეიმისონი (ფ), ბრენდან ჰეივუდი (ფ), ანტონიო დენიელსი (მ), დეშონ სტივენსონი (მ), იტან ტომასი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**კლივლენდი:** ქულა - ლებრონ ჯეიმსი - 27.3, მოხსნა - დრიუ გუდენი - 8.5, პასი - ლებრონ ჯეიმსი - 6.0, ჩაჭრა - ლებრონ ჯეიმსი - 1.60, დაფარება - ჟიდრუნას ილგაუსკასი - 1.26.

**ვაშინგტონი:** ქულა - გილბერტ არენასი - 28.4, მოხსნა - ანტუან ჯეიმისონი - 8.0, პასი - გილბერტ არენასი - 6.0, ჩაჭრა - კეირონ ბატლერი - 2.13.



ბენ უოლასი შაკილ ონილს ელის

"ვაშინგტონს" ახლა NCAA-ის გუნდიც მოუგებს. დიდი სამეულიდან დედაქალაქელებს ფლეი ოფის პირველ წრეში მხოლოდ **ანტუან ჯეიმისონი** ეყოლებათ, **გილბერტ არენასი** მომდევნო რეგულარულამდე დაისვენებს, ხოლო **კეირონ ბატლერის** დაბრუნება კი ოდენ მეორე წრისთვისაა მოსალოდნელი. პრაქტიკულად, "ვაშინგტონი" ერთი კაცის გუნდად იქცა, რადგან არც **ანტონიო დენიელსი** და არც რომელიმე სხვა მისი თანაგუნდელი **ლებრონის** რაზმს ტოლსწორად ვერ შეებრძოლება.

ჯეიმსი კი ამ ფლეი ოფში მაინც ეცდება თავისი "კავალიერსის" სუპერსერიაში გაყვანას. შარშან ლებრონსა და მის გუნდს ფავორიტი "დეტროიტის" დამარცხებამდე ერთი საშინაო მატჩის მოგება დააკლდათ. ვერ ვიტყვით, რომ "კლივლენდი" შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ წელს ხომ აღმოსავლეთში პირველი ოთხეულის ყველა წევრს აქვს ზესერიაში გასვლის პრეტენზია და შესაძლებლობა.

**ლელოს პროგნოზი:** კლივლენდი მოიგებს სერიას 4:0

#### მაიამი (4)–ჩიკაგო (5)

**სავარაუდო სასტარტო**

**მაიამი (რეგულარულში 44:38):** ანტუან უოკერი (ფორვარდი), ადონის ჰასლემი (ფორვარდი), დუეინ უეიდი (მცველი), ჯეისონ უილიამსი (მცველი), შაკილ ონილი (ცენტრი).

**ჩიკაგო (49:33):** პი. ჯეი. ბრაუნი (ფ), ლუოლ დენგი (ფ), ბენ გორდონი (მ), კირკ ჰაინრიხი (მ), ბენ უოლასი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**მაიამი:** ქულა - დუეინ უეიდი - 27.4, მოხსნა - ადონის ჰასლემი - 8.3, პასი - დუეინ უეიდი - 7.5, ჩაჭრა - დუეინ უეიდი - 2.10, დაფარება - ალონზო მურნინგი - 2.31.

**ჩიკაგო:** ქულა - ბენ გორდონი - 21.4, მოხსნა - ბენ უოლასი - 10.7, პასი - კირკ ჰაინრიხი - 6.3, ჩაჭრა - ბენ უოლასი - 1.44, დაფარება - ბენ უოლასი - 2.03.

პირველად **შაკილ ონილის** კარიერაში ხვდება "დიზელი" ფლეი ოფს ისე, რომ თავისი გუნდის არც ერთ სტატისტიკურ მონაგარში არ ლიდერობს. ონილი ხშირმა ტრავმიანობამ გამოფიტა, მაგრამ ფლეი ოფი გამოცდილ დევკაცს დამატებით მოტივაციას მისცემს და ოთხგზის ჩემპიონი შაკიც "ჩიკაგოს" წინააღმდეგ თავისი უძლიერესი გაბარიტებისა და დიდი გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენებას შეეცდება.

სერიის მთავარი ინტრიგა სწორედ გუნდების ცენტრების, ონილისა და დაუნდობელი **ბენ უოლასის** დაპირისპირება იქნება. ქულების დაგროვებაზე აცრილი "დიდი ბენი" შაკს სამნამიანში მაგარ პრობლემებს კი შეუქმნის, მაგრამ შიგა და შიგ მეტოქის კალათისკენაც უნდა გაიხედოს, რათა ორმაგი მეურვეობის ქვეშ მოხვედრილმა **ბენ გორდონმა** და **კირკ ჰაინრიხმა** ამოისუნთქონ. ფავორიტის პროგნოზირება ამ სერიაში ყველაზე რთულია, თუმცა მოქმედი ჩემპიონობისა და **შაკი-უეიდრაილის** სამეულის გამო უპირატესობას მაინც ფლორიდელებს ვანიჭებთ.

**ლელოს პროგნოზი:** მაიამი მოიგებს სერიას 4:2

#### ტორონტო (3)–ნიუ ჯერსი (6)

**სავარაუდო სასტარტო**

**ტორონტო (რეგულარულში 47:35):** კრის ბოში (ფორვარდი), ჯოი გრემი (ფორვარდი), ენტონი პარკერი (მცველი), ტი. ჯეი. ფორდი (მცველი), რაშო ნესტეროვიჩი (ცენტრი).

**ნიუ ჯერსი (41:41):** მიკი მური (ფ), რიჩარდ ჯეფერსონი (ფ), ჯეისონ კიდი (მ), ვინს კარტერი (მ), ჯოშ ბუნი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**ტორონტო:** ქულა - კრის ბოში (22.6), მოხსნა - კრის ბოში (10.6), პასი - ტი. ჯეი. ფორდი (7.9), ჩაჭრა - ტი. ჯეი. ფორდი (1.35), დაფარება - კრის ბოში (1.30).

**ნიუ ჯერსი:** ქულა - ვინს კარტერი (25.2), მოხსნა - ჯეისონ კიდი (8.2), პასი - ჯეისონ კიდი (9.2), ჩაჭრა - ჯეისონ კიდი (1.59), დაფარება - ნენად კრსტიჩი (0.92).

"რეპტორზი" ამ რეგულარულის მთავარი აღმოჩენაა. **სემ მიტჩელს** სეზონის დაწყებამდე მოხსნასაც კი უპირებდნენ, მაგრამ კანადელთა მთავარმა მწვრთნელმა არათუ თანამდებობა შეინარჩუნა, არამედ გუნდს პირველად მის არსებობაში დივიზიონი მოაგებინა. **კრის ბოშის** სახით გუნდს ლიგაში გამორჩეული ფორვარდ-ცენტრი და **დანკან-გარნეტის** წყვილის ყველაზე რეალური შემცვლელი ჰყავს. კი, კანადელებს არ ეყოლებათ ახალბედა და ევროპულ კალათბურთში თითქმის ყველაფრის მომგები ესპანელი **ხორხე გარბახოსა**, თუმცა მეორე პირველწლიანი ევროპელიც დიდი ძალაა - **ანდრეა ბარნიანის** ბებერ კონტინენტზე ფლეი ოფებიც ბლომად აქვს ნათამაშები და მშვენივრად იცის, თუ რითი განსხვავდება რეგულარული გასავარდნი ჯახებისგან. "ნიუ ჯერსის" მთავარი პრობლემა კი **ნენად კრსტიჩის** არყოფნაა, რომლის გარეშეც **ჯეისონ კიდსა** და **ვინს კარტერს** მაგრად გაუჭირდებათ მშვენივრად დაბალანსებული "რეპტორზის" ბარიერის გავლა. კარტერს კი ტორონტოში "თბილ" დახვედრას რომ მოუწყობენ, ფაქტია და ვინსმაც ეს მშვენივრად იცის.

**ლელოს პროგნოზი:** ტორონტო მოიგებს სერიას 4:3

### დასავლეთის კონფერენცია

#### დალასი (1)–გოლდენ სტეიტი (8)

**სავარაუდო სასტარტო**

**დალასი (რეგულარულში 67:15):** დირკ ნოვიცკი (ფორვარდი), ჯოშ ჰოვარდი (ფორვარდი), ჯეისონ ტერი (მცველი), დევინ ჰარისი (მცველი), ერიკ დემპიე (ცენტრი).

**გოლდენ სტეიტი (42:40):** სტივენ ჯექსონი (ფ), ჯეისონ რიჩარდსონი (ფ), ბაირონ დევისი (მ), მონტა ელისი (მ), ელ ჰარინგტონი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**დალასი:** ქულა - დირკ ნოვიცკი (24.6), მოხსნა - დირკ ნოვიცკი (8.9), პასი - ჯეისონ ტერი (5.2), ჩაჭრა - დევინ ჰარისი (1.20), დაფარება - ერიკ დემპიე (1.08).

**გოლდენ სტეიტი:** ქულა - ბაირონ დევისი (20.1), მოხსნა - ანდრის ბიედრინსი (9.3), პასი - ბაირონ დევისი (8.1), ჩაჭრა - ბაირონ დევისი (8.1), დაფარება - ანდრის ბიედრინსი (1.66).

"დალასი" რეგულარულის უპირობო გრანდი იყო, ხოლო მისი ოპონენტი კი ფლეი ოფში მხოლოდ დამქანცველი მარათონის უკანასკნელ დღეს შევიდა. მიუხედავად ამისა, **დონ ნელსონის** "უორიორზი" ფავორიტს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის და ეს, პირველ რიგში, ისევ და ისევ კალიფორნიელთა მთავარი მწვრთნელის ფაქტორში აისახება. ნელსონმა დღევანდელი "დალასის" თითქმის ყველა მოთამაშის სუსტი და ძლიერი მხარეები იცის, მაგრამ საბოლოო ჯამში გადამწყვეტი მაინც ტეხასელთა დისციპლინა და უფრო მაღალი საშემსრულებლო დონე იქნება. **დირკ ნოვიცკის** კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი და შარშანდელ სუპერსერიაში განცდილი ფიასკოს მერე აუცილებელი რეაბილიტაცია, **ჯეისონ ტერისა** და **ჯერი სტექჰაუზის** ლიგაში ერთ-ერთი უსწრაფესი ტანდემი, **ერიკ დემპიესა** და **დესაგანა დიოპის** ძალიან ძლიერი, მობილური დაცვა - აი, რის ხარჯზე აჯობებს "მავერიქსი" მოწინააღმდეგეს, რომელსაც ერჩივნა, პირველ წრეში მასსავით მორბენალი და უკანმოუხედავი "ფინიქსის" წინააღმდეგ თამაში. "დალასი" მთლიანად ფლეი ოფის მთავარი ფავორიტი და ყველაზე მშიერი გუნდია.

**ლელოს პროგნოზი:** დალასი მოიგებს სერიას 4:2

#### ფინიქსი (2)–ლეიკერსი (7)

**სავარაუდო სასტარტო**

**ფინიქსი (რეგულარულში 61:21):** შონ მერიონი (ფორვარდი), ბორის დიაო (ფორვარდი), სტივ ნეში (მცველი), რაჯა ბელი (მცველი), ამარე სტაუდმაიერი (ცენტრი).

**ლეიკერსი (42:40):** ლამარ ოდომი (ფ), ლიუკ უოლტონი (ფ), კობი ბრაიანტი (მ), სმაშ პარკერი (მ), კვამე ბრაუნი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**ფინიქსი:** ქულა - ამარე სტაუდმაიერი - 20.4, მოხსნა - შონ მერიონი - 9.8, პასი - სტივ ნეში - 11.6, ჩაჭრა - შონ მერიონი - 1.95, დაფარება - შონ მერიონი - 1.53.

**ლეიკერსი:** ქულა - კობი ბრაიანტი - 31.6, მოხსნა - ლამარ ოდომი - 9.8, პასი - კობი ბრაიანტი - 5.4, ჩაჭრა - სმაშ პარკერი - 1.45, დაფარება - ენდრიუ ბინუმი - 1.56.

შარშანდელ ფლეი ოფში **კობი** და მისი საძმო არიზონელებთან სერიაში 3:1 გაიჭრნენ წინ, მაგრამ ბოლოს იმდენი მოახერხეს, რომ სერია წააგეს. შარშანდელისგან განსხვავებით, ბრაიანტის "ლეიკერსი" წლეულს ალბათ, მაქსიმუმ, ორი მატჩის მოგებას თუ შეძლებს, რადგან ჯერ ერთი, "ფინიქსი" შარშანდელზე უკეთ თამაშობს დაცვაში და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ლეიკერსმაც" მოუკლო.

**ლამარ ოდომი** რეგულარულის მსვლელობისას დაშავებულთა სიაში ორჯერ მოხვდა და ფლეი ოფს ოპტიმალურ ფორმაში ნაღდად ვერ ხვდება, რაც "ლეიკერსისთვის" ძალიან დიდი მინუსი იქნება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ **კვამე ბრაუნი** არასტაბილურია, **ენდრიუ ბინუმს** კი ფლეი ოფში თამაშის თითქმის ნულოვანი გამოცდილება აქვს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სანზი" მომდევნო წრეში გავა.

**ლელოს პროგნოზი:** ფინიქსი მოიგებს სერიას 4:1

#### სან ანტონიო (3)–დენვერი (6)

**სავარაუდო სასტარტო**

**სან ანტონიო (რეგულარულში 58:24):** ტიმ დანკანი (ფორვარდი), ბრიუს ბოუენი (ფორვარდი), მაიკლ ფინლი (მცველი), ტონი პარკერი (მცველი), ფრანსისკო ელსონი (ცენტრი).

**დენვერი (45:37):** კარმელი ენტონი (ფ), ნენე (ფ), ალენ აივერსონი (მ), სტივენ ბლეიკი (მ), მარკუს კემბი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**სან ანტონიო:** ქულა - ტიმ დანკანი (20.0), მოხსნა - ტიმ დანკანი (10.6), პასი - ტონი პარკერი (5.5), ჩაჭრა - მანუ ჯინობილი (1.45), დაფარება - ტიმ დანკანი (2.38).

**დენვერი:** ქულა - კარმელო ენტონი (28.9), მოხსნა - მარკუს კემბი (11.7), პასი - ალენ აივერსონი (7.2), ჩაჭრა - ალენ აივერსონი (1.89), დაფარება - მარკუს კემბი (3.3).

"დენვერი" ფლეი ოფს არაჩვეულებრივ ფორმაში ხვდება, მაგრამ კოლორადოელთა პრობლემა ის არის, რომ ჯორჯ კარლის გუნდს მეტოქედ ყოველთვის მშიერი და თითქოსდა საფლეიოფოდ შექმნილი "სან ანტონიო" ეყოლება. **კარმელო ენტონის გრეგ პოპოვიჩი ბრიუს ბოუენს** ჩააბარებს, **ალენ აივერსონს** კი აჩრდილივით **ტონი პარკერი** აეკიდება. ნუ გამორიცხავთ იმასაც, რომ როტაციის შედეგად აივერსონს მეურვედ **მანუ ჯინობილი** დაუდგეს, რაც "დენვერის" მეგავარსკვლავს არანაკლებ პრობლემებს შეუქმნის. "ნაგეტსმა" ერთი-ორი მატჩი უნდა მოიგოს, მაგრამ "სპურსი" სერიას მოიგებს. **ტიმ დანკანი (რობერტ ორის** თქმით) ბოლო წლებში ფლეი ოფს ასეთი ჯანმრთელი და მოტივირებული არასოდეს შეხვედრია და ტეხასელთა მთავარი კოზირიც სწორედ ეს იქნება. მოკლედ, დიდი ომი, ნერვების წყვეტა და ყველაფერი ეს მხოლოდ იმისთვის, რომ "დენვერი" ამჯერადაც პირველივე წრეში მარცხს თავიდანვე შეეგუოს.

**ლელოს პროგნოზი:** სან ანტონიო მოიგებს სერიას 4:2

#### იუტა (4)–ჰიუსტონი (5)

**სავარაუდო სასტარტო**

**იუტა (რეგულარულში 51:31):** კარლოს ბუზერი (ფორვარდი), ანდრეი კირილენკო (ფორვარდი), დერონ უილიამსი (მცველი), დერეკ ფიშერი (მცველი), მეჰმეთ ოქური (ცენტრი).

**ჰიუსტონი (52:30):** შეინ ბეტიე (ფ), ჩაკ ჰეიესი (ფ), ტრეისი მაკგრეიდი (მ), რაფერ ალსტონი (მ), იაო მინი (ც).

**სტატისტიკური ლიდერები**

**იუტა:** ქულა - კარლოს ბუზერი - 20.9, მოხსნა - კარლოს ბუზერი - 11.7, პასი - დერონ უილიამსი - 9.3, ჩაჭრა - ანდრეი კირილენკო - 1.06, დაფარება - ანდრეი კირილენკო - 2.06.

**ჰიუსტონი:** ქულა - იაო მინი - 27.9, მოხსნა - იაო მინი - 9.4, პასი - ტრეისი მაკგრეიდი - 6.5, ჩაჭრა - რაფერ ალსტონი - 1.57, დაფარება - იაო მინი - 2.04.

**ჯერი სლოუნს** ჩემპიონობის საუკეთესო შანსი წინა საუკუნეში ჰქონდა, როდესაც **კარლ მელოუნმა** და **ჯონ სტოქტონმა** "ჯაზი" ზედიზედ ორჯერ სუპერფინალში გაათრიეს. ისე, პრინციპში, არც ჰქონდა, რადგან ორივეჯერ გუნდს მეტოქედ **მაიკლ ჯორდანის** "ბულზი" ჰყავდა. სოლტ ლეიკ სიტის ბინადარს საჩემპიონოდ არც ამჯერად მოიაზრებენ და "ჰიუსტონთან" სერიაში გუნდს სერიოზული პრობლემები ორმა მოთამაშემ უნდა შეუქმნას. "ჯაზს" არავინ ჰყავს ისეთი, ვინც სამნამიანში **იაო მინსა** და თითქმის მთელ მოედანზე **ტრეისი მაკგრეიდის** გააჩერებს, შეინ ბეტიე კი ნელ-ნელა ერთ-ერთ უძლიერეს ინდივიდუალურ დამცველად ჩამოყალიბდა. "იუტამ" წარმატება **მეჰმეთ ოქურისა** და გამოცდილი მეფლეიოფის, **დერეკ ფიშერის** კარგ თამაშში უნდა ეძებოს, რადგან სხვები, კერძოდ კი **ანდრეი კირილენკო**, აშკარა დალმასვლას განიცდიან. **დერონ უილიამსისთვის** ეს პირველი ფლეი ოფი იქნება და თუ მას რაფერ ალსტონის ნაცვლად მაკგრეიდის მეურვეობა მოუწევს, მაშინ პერსპექტიულ ფლეიმეიქერს თითქმის ყველა მატჩში მოედნიდან 6 ფოლით გაბრძანების პერსპექტივა ელის.

**ლელოს პროგნოზი:** ჰიუსტონი მოიგებს სერიას 4:2

**ზურაბ თალაკვაძე**

კალათბურთი

## ოდენი დრაფტზე იქნება

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, NCAA ლიგის გუნდ "ოჰაიო სტეიტის" ლიდერი - **გრეგ ოდენი** 2007 წლის დრაფტში მონაწილეობის მიღებას აპირებს. როგორც იცით, უფრო ადრე ოდენმა განაცხადა, რომ NBA-ში გადასვლა არ სურდა, რადგან სწავლის გაგრძელება ჰქონდა განზრახული.

ექსპერტების ვარაუდით, ეს ნიჭიერი კალათბურთელი დრაფტის პირველ ნომრად იქნება წამოყენებული.

## რაილი მაიამიში დარჩება

ლეგენდარული მწვრთნელი **პატ რაილი** გაისადაც აპირებს NBA-ის მოქმედ ჩემპიონ "მაიამი ჰიტში" მუშაობას. როგორც იცით, ამ სპეციალისტმა წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის დიდი ნაწილი ბარძაყსა და მუხლზე გადატანილი ოპერაციების გამო გამოტოვა.

62 წლის მწვრთნელმა გაზეთ Miami Herald-სთვის მიცემულ ინტერვიუში შემდეგი განაცხადა: *"ჩემს გეგმაში არ შედის სამწვრთნელო კარიერის დასრულება. კონტრაქტის მიხედვით, კლუბთან კიდევ სამი წელი უნდა ვიმუშავო. თანაც, კლუბის მფლობელ მიკი არისონთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ის მეუბნება, რომ "ჰიტში" შემიძლია იმდენ ხანს დავრჩე, რამდენიც მომესურვება".*

## თვის მოთამაშეები

NBA-ის ხელმძღვანელობამ აპრილის საუკეთესო კალათბურთელები დაასახელა. აღმოსავლეთიდან ეს გახლავთ "ნიუ ჯერსი ნეტსის" მცველი **ვინს კარტერი**, ხოლო დასავლეთიდან - "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდი **კარმელო ენტონი**.

აპრილში, კარტერი მთლიანად აღმოსავლეთი კონფერენციის ბომბარდირი გახდა - საშუალოდ 29.0 ქულა მატჩში. გარდა ამისა, მან ორი სამმაგი დუბლის შესრულება მოახერხა.

რაც შეეხება ენტონის, მისი სტატისტიკური მაჩვენებლები იყო - 28.9 ქულა და 6.5 მოხსნა.

თვის დებიუტანტები გახდნენ "მემფისის" მცველი **ტერენს კინსი** (დასავლეთი) და "ატლანტას" ფორვარდი **შელდენ უილიამსი** (აღმოსავლეთი), ხოლო აპრილში საუკეთესო მწვრთნელად აღმოსავლეთიდან **ლოურენს ფრენკი** ("ნიუ ჯერსი"), დასავლეთიდან - **დონ ნელსონი** ("გოლდენ სტეიტი") აღიარეს.

## ჯერი უესტმა მემფისი დატოვა

"მემფის გრიზლისის" საკალათბურთო ოპერაციების დირექტორმა - **ჯერი უესტმა** პოსტის დატოვება გადაწყვიტა. კლუბთან მის კონტრაქტს 1 ივლისს გასდის ვადა და ლეგენდარულმა კალათბურთელმა ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ ისურვა.

68 წლის უესტის ხელმძღვანელობით, "მემფისი" წლეულს, რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე უარესი გუნდი გახდა. გარდა სათამაშო პრობლემებისა, გუნდის ცუდ შედეგებზე გავლენა იმ გაუთავებელმა განცხადებებმაც იქონია, რომელიც "გრიზლისის" სხვა ქალაქში შესაძლო გასხვისებას შეეხებოდა.

## ბოსტონში ახალი პრეზიდენტი მივიდა

რეგულარული ჩემპიონატის კიდევ ერთ აუტსაიდერ "ბოსტონ სელტიქსს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს თანამდებობა ვინმე **რიჩ გიოთემმა** დაიკავა.

კლუბის პრეზიდენტის პოსტი ლეგენდარული **რედ აუერბახის** სიკვდილის შემდეგ, ანუ გასული წლის შემოდგომიდან იყო ვაკანტური.

*"ბოსტონში გავიზარდე და "სელტიქსი" ძალიან მიყვარს. ვაცნობიერებ ჩემზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება ჩემს მოვალეობებს, "ბოსტონში" ბიზნეს-პროცესების ხელმძღვანელობა დამევალება"*, - განაცხადა რიჩ გიოთემმა.

## მიურეი სიკვდილს გადაურჩა

"დეტროიტ პისტონზის" მცველ **რონალდ მიურეის** (193 სმ) ორი უცნობი პიროვნება დაესხა თავს.

პოლიციის ინფორმაციით, კალათბურთელი და მისი მეგობარი გოგონა ღამის კლუბიდან სხვადასხვა მანქანებით შინ ბრუნდებოდნენ. მიურეი უკვე სახლში იყო შესული, როცა მისი მეგობარი კარს მიუახლოვდა და შინ შესვლას აპირებდა. ამ დროს, მას ორი შეიარაღებული ნიღბიანი მამაკაცი მიუახლოვდა. გოგონამ დაიყვირა და სახლში შევარდა, ხოლო მიურეიმ კარის დახურვა მოასწრო. ბანდიტებმა კარს სამჯერ ესროლეს და შემდეგ მიიმალნენ. ამ ინციდენტის გამო, არავინ დაშავებულა. არც თავდამსხმელების ვინაობაა დადგენილი.

## მილიჩიჩი ფლეი ოფის სტარტს გამოტოვებს

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში ტრავმა მიიღო "ორლანდო მეჯიქის" სერბმა ცენტრმა **დარკო მილიჩიჩმა** - "ვაშინგტონის" წინააღმდეგ მან ფეხი ამოიბრუნა.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ მილიჩიჩმა ფლეი ოფის სტარტი გამოტოვოს. "ორლანდომ" "დეტროიტთან" მერვედფინალური სერიის პირველი მატჩი 21 აპრილს უნდა გამართოს.

## იაო მინი შიდსს ებრძვის

"ჰიუსტონ როკეტსის" ლიდერი **იაო მინი** ჩინეთში მიმდინარე სარეკლამო კამპანიას შეუერთდა. კალათბურთელი შიდსით დაავადებულ ადამიანებთან ერთად, გრანდიოზულ პოსტერზე გამოსახეს. *"ავადმყოფობა ჩვენს მეგობრობას ხელს ვერ შეუშლის"*, - წერია პლაკატზე. გარდა ამ აქციისა, ჩინელი კალათბურთელი ფილმში გადაიღეს, რომელსაც "ჩემი მეგობრები" ჰქვია და რომელიც ასევე შიდსის თემას ეხება.

ჩინეთში კარგა ხანი არ აღიარებდნენ შიდსის პრობლემას. მთავრობა მხოლოდ ახლა შეუდგა ამ მხრივ მკვეთრად გაუარესებული სიტუაციის გამოსწორებას, რაშიც მას დახმარებას ჩინეთში მეგაპოპულარული იაო მინიც უწევს.

## ასოციაციაში მაყურებელი მატულობს

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, ზედიზედ მესამე სეზონია დასწრების რეკორდი უმჯობესდება. წელს, ჯამში, რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს 21.8 მილიონი ადამიანი დაესწრო.

ასევე დაემხო შეხვედრებზე დასწრების საშუალო მაჩვენებელიც - ამ რიცხვმა 17 558 მაყურებელი შეადგინა.

ყველაზე მეტი ქომაგი "ჩიკაგოს", "დეტროიტსა" და "კლივლენდს" ჰყავდათ.

*"დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს გულშემატკივრებს,* - განაცხადა NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა**. - *ზედიზედ მესამე წელია, მაყურებელთა რიცხვი მატულობს, რაც თავის მხრივ, კალათბურთის პოპულარობის ზრდაზე მეტყველებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელები თავიანთი საყვარელი საქმისთვის ძალასა და ოსტატობას არ ზოგავენ".*

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ანაჰაიმი და ოტავა წინ მიდიან

აღმოსავლეთი

**ოტავა (4)-პიტსბურგი (5) 3:0**

**0:0, 3:0, 0:0**

გოლები: 1:0 ჰიტლი-2 (ალფრედსონი-3, პრისინგი-2), 2:0 ვერმეტი-1 (კ. კელი-1), 3:0 კ. კელი-3 (კ. ნილი-2, ვერმეტი-1).

**სერია 4:1**

**რეი ემერის** შათაუტის წყალობით, "ოტავამ" ზედიზედ მესამედ მოუგო "პიტსბურგს" და იოლად მოიპოვა შემდეგი რაუნდის საგზური. გუშინ, "სენატორების" მეკარემ 20 დარტყმა მოიგერია და ფლეი ოფში პირველად შეინახა მშრალად საკუთარი კარი.

ლიგაში ერთადერთმა შავკანიანმა მეკარემ, რამდენიმე ეპიზოდში აშკარად გადაარჩინა თავისი გუნდი. ერთხელ ეს 0:0-ზე მოხდა, როცა ემერიმ წუთი და 14 წამი გაუძლო ორი ზედმეტი ჰოკეისტით მოთამაშე "პიტსბურგს".

რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **სიდნი კროსბიმ** ზედიზედ მეორე მატჩში ვერ შეძლო ქულის დაგროვება. არადა, 19 წლის ვარსკვლავმა, სერიის პირველ სამ შეხვედრაში სამი გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა.

როცა კროსბი ყინულზე გადიოდა, მის წინააღმდეგ "ოტავას" ორი მცველი - **ვოლჩენკოვი** და **ფილიპსი** მოქმედებდნენ. ამ დუეტმა კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და პიტსბურგელი ფორვარდი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან.

*"კროსბი ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ ჩვენ მის ნეიტრალიზებას ძალიან დიდი ყურადღება დავუთმეთ და ამან კარგი შედეგი გამოიღო"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ, "ოტავას" ერთ-ერთმა ლიდერმა - **დანიელ ალფრედსონმა**.

სხვათა შორის, გოლის გარეშე დაასრულა ეს სერია "პიტსბურგის" კიდევ ერთმა ვუნდერკინდმა - **ევგენი მალკინმა**.

დასავლეთი

**კალგარი (8)-დეტროიტი (1) 3:2**

**2:2, 1:0, 0:0**

გოლები: 1:0 ლენგკოუ-1 (ტანგეი-2, იგინლა-1), 1:1 ბერტუცი-1 (ლანგი-2, ლებდა-2), 2:1 კონროი-1 (პრიმო-2), 2:2 ფრანცენი-1 (ბერტუცი-1, ჩელიოსი-1), 3:2 ლენგკოუ-2 (ტანგეი-3, იგინლა-2).

**სერია 2:2**

"კალგარიმ" ზედიზედ მეორედ დაამტკიცა, რომ საკუთარ კედლებში ყველაზე კარგად თამაშობს. კანადურმა კლუბმა შინ კიდევ ერთხელ მოუგო დასავლეთი კონფერენციის ჩემპიონს და თითქოს უიმედო სერია შემოატრიალა. ახლა ბევრი რამ მეხუთე მატჩზე იქნება დამოკიდებული, რომელიც "დეტროიტის" "ჯო ლუის არენაზე" გაიმართება.

სტუმრებმა ამჯერადაც მეტოქეზე გაცილებით აქტიურად ითამაშეს შეტევაში და **მიკა კიპრუსოფის** კარის მიმართულებით 35 ზუსტი დარტყმა განახორციელეს, რომელთაგანაც ფინელმა მეკარემ 33 მოიგერია. გაცილებით ნაკლები სამუშაო ჰქონდა კიპრუსოფის ვიზავის - **დომინიკ ჰაშეკს**. "დომინატორი" მასპინძლებმა 21-ჯერ შეაწუხეს.

"ფლეიმზი" ამ სერიაში კარგად იყენებს რიცხობრივ უპირატესობას. ოთხ მატჩში გატანილი რვა გოლიდან, "კალგარიმ" ექვსი მაშინ შეაგდო, როცა ყინულზე ერთი მოთამაშით მეტი ჰყავდა.

**ანაჰაიმი (2)-მინესოტა (7) 4:1**

**1:0, 1:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 პრონგერი-2 (პალსონი-2), 1:1 გაბორიკი-3 (ვალცი-1, ბეკსტრიომი-1), 2:1 გეტცლაფი-2 (პენერი-1, ს. ნიდერმაიერი-2), 3:1 კ. პერი-1 (პენერი-2, პრონგერი-4), 4:1 მოენი-1 (ს. ნიდერმაიერი-3, პალსონი-3).

**სერია 4:1**

"ანაჰაიმი" მესამე გუნდი გახდა, რომელმაც მორიგი წრის საგზური ვადაზე ადრე გაიფორმა.

"იხვებმა" თითქმის უპრობლემოდ განვლეს "მინესოტასთან" სერია. ამ გუნდის ერთადერთი პრობლემა ზედმეტი უხეშობა იყო - "ანაჰაიმმა" 27-ჯერ მისცა მეტოქეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი, მაგრამ "მინესოტამ" მხოლოდ ორჯერ იხეირა.

ბოლო რვა მატჩში პირველად გამოჩნდა "ანაჰაიმის" ძირითადში მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, რომელმაც რუსი **ილია ბრიზგალოვი** შეცვალა. ამ უკანასკნელმა პირველ მატჩებში მაღალ დონეზე ითამაშა. ასევე არ შეურცხვენია თავი ჟიგერსაც, რომელმაც 26 დარტყმა მოიგერია. ასე რომ, "იხვებს" ორი სრულფასოვანი კარის დარაჯი ჰყავთ.

**ვანკუვერი (3)-დალასი (6) 0:1 (ო)**

**0:0, 0:0, 0:0, 0:1**

გოლი: 0:1 მორროუ-2 (ზუბოვი-3, რიბეირო-2)

**სერია 3:2**

ეს მატჩი ორი ბრწყინვალე მეკარის დაპირისპირებად გადაიქცა. ვანკუვერელმა **რობერტო ლუონგომ** და დალასელმა **მარტი ტურკომ**, ძირითად დროში გოლი არ გაუშვეს, ხოლო ოვერტაიმის დაწყებიდან 6 წუთის შემდეგ, **ბრენდან მორროუმ** გამარჯვების შაიბა გაიტანა და "დალასს" სერიის გადარჩენის შანსი დაუტოვა.

სხვათა შორის, მარტი ტურკომ ამ სერიაში მეორე შათაუტი შეასრულა.

ამ მოგებით, სტუმრებმა ერთ უსიამოვნო ტრადიციას მოუღეს ბოლო - "სტრაზს" ფლეი ოფში, ზედიზედ ექვსი ოვერტაიმი ჰქონდა წაგებული.

რჩება კიდევ ერთი არასახარბიელო სერია, რომელიც "დალასმა" უნდა შეწყვიტოს. ამ გუნდმა შინ ორივე მატჩი წააგო, სულ კი სტენლის თასზე, ზედიზედ ექვს საშინაო შეხვედრაშია დამარცხებული, რაც NHL-ის ყველა დროის რეკორდზე ერთით ნაკლებია.

თუ ორი დღის შემდეგ, დალასალები ამ მავნე ტრადიციასაც მოსპობენ, მაშინ სერიის ბედი მეშვიდე მატჩში გადაწყდება, რომელიც სამშაბათს, "ვანკუვერის" არენაზე ჩატარდება.

ისე კი, თავისი არსებობის ისტორიაში, "დალასი" 12-ჯერ აგებდა ფლეი ოფის სერიას ანგარიშით - 1:3 და ვერცერთხელ ვერ შეძლო საბოლოო გამარჯვების მოპოვება. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამ ნავსის გატეხვასაც ტეხასური გუნდი.

ერთ საინტერესო სტატისტიკურ მაჩვენებელსაც მოგიყვანთ - ამ გუნდებმა პირველ მატჩში ცხრა გოლი გაიტანეს, ზუსტად იმდენივე, რამდენიც მომდევნო 4 შეხვედრაში.



მადლობა კიპრუსოფს!



როჯერ ფედერერი

ჩოგბურთი

ტურნირები

# ფედერერის 500

გუშინ, მონტე კარლოს მასტერსის მეოთხედფინალში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** კიდევ ერთი მიღწევა დააფიქსირა - ესპანელ **დავიდ ფერერს** რომ მოუგო, ეს მის კარიერაში მე-500 გამარჯვება იყო.

*"ბედნიერი ვარ იმით, რომ მე-500 გამარჯვება მონტე კარლოში მოვიპოვე. საერთოდ, ფერერი კარგი მოთამაშეა. განსაკუთრებით კი თიხის კორტებზე გამოირჩევა, მაგრამ ამჯერად ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გამიწია"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც ფერერს სულ ექვსჯერ შეხვდა და ყველა თამაში მოუგო.

ნახევარფინალში შვეიცარიელი მაესტროს მეტოქე იქნება ფრანგ **რიშარ გასკესა** და ტურნირის ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროს** შორის მოგებული.

სხვათა შორის, ფედერერი სულ მეორე ჩოგბურთელია, ვისაც კარიერაში 500 ან მეტი თამაში აქვს მოგებული. მასზე მეტი (516) გამარჯვება მხოლოდ ესპანელ **კარლოს მოიას** აქვს, ვინც პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერა შვეიცარიელზე სამი წლით ადრე დაიწყო. ცნობისთვის, ფედერერმა თავისი პირველი გამარჯვება 1998 წლის სექტემბერში მოიპოვა - ტულუზას ტურნირის პირველ წრეში 6:2, 6:2 მოუგო ფრანგ **გიომ რუს**.

რა თქმა უნდა, როჯერმა თავისი პირველი გამარჯვებაც გაიხსენა. *"პირველი, კითხვა, რაც დამისვეს, საპრიზო თანხას შეეხებოდა, სად წაიღებ მაგ ფულსო. მე პირდაპირ ვუპასუხე - შვეიცარიის ბანკში-მეთქი"*, - იხსენებს ფედერერი, ვისაც კარიერის განმავლობაში, საპრიზო თანხების სახით 30 მილიონ დოლარზე მეტი აქვს მოპოვებული.

ფედერერის გარდა, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ჩეხმა **ტომას ბერდიჩმაც**, რომელსაც სამი სეტი კი დასჭირდა შვედი **რობინ სოდერლინგის** დასამარცხებლად, მაგრამ საკმაოდ ადვილად კი დაძლია მისი წინააღმდეგობა. პირველი სეტი შვედმა მოიგო და მეორეც ბრეიკით დაიწყო. მაგრამ როცა ანგარიში 3:0 მიჰყავდა, თამაში მთლად აერია და ზედიზედ 12 გეიმი წააგო.

ჩეხმა მრავალფეროვანი თამაშით მიაღწია გამარჯვებას. ის აგრესიულად იგერიებდა მასზე მაღალი მეტოქის მოწოდებასაც და მას ხშირი ჯვარედინი დარტყმებით აიძულებდა შეცდომების დაშვებას. ნახევარფინალში ბერდიჩს მეტოქედ ეყოლება ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს, ესპანელ **რაფაელ ნადალსა** და კვალიფიკაციაგამოვლილ გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერს** შორის მოგებული.

**ATP**

მონაკოს მასტერსი

მონტე კარლო. თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**III წრე**

**ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 5:7, 7:6(4), 7:6(4); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:1, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 11)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 7) 6:3, 6:7(5), 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6) 7:5, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ) 6:4, 6:3; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10)**-ტომი რობრედო (ესპ, 5) 1:6, 6:3, 6:2; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-მაქს მირნი (ბელა) 7:6(5), 6:2

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**- დავიდ ფერერი (ესპ, 12) 6:4, 6:0; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10)**- რობინ სოდერლინგი (შვედ) 5:7, 6:3, 6:0

ტურ დე ფრანსი

# პუერტოში გარეულებს ტურზე არ დაუშვებენ



შესაძლოა, ბასო ისევ არ დაუშვან ტურზე

შესაძლოა, ყველა ველომრბოლს, რომლებიც ესპანეთში შარშან აგორებულ და უშედეგოდ დასრულებულ დოპინგ-სკანდალ ოპერასიონ პუერტოში იყვნენ მოხსენიებულნი, ტურ დე ფრანსზე გამოსვლის ნება არ მისცენ. ამის შესახებ, ფრანგულ გაზეთ "ეკიპთან" საუბრისას განაცხადა საფრანგეთის ტურის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა**.

*"ველოსპორტისთვის ცუდი იქნება, თუ ველომრბოლებს, რომლებიც ოპერასიონ პუერტოში იყვნენ გარეულნი, ტურზე გამოსვლის ნებას დავრთავთ. მათი საწინააღმდეგო არაფერი გვექნება იმ შემთხვევაში, თუ მათ ოფიციალურად აღარ სცნობენ ეჭვმიტანილებად"*, - ამბობს პრიუდომი.

მანვე დასძინა, რომ უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელობასთან და მათ თავისი მოსაზრებანი გაუზიარა. ამასთან, იმედი გამოთქვა, რომ გუნდებისგან სასურველ პასუხს მიიღებს.

*"ჩემი აზრი რამდენიმე გუნდის უფროსობას გავუზიარე და მათთან მორიგ შეხვედრას ფლეშ ვალონის რბოლის დაწყებამდე ვაპირებ. ახლა ჩვენ უკვე გვაქვს მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც სიმართლის დადგენას შევძლებთ და როცა ვიტყვით, რომ პუერტოში გარეულებს არ დავუშვებთ რბოლაში, ამას უტყუარი მტკიცებულებით დავასაბუთებთ"*, - ამბობს პრიუდომი.

მის მიერ ნახსენები მეთოდები დნმ-ის ანალიზებია, რომელთა მეშვეობითაც, ცოტა ხნის წინათ გაირკვა, რომ ოპერასიონ პუერტოს დროს ესპანურ ლაბორატორიაში ნაპოვნი სისხლის პაკეტებიდან ერთ-ერთი გერმანელ **იან ულრიხს** ეკუთვნოდა. შეგახსენებთ, რომ ტურის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ულრიხი რბოლიდან მოხსნა გერმანულმა გუნდმა "T-მობილმა".

გავიდა ცოტა ხანი და ულრიხმა სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, თუმცა დაახლოებით 50 ველომრბოლი, რომლებიც იმავე სკანდალში იყვნენ მოხსენიებულნი, კვლავაც აგრძელებენ ასპარეზობას. მათ შორისაა ჯიროს იტალიელი ჩემპიონი, ამერიკულ გუნდ "დისქავერი ჩენელის" ახალი ლიდერი **ივან ბასო**.

ოპერასიონ პუერტო კი ოფიციალურად დაიხურა, რადგან გამოძიებამ ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რომლებითაც ესპანური სამართლის მიხედვით, საქმის აღძვრა იქნებოდა შესაძლებელი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ფორმულა 1

## ღამის რბოლა არ იქნება

ვებ-გვერდ www.grandprix.com-ის ცნობით, 2008 წელს დაგეგმილი ღამის რბოლის ჩატარების იდეას ხაზი გადაესვა. ამ ისტორიული მოვლენის საქმეში მოყვანა, მინიმუმ ერთი წლით გადაიდო.

ცნობილია, რომ ღამის რბოლის ჩატარებას ავსტრალიაში აპირებდნენ. მაგრამ ამ დღეებში, ამ ქვეყნის გრან-პრის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა - **ტიმ ბემფორდმა** განაცხადა, რომ ღამის რბოლის ჩატარება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ხოლო "ალბერტ-პარკზე" გამართულ ეტაპებს, წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტი ზარალი მოაქვს ორგანიზატორებისთვის.

ჰოკეი

## აიზერმანმა სტუდენტი მიიწვია

კანადის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** თავისი გუნდის შეკრებაზე ჩრდილოეთ დაკოტას უნივერსიტეტის ფორვარდი **ჯონათან ტეივზი** მიიწვია. ეს ჰოკეისტი უკვე შეუერთდა კანადის ნაკრებს ფინეთში, სადაც ის მოსკოვში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის გადის მზადებას.

ტეივზი კანადური ჰოკეის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. შარშან, ის "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" დრაფტში მესამე ნომრად აირჩია. ფორვარდი წელს, ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე კანადის ნაკრების ლიდერი იყო.

## ლალიმი ჩიკაგოში დარჩა

"ჩიკაგოს" მეორე მეკარემ - **პატრიკ ლალიმმა** კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

ამ სეზონში, 32 წლის გოლკიპერმა ზურგის ოპერაცია გაიკეთა და ამის გამო, მხოლოდ 12-ჯერ ითამაშა რეგულარულ ჩემპიონატში. ის საშუალოდ მატჩში 3.07 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 89.6 პროცენტს იგერიებდა.

ლალიმს თავისი კარიერის საუკეთესო წლები "ოტავაში" აქვს გატარებული, სადაც მან 175 გამარჯვებას მიაღწია.

## ბლუზმა დრაფტის პირველი ნომერი გაიფორმა

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "სენტ ლუის ბლუზმა" კონტრაქტი გააფორმა 2006 წლის დრაფტის პირველ ნომერთან - მცველ **ერიკ ჯონსონთან**. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

ჰოკეის მოყვარულებს ამ მოთამაშის საქმეში ხილვა მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე შეეძლებათ - ჯონსონი ამერიკის ნაკრებში ღირსებას დაიცავს.

## კოლამბუსში ცვლილებებია

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსში" პრეზიდენტი გამოიცვალა. ამ პოსტიდან გათავისუფლებული **დუგ მაკლინის** ადგილი **მაიკ პრისტმა** დაიკავა, რომელიც ამავდროულად, კლუბის მფლობელი კომპანიის პრეზიდენტიც გახლავთ.

გუნდს ახალი გენერალური მენეჯერიც ჰყავს. ეს არის **ჯიმ კლარკი**. ის ადრე სკაუტების სამსახურსა და დრაფტზე იყო პასუხისმგებელი.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ რეგულარულში "კოლამბუსი" ერთ-ერთი აუტსაიდერი გახლდათ.

# TV სპორტი

## 21 აპრილი. შაბათი

### I არხი

**15:50** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ავიამშენი-აზოტი (LIVE).
**19:10** თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. სოფია. ბულგარეთი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია (LIVE).

### იმედი

**16:30** კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

### მზე

**15:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი (LIVE).
**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-რედინგი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ალემანია.
**14:10** საფეხბურთო კლუბი.
**14:55** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**15:30** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:55** შოტლანდიის ჩემპიონატი. რეინჯერსი-ჰართსი (LIVE).
**19:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო (LIVE).
**22:10** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-კოტბუსი.
**23:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:12** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
**08:59** სპორტინფორმი.
**09:14** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალიანსა ლიმა (პერუ)-სან პაულუ (ბრაზილია).
**11:00** სპორტინფორმი.
**11:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**11:42** რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1980 წელი. ფინალი. ვესტ ჰემი-არსენალი.
**13:39** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**14:00** სპორტის სამყარო.
**14:30** ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
**15:19** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**17:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი (LIVE).
**19:27** პროფესიული კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**20:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:55** ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
**21:56** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
**03:44** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალიანსა ლიმა (პერუ)-სან პაულუ (ბრაზილია).
**05:31** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.

### EUROSPORT

**00:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**10:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**11:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**12:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**13:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. კვალიფიკაცია. სტამბოლი (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. I მატჩი. უმეა (შვედეთი)-არსენალი (ინგლისი) (LIVE).
**17:00** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**17:45** მულტისპორტი.
**18:15** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 94 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**19:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 85 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** ახალი ამბები.
**00:15** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**01:00** ბრძოლა წესების გარეშე.

### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** მულტისპორტი.
**11:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**12:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხირონა.
**15:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ლადა (რუსეთი).
**16:00** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**18:00** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**19:00** მულტისპორტი.
**19:30** ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. I მატჩი. არაგონი (ესპანეთი)-მაგდებურგი (გერმანია) (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** მულტისპორტი.
**23:30** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. მე-3 ადგილისთვის. ავსტრალია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
**00:45** ახალი ამბები.
**01:00** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ფინალი. ახალი ზელანდია-ს. აფრიკა. ბელფასტი. ირლანდია.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**03:30** ახალი ამბები.
**04:00** ექსტრემალური სპორტი.
**05:00** ახალი ამბები.

## 22 აპრილი. კვირა

### I არხი

**17:00** თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. სოფია. ბულგარეთი (LIVE).

### რუსთავი 2

**18:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### მზე

**16:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ჩელსი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**11:15** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
**14:15** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ჩელსი (LIVE).
**18:20** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ფიორენტინა.
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი (LIVE).
**22:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:25** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-პარმა (LIVE).
**00:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:40** არგენტინის ჩემპიონატი. ხიმნასია (ლ)-ესტუდიანტესი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**07:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ალემანია.
**09:15** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**10:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი.
**11:55** სპორტის სახეები.
**12:25** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**12:55** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-სან კაეტანო.
**14:40** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**16:25** სპორტის სახეები.
**16:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ფიორენტინა (LIVE).
**18:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სელტა (LIVE).
**20:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბილბაო (LIVE).
**23:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-პარმა.
**02:45** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**03:45** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**04:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**04:45** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-სან კაეტანო.
**06:25** სპორტის სახეები.

### EUROSPORT

**09:30** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**10:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. სტამბოლი (LIVE).
**11:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. 125 CC. სტამბოლი (LIVE).
**13:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. 250 CC. სტამბოლი (LIVE).
**14:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი. სტამბოლი (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია (LIVE).
**18:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**19:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**20:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** მძლეოსნობა. მარათონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**02:00** მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**10:45** მოტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**12:00** ავტოსპორტი. გრანტურიზმო. I რბოლა. ვალელუნგა. იტალია.
**12:45** ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. I მატჩი. არაგონი (ესპანეთი)-მაგდებურგი (გერმანია).
**13:45** ახალი ამბები.
**14:00** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ფინალი. ახალი ზელანდია-ს. აფრიკა. ბელფასტი. ირლანდია.
**15:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. აგუედა. პორტუგალია (LIVE).
**16:00** ახალი ამბები.
**16:15** ხელბურთი. თასების მფლობელთა თასი. ფინალი. I მატჩი. ჰამბურგი (გერმანია)-ადემარ ლეონი (ესპანეთი) (LIVE).
**17:45** ახალი ამბები.
**18:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. აგუედა. პორტუგალია (LIVE).
**19:00** ავტოსპორტი. გრანტურიზმო. II რბოლა. ვალელუნგა. იტალია.
**19:45** ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. როჩესტერი-ტორონტო.
**21:15** ახალი ამბები.
**21:30** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ჰიუსტონი. აშშ (LIVE).
**00:00** ახალი ამბები.
**00:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-კილი (გერმანია).
**01:15** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| დერბი-ლუტონი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| კარტლპული-ნოტსი | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ვერდერი-ალემანია | 3:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-ესენი | 0:0 |
| კაიზერი-ოფენბახი | 4:0 |
| მიუნხენი-კიოლნი | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| მაგდებურგი-ვერდერი II | 2:0 |
| ვუპერტალი-ლიუბეკი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ელვერსბერგი-დარმშტადტი | 2:0 |
| აალენი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ბრესტი | 2:1 |
| შატორუ-ნიორი | 0:0 |
| კრეტეი-კაენი | 4:3 |
| გრენობლი-ლიბურნი | 2:1 |
| გენიონი-ისტრი | 3:3 |
| გინგამი-დიჟონი | 2:2 |
| ჰავრი-ბასტია | 2:0 |
| ტური-მონპელიე | 1:1 |
| ამიენი-მეცი | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ფორტუნა | 1:2 |
| დენ ბოში-ემენი | 3:0 |
| დორდრეხტი-როსენდალი | 0:4 |
| ომნიუორლდი-ჰაარლემი | 2:0 |
| ცვოლე-გრაფსხაპი | 2:2 |
| ჰელმონდი-ეინდჰოვენი A | 2:2 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 4:1 |
| ტელსტარი-კამბური | 0:1 |
| ვეენდამი-ვოლენდამი | 0:4 |
| ვენლო-ტოპ ოსი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| ბეერსხოტი-ლიერსი | 2:3 |
| **პორტუგალია** | |
| ამადორა-ბოავიშტა | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-კაპფენბერგი | 2:2 |
| აუსტრია A-გრატკორნი | 2:1 |
| პარტბერგი-შვანენშტადტი | 2:3 |
| ლინცერი-ადმირა | 1:0 |
| ლეობენი-ლუსტენაუ | 3:1 |
| პარნდორფი-კარნტენი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეპი-ფენერბაჩე | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-გალვეი | 1:1 |
| ბრეი-კორკი | 1:1 |
| დერი-დუბლინი | 0:1 |
| ლონგფორდი-უოტერფორდი | 1:0 |
| შემროკი-დროგედა | 1:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| **ფლეი ოფი** | |
| შენეცი-სლოვანი | 1:1 |
| **ფლეი აუთი** | |
| ტრენჩინი-მორავცე | 3:2 |
| **პოლონეთი** | |
| ლეგია-კორონა | 3:0 |
| **უნგრეთი** | |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 1:5 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-რუანი | 102:76 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო. 1/4 ფინალი** | |
| ბერდიჩი-სიოდერლინგი | 5:7, 6:3, 6:0 |
| ფედერერი-ფერერო | 6:4, 6:0 |
| გასკე-ფერერო | 7:5, 5:7, 2:6 |
| ნადალი-კოლშრაიბერი | 6:2, 6:3 |





ხიზანიშვილები

# მამები და შვილები





მუჯირები

ალბათ, ცხოვრების ნებისმიერ სფეროშია, როცა შვილები მამის გზას აგრძელებენ. ასეა ფეხბურთშიც და ყველა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს წარსულის გამორჩენილ ოსტატთა შვილების კარიერას. სხვათა შორის, წინასწარვე უნდა ვთქვათ: თითქმის უმრავლეს შემთხვევაში შვილების მიღწევები ახლოსაც ვერ მივა მამებისასთან. აბა, ახსოვს კი ვინმეს **შტეფან ბეკენბაუერი?** ან იქნებ, **ჰორდი კრუიფმა** დატოვა რაიმე კვალი თანამედროვე ფეხბურთში? ჰო, კიდევ **ედინიოც** არ დავივიწყოთ, **პელეს** ვაჟი, საფრანგეთის მესამეხარისხოვან გუნდებში რომ თამაშობდა. თუ არ ვცდებით, ეს ედინიო, მგონი, სულაც ციხეშია ამჟამად, მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამპლუით... მეკარე გახლდათ. აბა, შეიძლება პელეს ბიჭი მეკარე გამოსულიყო? ჰოდა, **პელესი, ფრანც ბეკენბაუერისა** და **იოჰან კრუიფის** ყველა დროის მსოფლიო ფეხბურთის ამ სამი ლეგენდის შვილები არც არავის ახსოვს. საერთოდაც, კიდევ ვიმეორებთ, ძალიან ერთეული შემთხვევებია, როცა შვილს მამაზე უკეთესი კარიერა ჰქონია; ოღონდ ცოტა პროფილის შეცვლით. აი, საბჭოთა კავშირის 60-იანი წლების ბრწყინვალე წარმომადგენელი **ვალენტინ ივანოვი** გავიხსენოთ. ამ ფეხბურთელმა მოსკოვის "ტორპედოსა" და ნაკრებში ლამის ორი ათეული წელინადი იასპარეზა. მოგვიანებით, მწვრთნელობა რომ დაიწყო, თავის გუნდში ვაჟიშვილი (ასევე-ვალენტინი) აიყვანა, რომელსაც ჩინებული მონაცემები ჰქონდა. უმცროსმა ივანოვმა ორი-სამი სეზონი შთამბეჭდავად კი ჩაატარა, მაგრამ მერე უკლო და... მთავარი მწვრთნელისგან (ანუ, მამისგან) საოცარი სიტყვების მოსმენაც მოუხდა: შენგან ფეხბურთელი არ დადგებაო. უმცროსმა ივანოვმა მსაჯობა დაიწყო და დღესდღეობით ფიფას არბიტრია, თანაც წარმატებული და პოპულარული (შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე წითელ-ყვითელი ბარათების ჩვენებით აბსოლუტური რეკორდი რომ დაამყარა).

მოკლედ, მსოფლიო ფეხბურთში ბევრი მაგალითი იყო და არის კიდეც, მაგრამ, ალბათ, დროა, საქართველოში გადმოვინაცვლოთ. წინდაწინ ვიტყვით, რომ ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი, შესაძლოა, არასრული იყოს და თუ ვინმე გამოგვრჩება, იმედია, არ გვიწყენს. ისე საქართველოში ძალიან ბევრი იყო ისეთი შემთხვევა, როცა შვილისგან უფრო მეტს ელოდნენ, ვიდრე მიაღწია. რაღა შორს წავიდეთ - უნიჭიერესი **მიხეილ მესხის** (უმცროსის) მაგალითი გავიხსენოთ. უფროსი მიხეილ მესხი ქართველებისთვის ყველაფერი იყო და როცა 70-იანი წლების ბოლოს "დინამოს" დუბლებში მისი ვაჟი ჩაირიცხა, ძალიან ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. უმცროსი მიშაც 11 ნომერი იყო, მამასავით მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, "დუბლებში" ასპარეზობისას ისეთ ფინტებს აკეთებდა, მამას რომ ჰქონდა. თანაც, მამისგან განსხვავებით, უფრო მაღალიც იყო და ათლეტურიც, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის უზადო შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა. ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა და მწვრთნელებიც სათავისოდ (და, ალბათ, გუნდისთვისაც) იყენებდნენ: მარტოს შეეძლო კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა! თბილისის "დინამოში" იქნებოდა, მოსკოვის "სპარტაკსა" თუ ლანჩხუთის "გურიაში", ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ყოფილა, რომ შეცვლაზე შემოსულ უმცროს მიშა მესხს თამაში "შემოუტრიალებია"!..

...1972 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გავიდა, ოლიმპიადაზე კი - მესამეზე. იმ ნაკრების კაპიტანი **მურთაზ ხურცილავა** იყო, მარჯვენა მცველი - **რევაზ ძოძუაშვილი.** ორივე მათგანმა ქართულ ფეხბურთში ეპოქა შექმნა და გადაუჭარბებლად შეგვიძლია იმის თქმაც, რომ თავიანთ პოზიციებზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოები იყვნენ. სამწუხაროდ, მათი შვილების კარიერა ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც მამებს სურდათ. **გოგა ხურცილავა** 17 წლისაც არ იყო, თბილისის "დინამოში" რომ ჩაირიცხა; თანაც, მამისგან განსხვავებით, თავდამსხმელი იყო, მაგრამ დიდხანს არ უთამაშია - ეროვნულ ჩემპიონატში "გურიაში", "მრეტებსა" და "შევარდენში" სამი-ოთხი სეზონი გაატარა და ფეხბურთსაც შეეშვა. **მიხეილ ძოძუაშვილიც** 17 წლის იყო, თბილისის "დინამოში"... მამის ხელმძღვანელობით რომ დაიწყო თამაში. სამი თუ ოთხი მატჩი, ეს იყო და ეს. სამაგიეროდ, მიშამ საფეხბურთო მენეჯმენტი კარგად შეისწავლა და უკვე მერამდენე წელიწადია, რაც ლატვიაში წარმატებით მოღვაწეობს - ფიფას ლიცენზირებული აგენტიც არის და რიგის "სკონტოშიც" ერთობ საპასუხისმგებლო პოსტი უკავია.

...2002 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე ორი კანდიდატი იყო: **მერაბ ჟორდანია** და **დავით პეტრიაშვილი.** ორივე საფეხბურთო ოჯახიდან იყვნენ: მერაბის მამა, **ლევან ჟორდანია** 60-იან წლებში "დინამოსა" და "გურიაში" თამაშობდა; დათოს მამა, **გურამ პეტრიაშვილი** კი თითქმის ათი წელიწადი "დინამოს" შეუცვლელი ფეხბურთელი იყო. სანამ ქართული ფეხბურთის მესაჭეობაზე განაცხადებდა პრეტენზიას, მერაბ ჟორდანიამ "დინამოშიც" ითამაშა, ქუთაისის "ტორპედოშიც", მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც "გურიაში" გატარებული წლები იყო. დავით პეტრიაშვილი "დინამოს" დუბლებში რომ ჩაირიცხა, ძალიან ახალგაზრდა იყო, თუმცა სამი-ოთხი წლის განმავლობაში სისტემატურად ინვევდნენ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა თუ იუნიორთა ნაკრებებში.

...1976-1982 წლებში თბილისის "დინამოს" ზეობის პერიოდი ედგა. ყოველ სეზონში ახალ-ახალი გამარჯვებები საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, ერთი-მეორეზე ლამაზი მატჩები და ასე შემდეგ. საინტერესოა, რომ იმ მართლაც დიდი "დინამოს" ფეხბურთელთა უმრავლესობის შვილებმა თავიანთი მამების პროფესია აირჩიეს. სხვა საკითხია, ვინ როგორ წარმოაჩინა თავი და ვინ რას მიაღწია. ჰოდა, ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ...

**ოთარ გაბელიამ** 37 წლამდე ითამაშა და, ალბათ, კიდევ შეეძლო თავისზე ბევრად ახალგაზრდა კოლეგებისთვის რომ ეჯობნა. მისმა უფროსმა ვაჟმა, **გიორგიმაც** მამის გზა აირჩია და მეკარეობა გადაწყვიტა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული წარმატებებისთვის არ მიუღწევია. **ნოდარ ხიზანიშვილის** უფროსი ვაჟი, **გიორგი** ჯერ "გორდაში" თამაშობდა, მერე - "მერანში", მაგრამ ძალიან ადრეულ ასაკში დაასრულა კარიერა და ახლა მწვრთნელად მუშაობს. სამაგიეროდ, მეორე ვაჟმა - **ზურამ** მართლაც ჩინებული კარიერა მოიწყო. 18 წლისას უკვე საქართველოს ნაკრებში ჰქონდა დებიუტი (მადლობა **იოჰან ბოსკამპს**, თორემ შესაძლოა, ქართველ მწვრთნელებს "გამორჩენოდათ" ჭაბუკი ხიზანიშვილის შესაძლებლობები), შემდეგ კი "ლოკომოტივში" მცირე ხნით თამაში და უცხოური კარიერაც, თანაც, "მზარდი პროგრესიით": მოკრძალებულ "დანდის" სახელოვანი "რეინჯერსი" მოჰყვა, გაგრძელება კი პრემიერლიგაში იყო, სადაც ზურა დღესაც წარმატებით თამაშობს "ბლექბერნში"! მოკლედ, ზურაბ ხიზანიშვილის მაგალითი ის შემთხვევაა, როცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ... შვილმა მამას აჯობა! ისევე, ალბათ, როგორც მუჯირების შემთხვევაში. უფროსი **დავით მუჯირი** ჩინებული ფიზიკური მონაცემებითა და სისწრაფით გამოირჩეოდა. ბოლოს და ბოლოს, მაშინდელ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ალბათ, მხოლოდ მუჯირი იყო ერთადერთი მცველი, ვის წინააღმდეგაც თამაში ყოველთვის უჭირდა **ოლეგ ბლოხინს**. სამწუხაროდ, "ჰამბურგთან" სტუმრად გატანილმა "ავტოგოლმა" უფროსი მუჯირის კარიერაზე ერთობ ნეგატიურად იმოქმედა და 26 წლის ასაკშიც ფეხბურთს თავი დაანება. სამაგიეროდ, მისმა ვაჟმა, უმცროსმა **დათო მუჯირმა** იყოჩაღა და დღესაც დიდებულად ასპარეზობს. აქაც ამპლუის შეცვლასთან გვაქვს საქმე - უფროსი მუჯირი მარცხენა მცველი იყო, უმცროსი კი - კლასიკური გამთამაშებელი. უმცროსმა მუჯირმა "დინამოში" გამოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება თავის "საფირმო" პასებითა თუ ძლიერი და ზუსტი დარტყმებით; არც ტექნიკასთან იყო მწყრალად და მერე, უცხოეთშიც (მოლდოვის "შერიფსა" და ავსტრიულ "შტურმში") არაერთხელ დაამტკიცა თავის მაღალი კლასი. დათო ახლაც წარმატებით თამაშობს რუსეთშიც ("კრილია სოვეტოვში") და საქართველოს ნაკრებშიც; და, ზურაბ ხიზანიშვილისა არ იყოს, მის შემთხვევაშიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვილმა მამას აჯობა!

**...ვიტალი დარასელია!...** ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების გოლის ავტორი! არავინ იცის, კიდევ როგორ გაიფურჩქნებოდა მისი ნიჭი, 1982 წლის დეკემბერში ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო. არადა, უფროსი თაობის ქართველ ქომაგებს ემახსოვრებათ ის პერიოდი, როდესაც **ნოდარ ახალკაცი** ახალი ფორმაციის "დინამოს" ლიდერად 25 წლის დარასელიას მოიაზრებდა. დარასელია უნიკალური მოვლენა იყო - 17 წლისას ჰქონდა დებიუტი "დინამოს" ძირითადში და იშვიათი ფიზიკური მონაცემებისა თუ ბუნებისგან დაჯილდოვებული ნიჭის წყალობით ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ყველა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეეძლო თამაში. დრიბლინგიც ჰქონდა, ორივე ფეხით ზუსტად და ძლიერად ურტყამდა, პასს არ დაუგვიანებდა თანაგუნდელს და 90 წუთის განმავლობაშიც "მუშა ფუტკარივით" შრომობდა. ვიტალი ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო და სასიხარულოა, რომ მის ტრადიციას შვილი, ვიტალი დარასელია-უმცროსი აგრძელებს. ის სახალისო ისტორიაც გვინდა გავიხსენოთ, 1978 წლის 27 სექტემბერს რომ მოხდა. "დინამოს" უეფას თასზე გასვლითი მატჩი ჰქონდა "ნაპოლისთან" და იტალიაში მყოფ ვიტალის გონება თბილისში იყო - მეუღლე ხომ შვილს ელოდებოდა. ჰოდა, თამაშამდე უთქვამს ვიტალის - თუ ვაჟი მეყოლა, "ნაპოლის" კარში გოლს ვინც გაიტანს, იმის სახელს დავარქმევო. გოლი კი... ვიტალი დარასელიამ გაიტანა - თუ არ ვცდებით, **ვახტანგ ქორიძემ** შორიდან, თავის სტილში, ძლიერად დაარტყა, მასპინძელთა მეკარემ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია და... დამატებაზე პირველი ვიტალი იყო! სამწუხაროდ, უმცროს ვიტალის სახელოვანი მამის თამაში ფირზე თუ უნახავს, თუმცა თამაშით ცდილობს დაამტკიცოს, რომ დარასელიას გვარის ღირსეული გამგრძელებელია. ერთიც არის - უმცროს ვიტალი დარასელიას, ალბათ, უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია. ყოველ შემთხვევაში, მის შესაძლებლობებში **ივო შუშაკის** დროინდელ "დინამოში" არაერთხელ დავრწმუნდით, როცა ეს ნიჭიერი ნახევარმცველი უკრაინაში გატარებული ოთხი სეზონის მერე დაგვიბრუნდა. სამწუხაროდ, "ალანიაში" განვითარებული მოვლენები მის თამაშზეც აისახა, მერე ყაზახეთში თამაშობდა და აი, ისევ დაგვიბრუნდა. დაგვიბრუნდა და კვლავაც ის ვიტალი ვიხილეთ, შემთხვევითი არ იყოს ის ფაქტი, რომ "ლელომ" მარტში თვის საუკეთესო ფეხბურთელად (**სანდრო იაშვილთან** ერთად) დაასახელა.

დანარჩენებზე კი შემდეგ შაბათს ვისაუბროთ...

**გია ტუხაშვილი**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა